გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
**ხუთშაბათი, 7 ივლისი, 2005 წელი.**
№159 (5192)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ხალხის სიცოცხლეა, ცბიერებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◉ მთავრობა

## სტიქია – აგრესიული ოპოზიციონერი



**მთავრობის გუშინდელმა სხდომამ, ძირითადად იმსჯელა სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დასახმარებლად დამატებითი ღონისძიებების განხორციელებაზე.**

საქართველოს მთავრობის რეგიონული სამსახურის უფროსის ჯამბულ ბაკურაძის თქმით, სტიქია გრძელდება და ისევ მიზანში ამოილო დუშეთის და გურჯაანის რაიონები. აგრეთვე გორისა და ქარელის რაიონები. ძლიერმა, დამანგრეველი ხასიათის სეტყვამ, კოკისპირულმა წვიმებმა გაანადგურა ნათესები, წალეკა სავარგულები.

იხ. მე-2 გვ.

## ენგურმა თავი გაიგიჟა

**სტიქიის შედეგად მესტიის რაიონის რამდენიმე სოფელში მოსახლეობა საგრძნობლად დაზარალდა. ადიდებულმა მდინარე ენგურმა საცხოვრებელი სახლები დატბორა.**

როგორც მესტიის რაიონის გამგეობაში აცხადებენ, სტიქია ორდღიანმა გადაუღებელმა წვიმამ განაპირობა, რასაც თან ერთვოდა ძლიერი ქარი.

ძლიერმა ქარმა სოფლებში ხეები ძირფესვიანად მოთხარა, რამაც გამოიწვია რამდენიმე შენობის უმნიშვნელო ნგრევა. მოთხრილი ხეების გამო ჩაიხერგა სოფლებთან მისასვლელი გზები.

მობილიზებულია ტექნიკა, რომელიც გზების აღდგენაზე მუშაობს. გუშინ მესტიაში მზიანი ამინდი იყო, რის გამოც გზის გაწმენდა რამდენიმე საათში შეძლეს.

## ფრთხილად, ქართველნო!



**კარგა ხნის წინათ ცნობილ ტელეგადაცემაში ერთ-ერთმა დღევანდელმა „ავტორიტეტმა შემოქმედმა“ როგორღაც ასეთი „სიბრძნე“ გამოამზეურა: – ხომ არსებობს უძღები შვილის თემა. მე ახლა უძღები მამის თემა მაინტერესებსო (ციტირება შეიძლება ზუსტი არ არის, მაგრამ შინაარსი ნამდვილად ასეთი გახლდათ).**

**ფრაზამ იმდენად გამაოგნა და ყური მომჭრა, რომ ვიფიქრე, ეგების თავის დროზე მე ვერ წავიკითხე სწორად ლუკას სახარება-მეთქი.**

იხ. მე-3-4 გვ.

◉ ინფორმაცია

## თქვენი არ გვჯერა, – აცხადებენ ფიზიკოსები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლები, კერძოდ კი ფიზიკის ფაკულტეტის წარმომადგენლები სამეცნიერო გრანტებთან დაკავშირებით განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულ კონკურსს სრულ უნდობლობას უცხადებენ.

ფიზიკოსები კონკურსის შედეგების გაუქმებისა და მისი ხელახლა ჩატარების მოთხოვნით, სასამართლოს მიმართავენ.

როგორც დღევანდელ შეხვედრაზე აღინიშნა, საგრანტო დაფინანსება მოიპოვა იმ საკონკურსო განაცხადებმა, რომელიც განათლების სამეცნიერო დეპარტამენტში ფაკულტეტის გვერდის ავლით მოხვდა.

როგორც მეცნიერები აცხადებენ, საგრანტო პროექტების დასაწერად საკმაოდ ცოტა დრო იყო გამოყოფილი. აღინიშნა ისიც, რომ გამარჯვება მოიპოვეს იმ პროექტის ავტორებმა, რომლებიც უნივერსიტეტის თანამშრომლები საერთოდ არ არიან.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ამ კონკურსმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტმა რეალურად დაკარგა ავტონომია.

## ოჰ, ეს საზღვრები...

საქართველოსა და აზერბაიჯანის სასაზღვრო უწყებების პირველმა პირებმა ორი ქვეყნის საზღვრებზე არსებული მდგომარეობა განიხილეს. შეხვედრა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში გაიმართა.

გენერალ-ლეიტენანტმა ბადრი ბიწაძემ და მისმა აზერბაიჯანელმა კოლეგამ, გენერალ-ლეიტენანტმა ელჩინ გულიევმა საქართველოსა და აზერბაიჯანის სასაზღვრო უწყებებს შორის თანამშრომლობის შესახებ არსებული რამდენიმე ოქმისა და შეთანხმების შესრულების შესახებ იმსჯელეს.

## თემურ შაშიაშვილს ახლა ქუთაისის მერობა სურს

საარჩევნო კანონმდებლობისა და თვითმმართველობის ორგანოების დაკომპლექტების წესის შეცვლის შემთხვევაში, თემურ შაშიაშვილი ქუთაისის მერად ან იმერეთის გუბერნატორად კენჭისყრას აპირებს.



იმერეთის რეგიონში პრეზიდენტის ყოფილმა სახელმწიფო რწმუნებულმა „მედიანიუსს“ განუცხადა, რომ ამჟამად არსებული კანონმდელობის პირობებში, ქუთაისის მერად მუშაობას აზრი არ აქვს.

– მე დღესაც დამიჭერს მხარს მოსახლეობა, მაგრამ, ქალაქისთვის საქმის გაკეთებას ვერ შევძლებ. დაუშვას ხელისუფლებამ მერის ან გუბერნატორის პირდაპირი არჩევნები და ნახავენ, ვინც გაიმარჯვებს. ყოველ შემთხვევაში, მზად ვარ, კენჭი ვიყარო გუბერნატორად, მაგრამ, ასეთი კანონების პირობებში მერობასა და გუბერნატორობას კი არა, პოლიტიკურ საქმიანობასაც არ აქვს აზრი, – განაცხადა თემურ შაშიაშვილმა.

## აქციის დაშლა არ მოეწონათ

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს (დუმა) დეპუტატები 30 ივნისს, რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურნენ. ისინი მომხდარს ხელისუფლების მიერ ოპოზიციის მიტინგის დარბევად აფასებენ.

– საქართველოში გადაუჭრელი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების სიმწვავე, რაც პოლიტიკური ვითარების დაძაბვას უწყობს ხელს, ჩვენს შეშფოთებას იწვევს. საქართველოს არასტაბილურობა, შეიძლება, მთელ რეგიონზეც აისახოს, – აცხადებს რუსეთის სათათბიროს დსთ-ის საქმეთა და თანამემამულეებთან კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ანდრეი კოკოშინი.

მედიანიუსი

## „ეროვნულთა“ არაეროვნული ქმედება

**არ იცოდე, ვინ არის ლევან გოთუა, ქართულ მწერლობას ებრძოდე და თავს ქართველობაზე დებდე?!**



**მიმდინარეობს ღია ფრონტით ბრძოლა ქართული უნივერსიტეტის, ქართული გვარ-სახელების, ქართული ტრადიციების წინააღმდეგ! საქმე იქამდეც მივიდა, რომ მართლა ვაიპატრიოტებმა (მათ შორის კულტურის სამინისტროდან) ეჭვქვეშ დააყენეს ბევრი აღიარებული ქართველი მწერლის საერთოდ არსებობა.**

იხ. მე-2 გვ.

## ჩვენ ყველანი, ოღონდ არა თითოეული ჩვენგანი...



**ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს „პურიან“ ადგილებზე მომუშავე ჩინოსნები რაღაც ინდოელ ბრამინთა მსგავსი უზენაესი კასტაა, ანუ პირამიდის ის წვეროა, რომელიც, მართალია, მედიის „ელვებს“ კი იზიდავს, მაგრამ ეს „ზეციური ცეცხლი“ მათ ბევრს ვერაფერს აკლებს, ვინაიდან გულის მაგივრად ფულით სავსე ქისა აქვთ, ხოლო „ფინანსური მარხვა“ არც ოდესმე დაუცავთ.**

იხ. მე-4 გვ.

◉ საზღვარგარეთ

**მეხიკოდან** სამხრეთ-აღმოსავლეთით 130 კილომეტრზე, ქალაქ პუებლას მიდამოებში, ბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ადამიანის ფეხის გაქვავებული ანაბეჭდები, რომელთა ასაკი დაახლოებით 40 ათას წელს შეადგენს.

* * *

**ბრიტანული** სუპერმარკეტების ქსელის „სომერფილდის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მკვეთრად იკლო ფრანგული წარმოების საქონლის გა-



ყიდვამ. ბრიტანელი მყიდველი ბოიკოტს უცხადებს ფრანგულ ხილს, ღვინოსა და ყველს. ინგლისელებმა ასეთი გზით გადაწყვიტეს სერიოზულად დაესაჯათ საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი მათი სამშობლოსადმი უპატივცემულობის გამო.

* * *

**ამერიკის** შეერთებული შტატების ტერიტორიას უახლოვდება ორი მძლავრი ტროპიკული შტორმი. ერთი მათგანი – სინდი, ალბათ სულ მალე მიაღწევს ლუიზიანის შტატის სანაპიროს. მეორე – დენისი კი ჯერჯერობით მოშორებით იმყოფება, თუმცა, მიმდინარე კვირის დამლევისთვის მანაც შეიძლება მოუტანოს დიდი უსიამოვნება ფლორიდის შტატის მცხოვრებლებს.

* * *

**გაზეთ** „პოსტიმეესთვის“ მიცემულ ინტერვიუში ესტონეთის პრეზიდენტმა არნოლდ რიუიტელმა განაცხადა, რომ არ იზიარებს რუსეთის წინადადებას საზღვრის შესახებ ახალი მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე. რიუიტელს არსებული ხელშეკრულება ადეკვატურად მიაჩნია და არ აპირებს მისი ფორმულირების გადახედვას.

## ნავთობზე ვდგავართ, ხელებში კი სხვას შევყურებთ



იხ. მე-3 გვ.

## 2012 წლის ოლიმპიადა – ლონდონში

**სინგაპურში** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 117-ე სესიაზე 4-რაუნდიან არჩევნებზე 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად სოკ-ის წევრებმა უპირატესობა ლონდონს მიანიჭეს.

შეგახსენებთ, რომ ამ დიდი სპორტული დღესასწაულის მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ მადრიდი, მოსკოვი, ლონდონი, პარიზი და ნიუ-იორკი.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ განაცხადა, ხუთივე ქალაქს შეეძლო „თამაშების ბრწყინვალედ“ გამართვა, საარჩევნო პროცედურის მიხედვით ბრძოლას ჯერ მოსკოვი გამოეთიშა, შემდეგ ნიუ-იორკი, ბოლს კი – მადრიდი.



მეოთხე ტურში არჩევანი ლონდონსა და პარიზს შორის უნდა გაკეთებულიყო. საბოლოო ანგარიშით გაიმარჯვა ლონდონმა.

**სურათზე:** ლონდონის გამარჯვებას ზეიმობენ ტრაფალგარის მოედანზე.




◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## საქართველოს დემოკრატია

**„პრეზიდენტ ბუშის ვიზიტმა საქართველოში ხაზი გაუსვა იმას, რომ უაღრესად მტკიცეა ჩვენი პარტნიორობა შეერთებულ შტატებთან, – თქვა კარნეგის ფონდში გამოსვლისას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ. – ეს ვიზიტი უნიკალურია ჩვენს ისტორიაში. როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნა, საქართველოს ისტორიაში მრავლადაა მაგალითი, როცა ჩვენს ქვეყანას სწვევიან უცხო სახელმწიფოთა ლიდერები ლოზუნგით „დაყავი და იბატონე“. მაგრამ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს ლიდერი საქართველოში ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ ჩვენთვის შემოეთავაზებინა დახმარება და მეგობრობა. ეს დღე მრავალი წლის განმავლობაში დაამახსოვრდება ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს“.**

ნინო ბურჯანაძემ დამსწრეთ გააცნო „ვარდების რევოლუციიდან“ განვლილი თვრამეტი თვის განმავლობაში საქართველოში მიღწეული წარმატებები, ილაპარაკა იმ პრობლემებზე, რომლებიც დგას დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

ამ დროის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტი გაიზარდა ოთხჯერ, პენსიათა ოდენობა – ორჯერ, მნიშვნელოვნად მოიმატა ქვეყანაში ხელფასებმა, სანახევროდ შემცირდა სახელმწიფო ბიუროკრატია, განხორციელდა რეფორმები პოლიციის სფეროში, რომელიც ახლა უკვე ხალხის პატივისცემით სარგებლობს, გაწეულია უდიდესი სამუშაო კორუფციის, როგორც ინსტიტუტის მოსპობის მიზნით.

სააკაშვილის მთავრობა უდიდეს ძალისხმევას ახმარს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას და კარგი საინვესტიციო კლიმატის შექმნას, ახორციელებს რეფორმებს მართლმსაჯულების სფეროში.

მომხსენებელი შეეხო საქართველოს ურთიერთობას რუსეთთან, კერძოდ, დადებულ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, 2008 წლამდე საქართველოს ტერიტორიიდან უნდა გაიტანონ რუსული სამხედრო ბაზები. ნინო ბურჯანაძემ გამოთქვა იმედი, რომ ეს შეთანხმება განხორციელდება.

იხ. მე-2 გვ.

## ძვირადღირებულ კურორტებზე მხოლოდ ბიზნესმენები დადიან?

**ცხელ სეზონს თბილისში ძირითადად ღარიბები და ის ადამიანები ატარებენ, ვინც სამსახურს თავს ვერ აღწევენ, ხოლო საშუალო ფენა საკუთარ სოფელში ან უკეთეს შემთხვევაში საქართველოს კურორტებზე მიდის.**



იხ. მე-3 გვ.

**მთავრობა**

# სტიქია – აგრესიული ოპოზიციონერი

**(პირველი გვერდიდან)**

მთავრობის სხდომაზე ხუთი საკითხი დავაყენე, რომელიც სტიქიური უბედურებების სალიკვიდაციო სამუშაოებს დააჩქარებს“, – თქვა ჯამბულ ბაკურაძემ, მაგრამ მისი თქმით, ლენტეხის, მესტიის, ნაწილობრივ ონის რაიონში კვლავ არის ადგილები, რომლებიც ოთხი თვეა, მოწყვეტილია გარესამყაროს. სამუშაოები ტარდება, მაგრამ ძალიან რთული რელიეფის გამო, მეწყერული მოვლენები კვლავ სპობს გაწმენდილ გზებს.

ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩასატარებლად 850 ათასი ლარია გამოყოფილი, ვინაიდან დრო არ ითმენს, მთავრობამ ამ თანხის ფორსმაჟორული წესით ათვისება გადაწყვიტა.

მთავრობის სხდომამ იმსჯელა, აგრეთვე, საქართველო-ამერიკას შორის „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ შესახებ სამთავრობოთაშორისი საერთაშორისო ხელშეკრულების ე. წ. „კომპაქტის“ გაფორმების თაობაზე. საქართველოში ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის შესახებ „მილენიუმ ჩელენჯ კორპორეიშენის“ საინვესტიციო კომიტეტი იმსჯელებს, ერთ თვეში კი – „მილენიუმ ჩელენჯ კორპორეიშენის“ საბჭო, რომელსაც კონდოლიზა რაისი ხელმძღვანელობს.

პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის თქმით, მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკებები „მილენიუმ ჩელენჯ კორპორეიშენთან“, კონტრაქტის გაფორმების შემდეგ საქართველოს მთავრობა 200 მილიონ დოლარს მიიღებს. კორპორაცია ოთხ ძირითად მიმართულებას დააფინანსებს. ესენია: ჯავახეთის გზა და ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები, ეკონომიკური განვითარების პროექტებიდან პრიორიტეტი მიენიჭება ტურიზმსა და სოფლის მეურნეობას, აგრეთვე, დაფინანსდება ენერგეტიკის პროექტები.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა განმარტა, რომ სპეციალურად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ათასწლეულის გამოწვევა – საქართველო“ უშუალოდ იღებს სახსრებს „მილენიუმ ჩელენჯ კორპორეიშენისგან“. ამერიკულ კომპანიასთანაც ის აწარმოებს მოლაპარაკებებს მთავრობასთან უშუალო კონსულტაციების საფუძველზე.



ალექსიშვილის თქმით, ენერგოობიექტებისთვის მთლიანად 45 მილიონ 500 ათასი დოლარია გამოყოფილი, ამის ორი მესამედი კი გაზსადენის რეაბილიტაციაზე დაიხარჯება.

ფინანსთა მინისტრმა ჟურნალისტებს ისიც განუმარტა, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან დაკავშირებული ტენდერი არ ჩაშლილა. მართალია კონსორციუმში შემავალ კომპანიებს შორის დაპირისპირება არსებობს, საკმაოდ რთული ურთიერთობა და მრავალი იურიდიული პრობლემაა, მაგრამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონკრეტული გეგმის შესრულებაზე თურქული კომპანია ვალდებულებას იღებს, რაც ქართული მხარისთვის მნიშვნელოვანია, – დაასკვნა ალექსიშვილმა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# საქართველოს დემოკრატია

**(პირველი გვერდიდან)**

ამის შემდეგ იგი შეეხო საქართველოში მიმდინარე პრობლემებს. უწინარეს ყოვლისა, ეს არის მოუგვარებელი კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და მოსახლეობის კეთილდღეობის გზაზე არსებული პრობლემები. არის მრავალი სხვა გადაუწყვეტელი საკითხიც, მაგრამ, როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, მთავარია, საქართველოს ხელისუფლება გრძნობს, რომ სწორია აღებული კურსი, რათა მაქსიმალურად მოკლე ვადებში შევძლოთ ქვეყანაში ვითარების გაუმჯობესება და თავიდან მოვიშოროთ ის მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც წინა მთავრობისგან გვერგო.

გამოსვლის შემდეგ ნინო ბურჯანაძემ უპასუხა „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტის ლუსიენ ფიქსის მთელ რიგ კითხვებს:

**– როგორ უწყობს ხელს სააკაშვილის მთავრობა თქვენს ქვეყანაში დემოკრატიის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას?**

– ჩვენ მივიღეთ უაღრესად მნიშვნელოვანი კანონი სიტყვის თავისუფლების შესახებ. ეს კანონი ევროპის საბჭომ ერთ-ერთ საუკეთესოდ ცნო და ჩვენ დიდი ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს, რომ იგი შესრულდეს. ვიღებთ ყველა ზომას იმისთვის, რომ საქართველოში არავის წარმოექმნას სიტყვის თავისუფლების ან სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვის შეგრძნება ან ამის სურვილი. ჩვენ ვცდილობთ წავახალისოთ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ყველა შესაძლებელი საშუალება.

**– რას აკეთებს თქვენი მთავრობა ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციისა და ქვეყნის ნატოში გაწევრიანებისთვის?**

– უწინარეს ყოვლისა, ეს არის დემოკრატიზაციის პროცესი. ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება. ძალზე ბევრი რამ გაკეთდა ამ ბოლო 18 თვის განმავლობაში პრეზიდენტ სააკაშვილის, კონკრეტული პიროვნებების ლიდერობის ხარჯზე. ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ ლიდერობა არ განსაზღვრავდეს სახელმწიფოს წარმატებებს, ჩვენ უნდა შევქმნათ ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტები, რათა იმის მიუხედავად, თუ ვინ იქნება ქვეყნის ლიდერი, დემოკრატიზაციის პროცესები შეუქცევადი გახდეს. რაც შეეხება ნატოში გაწევრიანებას, ახლა აქტიურად ვმუშაობთ ნატოსთან პარტნიორობის ინდივიდუალური გეგმის ინპლემენტაციისთვის და იმედი გვაქვს, რომ 2006 წლისთვის ჩვენ უკვე მზად ვიქნებით და განვახორციელებთ ნატოში შესვლისთვის საჭირო გეგმას. იგივე შეიძლება ითქვას ევროკავშირზეც.

**– თუ შეიძლება, დაახასიათეთ შეერთებულ შტატებთან საქართველოს ურთიერთობის მდგომარეობა.**

– ჩვენ ძალზე კეთილი სტრატეგიული ურთიერთობა გვაქვს. დიდად ვემადლიერებით შეერთებულ შტატებს იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდით და ახლაც ვგრძნობთ ჩვენი დამოუკიდებლობის მთელი 15 წლის განმავლობაში.

**– რით გამოიხატება ეს მხარდაჭერა?**

– ეს გამოიხატება ყველაფრით: ჩვენს მიერ განხორციელებული რეფორმების პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერით, და, თუ გსურთ – მეგობრული კრიტიკითაც იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში რაღაც ისე არ კეთდება, როგორც საჭიროა. ასე იყო შევარდნაძის მთავრობის დროს, როცა ჩვენი ამერიკელი მეგობრები ძალზე შეშფოთებული იყვნენ ქვეყანაში არსებული კორუფციის დონით და აგრეთვე იმით, რომ ხელმძღვანელობას არ შესწევდა ქვეყნის მართვის უნარი.

**„ამერიკის ხმა“ (აშშ)**

**ოპოზიცია**

# „მზის“ დაბნელება ტელეეთერში

**„ხელისუფლების „გაუწონასწორებული და გაუთვლელი ნაბიჯების“ გამო ბოლო დროს საქართველოში მკვეთრად დაიძაბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია – ეს საპარლამენტო ოპოზიციის შეფასებაა. ვითარების განსაკუთრებულად დაძაბვის მაჩვენებლად „მემარჯვენეებს“, „რესპუბლიკელებსა“ და „კონსერვატორებს“ ღია ცენზურა მიაჩნიათ.**

„არავისთვის არის დასამალი, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლება მასმედიაზე სრული კონტროლის დამყარებას შეეცადა. ერთი-მეორის მიყოლებით დაიხურა რამდენიმე ტელევიზია და გაზეთი („იბერია“, „მე-9 არხი“, „დილის გაზეთი“, „ტრიბუნა“ და სხვა). დაიხურა ასევე პოპულარული თოქ-შოუები წამყვან ტელევიზიებში, – ციტატა მოტანილია იმ განცხადებიდან, რომელიც ოპოზიციის წარმომადგენლებმა გუშინ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გაგვაცნეს და რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა გაუგზავნონ. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ დამოუკიდებელმა მედიამ გაბედულება გამოიჩინა და საქართველოს მოსახლეობას დაანახა, რა ხდებოდა 30 ივნისს რუსთაველის გამზირზე. ოპოზიციონერთა აზრით, ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდა ხელისუფალთა მოთმინების ფიალაში. მანამდე მათ ისიც აღელვებდათ, ოპოზიცია მედიის საშუალებით „ყველა მტკივნეული საკითხის გაშიშვლებას“ ახერხებდა. ფიქრია ჩიხრაძის თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლებს უჭირდათ კიდეც თოქ-შოუებში დებატებზე მისვლა და ხშირად მათი სკამები ცარიელი იყო.

– ყველაფერ ამას დაემატა 30 ივნისის აქცია. ჟურნალისტებმა ძალიან გაბედულად იმუშავეს, რის გამოც სამაგალითოდ დასაჯეს. გიგა ბოკერიასა და საპარლამენტო უმრავლესობის სხვა წარმომადგენელთა მუქარას, რაც დაუფარავად გაისმა ტელეეთერსა და საკანონმდებლო ორგანოს სხდომათა დარბაზში, მოჰყვა სამაუწყებლო კომპანია „მზეში“ გამოცხადებული ე. წ. რეორგანიზაციის პროცესი. ნამდვილად ჩაბარდება წარსულს „არჩევანის ზღვარზე“, ტელევიზია მზე შემეცნებით არხად გადაკეთდება, – აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ოპოზიცია წინ აღუდგება ხელისუფლების მიერ მედიაზე ზემოქმედების მცდელობას.

რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლის, ლევან ბერძენიშვილის სიტყვით, პრინციპი „მე არ მეხება“ არ გამოგვადგება, რადგან ხვალ ამგვარი რამ შეიძლება, ყველას შეეხოს. ამიტომაც ბატონი ლევანი ყველას მოუწოდებს, სოლიდარობა გამოუცხადონ ტელეკომპანია „მზეს“. ამასთან, ტელეკომპანიათა მეპატრონეებს მიმართავს, საინფორმაციო გამოშვებების დახურვას არ დათანხმდნენ.

– შევახსენებ ტელევიზიის მეპატრონეებს, რომ დღეს ხელისუფლება ტელევიზიებიდან ჟურნალისტებს გაუშვებს, ხვალ კი მათ მიადგება და დაიჭერს.

ოპოზიციის წარმომადგენელთა თქმით, საზოგადოება ჯერჯერობით არ არის მზად, წინ აუდგეს ხელისუფლებას, ამიტომაც ეს მოვალეობა ოპოზიციურმა პარტიებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და თავად მედიამ უნდა იტვირთონ.

დემოკრატიის ხარისხის განსაზღვრა რომ ძალიან იოლია, მედიისთვის თვალის გადავლებით, ყველამ ვიცით. ისიც ცხადია, თავისუფალი სიტყვის მედიის საშუალებათა დევნას არც ერთი ქვეყნისთვის რომ არ მოუტანია სიკეთე, თუკი ეს დევნა ნამდვილად ხორციელდება. ოპოზიციური პარტიები იმედოვნებენ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები „ხმას აიმაღლებენ ძალადობის ამ მორიგი ტალღის წინააღმდეგ“. მათს ერთობლივ განცხადებაში იმის იმედიც არის გამოთქმული, რომ ეს ორგანიზაციები მათთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით შეზღუდავენ ხელისუფლების თვითნებობას.

**რუსუდან გახარია.**

**განსჯა**

# რა, დანაშაულს დანაშაულითვე ვებრძვით?

**პანკისის ხეობის სოფელ დუისში სამართალდამცავების სპეცოპერაცია ტრაგიკულად დასრულდა და ორი ადამიანის სიცოცხლე, თვითმხილველთა თქმით, იარაღიანთა სისასტიკეს შეეწირა.**

3 ივლისს, დილის 4 საათზე სამართალდამცავებმა ძებნილების დასაკავებლად ავთო გუმაშვილის საცხოვრებელ სახლთან ოპერატიული ღონისძიების ჩატარება დაიწყეს, სახლში გამოკეტილებმა პოლიციას ცეცხლი გაუხსნეს. ამის შემდეგ სპეცრაზმელები გამოიძახეს და შენობას ორმაგი ალყა შემოარტყეს.

თვითმხილველები ამბობენ, რომ პოლიციამ გუმაშვილის სახლს რაღაც ესროლა და ცეცხლი გაუჩინა, სახლი კვამლში გაეხვია. აბრიალებული სახლიდან ავთოს ბიძაშვილი, ვახო გუმაშვილი გადმოხტა. როგორც ამბობენ, ვახოს იარაღი არ ჰქონდა და მაინც 23 წლის ახალგაზრდას ესროლეს, ადგილზე მოკლეს. სახლი ჩაიწვა, ავთოც შიგ ჩაიფერფლა.

ყოველივე ამან საზოგადოება აღაშფოთა. მიიჩნევენ, რომ სპეცოპერაციის ჩატარებისას ადამიანის უფლებები არ უნდა დაირღვას, მით უმეტეს, დაუშვებლად მიაჩნიათ მისი ფიზიკური განადგურება, საცხოვრებელი სახლის გადაბუგვა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ადამიანის უფლებებისა და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაც-



ვის ორგანიზაციის პრეზიდენტს გიორგი ლალიძეს.

– ბოლო პერიოდში, ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებში გაურკვეველი ტენდენცია დამკვიდრდა. ისინი ადამიანის დაკავებისას ხშირად მათ პატივსა და ღირსებას ლახავენ. დუისში საქმე გვაქვს ვანდალურ ქმედებასთან. არ შეიძლება ასეთი ფორმებით თუნდაც დამნაშავე სამყაროსთან ბრძოლა. ძალოვნები დანაშაულს დანაშაულითვე არ უნდა დაუპირისპირდნენ. ოპერაციის ჩასატარებლად სხვა ფორმებიც არსებობს, ყველაფერი წინასწარ კარგად უნდა გათვალონ, ოპერაცია უმსხვერპლოდ ჩაამთავრონ. მე, როგორც ადამიანის უფლებების დამცველი, ამ ფაქტს ვგმობ. ვფიქრობ, რომ ასეთი საზარელი დანაშაულის ჩამდენი პირები შესაბამისად უნდა დაისაჯონ.

დაუშვებელია ისიც, როდესაც ჩვენი სამართალდამცავები ტელეეკრანით გვიჩვენებენ ადამიანების დაკავების ფაქტებს და მას, ბანდიტს, ყაჩაღს უწოდებენ. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე ამის უფლება არავის არ აქვს.

დიუსში მომხდარი ფაქტის თვითმხილველები იმასაც ამბობენ, რომ გადაბუგულ სახლში შესულ პოლიციელებს დამწვარი ავთო გუმაშვილის ბიძები მათ ძვლების გადაცემას სთხოვდნენ. პოლიციელები კი ამ ძვლებს ვედრებში ყრიდნენ და თბილისში წასაღებად გარეთ ეზიდებოდნენ.

როდესაც სახელმწიფოში ამგვარი ფაქტები ფიქსირდება, ცხადია, ძნელია საუბარი დამოუკიდებლობის, დემოკრატიულობის ხარისხზე. ავთო გუმაშვილის თანასოფლელთა განცხადებით, იგი შეეწირა საკუთარი ოჯახის ღირსების დაცვას, ცოლის შეურაცხმყოფლისთვის პასუხის მოთხოვნას, საბოლოო ჯამში, კერიის მთლიანად მოშლას. კი, ბატონო, დანაშაული არავის უნდა ეპატიოს, მაგრამ საკითხავია დანაშაულის ხარისხიც და ისიც, თუ ადამიანმა რატომ ჩაიდინა ეს დანაშაული...

**ლელა ხვადაგიანი**

**SOS!**

# „ეროვნულთა“ არაეროვნული ქმედება

## არ იცოდე, ვინ არის ლევან გოთუა, ქართულ მწერლობას ებრძოდე და თავს ქართველობაზე დებდე?!

**გეგმაზომიერი შეტევა ქართულ ცნობიერებასა და კულტურაზე – ოროდე სიტყვით ასე შეიძლება გამოიხატოს ძირითადი არსი, რამაც გუშინ მწერალთა სასახლის ისტორიულ ეზოში მრავალი ასეული ადამიანი მიიყვანა. იქ იყვნენ არა მარტო მწერლები და ლიტერატორ-კრიტიკოსები, არამედ სრულიად სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, მკითხველები. ეს სულაც არ ყოფილა „ცხელ გულზე“ მიღებული გადაწყვეტილება: აგერ, უკვე რამდენიმე წელია, ხელისუფლება თანმიმდევრულად ახორციელებს ფართომასშტაბიან შეტევას ყოველივე იმაზე, რასაც „ქართული“ ჰქვია და საზოგადოების სულიერ აღზრდას ემსახურება.**

რა თქმა უნდა, ძირითადი სამიზნე (როგორც სხვა დროსაც არაერთგზის!) ქართული მწერლობაა. „ეს ცინიზმის, შეურაცხყოფის, ძალადობის წლებია, განსაკუთრებით – ბოლო ერთი წელიწადი. **დღეს, 3 საათზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, დარჩება თუ არა მწერალთა სასახლე ქართული მწერლობის განკარგულებაში, ჩატყდება თუ არა ხიდი წარსულსა და აწმყოს შორის.** დაივიწყეს ტიციან ტაბიძის შეგონება, რომ „ერის სული მწერლობაში ლაპარაკობს, რომ სხვას არავის აქვს ამისი უფლება“, – ასე მიმართა შეკრებილთ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა. მანვე გაიხსენა არც ისე შორეული წარსული, როცა სარაჯიშვილების ნაჩუქარი შენობა ქართველ მწერლებს საკუთრებაში დაუმტკიცეს ჯერ მენშევიკურმა, მერე საბჭოურმა და ბოლოს, ეროვნულმა მთავრობებმა.

„დღეს ქვეყნის სათავეშიც „ეროვნულები“ დგანან, მაგრამ, ვაი რომ, მათი „საქმენი საგმირონი“ ხშირად საპირისპიროს გამოხატავენ. **ქართველ მწერლებს წაართვეს ყველაფერი, რისი წართმევაც შეიძლებოდა, მაგრამ ვერ წაართვეს პატრიოტული სული; ქართველი მწერლები შიმშილით სიკვდილისთვის გასწირეს, მაგრამ ამითაც ვერ ჩაკლეს მათში ეროვნული სიამაყის გრძნობა – ისინი ბრძოლას აგრძელებენ!** მაგრამ ეს არ არის ოდენ ფიზიკური გადარჩენისთვის ბრძოლა, არამედ ეს არის საუკუნოვანი ქართული მწერლობის, ხელოვნების, საერთოდ, კულტურის გადარჩენისთვის ბრძოლა“.

„დღეს საბაზრო ეკონომიკაა და ხელისუფლება სულაც არ არის ვალდებული, მწერალთა კავშირი დააფინანსოსო, – ხშირად გვესმის მაღალი ტრიბუნებიდან. **ამ დროს ჩვენზე უკეთესად არც აზერბაიჯანსა თუ სომხეთში ცხოვრობენ, მაგრამ იქ ჰყოფნით სინდის-ნამუსი და მწერლებს 150-150 დოლარს უხდიან. ეს არ არის სამათხოვრო მოწყალება – ეს არის იმის კომპენსაცია, რაც არსებულმა ხელისუფლებამ მწერლობას დამართა გამომცემლობების გაუქმებით თუ წიგნის ბაზრის დაკარგვით“.**

„ესეც არ გვაკმარეს – ახლა წართმევა უნდათ შენობისა, სადაც ფიზიკურად დასუსტებულ, მაგრამ სულიერად ამაღლებულ მწერლებს შეხვედრა, ხვაშიადის გაზიარება, საერთო საქმეზე მსჯელობა შეუძლიათ. ცხონებული ნიკო ფიროსმანი ოცნებობდა ასეთ სახლზე. დღეს ასეთი სახლი გვაქვს და იმას გვაცლიან ხელიდან. ამას უზნეობის მეტს ვერაფერს უწოდებს კაცი!“

**„მიმდინარეობს ღია ფრონტით ბრძოლა ქართული უნივერსიტეტის, ქართული გვარ-სახელების, ქართული ტრადიციების წინააღმდეგ! საქმე იქამდეც მივიდა, რომ მართლა ვაიპატრიოტებმა (მათ შორის კულტურის სამინისტროდან) ეჭვქვეშ დააყენეს ბევრი აღიარებული ქართველი მწერლის საერთოდ არსებობა, მაგალითისთვის ცხონებული ლევან გოთუაც გამოდგება – კულტურის სამინისტროში „არ იციან“, ვინ იყო იგი, ან, საერთოდ, იყო თუ არა.**

**ბარაქალა თქვენ, კულტურის მესვეურებო!“**

ეს ამონარიდები მოხმობილია რევაზ მიშველაძის, ვაჟა ოთარაშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანის, შალვა მჭედლიშვილის, მზია ხეთაგურის, ტაგუ მებურიშვილის, ჯუმბერ თითმერიას, მურმან ჯგუბურიას, გურამ შარაძის, დავით ტაკიძის, რენე კალანდიას, გივი სიხარულიძის გამოსვლებიდან.

საბედნიეროდ, ქართველი მწერლები თავიანთ სატკივართან მარტო არ დარჩენილან. მწერალთა სასახლეში თანადგომისა და დღევანდელი რეალობისთვის აღშფოთების გამოსახატავად მობრძანდნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია, მსახიობი დოდო ჭიჭინაძე, პროფესორი გიორგი დემეტრაძე, ადამიანთა უფლებების დამცველი გიორგი კერვალიშვილი, კინომცოდნე ალექსანდრე ჟღენტი და სხვები.

**„ჩვენ ერთად უნდა ვიბრძოლოთ ქართული ცნობიერების გადასარჩენად, ვინაიდან – თუ არ იქნება ქართული მწერლობა, ქართული ხელოვნება, მაშინ არც საქართველო იქნება“,** – ასეთია მათი მტკიცე მოთხოვნა.

მიტინგის მონაწილეებმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობასთან გადაინაცვლეს. არა მგონია, ამ უვნებელი პროტესტით მოალბონ მართლმსაჯულების გული, მაგრამ, ხომ ხდება სასწაულები? ახლა გამოჩნდება, რამდენად უმწიკვლო, მიუკერძოებელი და მოუსყიდავია თემიდა, შესწევს ძალა თუ არა, რომ სახელისუფლებო ორგანოების ზეწოლას სიმართლე დაუპირისპიროს...

**ვეზუვმა გამოიღვიძა. ეს ნიშანი უნდა იყოს საქართველოს ყველა ავისმოსურნისათვის!**

**ელგუჯა ლეჟანიძე**

**წუთისოფლის ვენება?** (Note: heading reads „წუთშესვენება?")

**საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გუშინ გადაწყვეტილება ვერ მიიღო და ქართველ მწერალთა სარჩელის განხილვა შემოდგომისთვის გადადო. ვნახოთ, „რა გამოვა რისაგან“.**

**ევროსასამართლო**

# იქ ჩვენი საჩივრების რაოდენობა იზრდება

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ადამიანის უფლებათა გენერალური დირექტორატისა და ევროპის საბჭოს თბილისის საინფორმაციო ბიუროს ორგანიზებით გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ორდღიანი კონფერენცია გაიხსნა, რომელიც ეძღვნება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფო წარმომადგენლის სამსახურის გაძლიერებას.**

მას შემდეგ, რაც საქართველო ევროპის საბჭოს შეუერთდა (1999 წლის 27 აპრილი), საქართველოს პარლამენტმა დაუყოვნებლივ მოახდინა ევროპული კონვენციის რატიფიცირება (1999 წლის 20 მაისი). შესაბამისად, საჭირო გახდა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფო წარმომადგენლის სამსახურის შექმნა, რაც 2000 წელს განხორციელდა კიდეც. სამსახური შედგება ხელმძღვანელისგან და ორი მრჩევლისგან. 2000-2001 წლებში საქმეები ცოტა იყო, მას შემდეგ კი რაოდენობა იზრდება. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს ჩვენი წარმომადგენლების მუშაობის ეფექტიანობაც. სადღესიოდ ევროსასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ 100-ზე მეტი სარჩელია შესული. 2005 წლის 11 მაისისთვის საქართველოს მთავრობას ეცნობა 28 განაცხადის შესახებ.

კონფერენციის გახსნისას იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმომადგენლის სამსახურის მიზანი იქნება არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმოდგენა, არამედ თითოეული მოქალაქისთვის ამ სასამართლოს ხელმისაწვდომობა. კოტე კემულარიამ ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით ქვეყნის შიგნით ინსტიტუტების გაძლიერებაზე. „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თითოეული მუხლი უფრო უკეთ უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის სამართალწარმოების პრაქტიკაში. ევროსასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ 100-ზე მეტი სარჩელია შესული. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები სწორად ვითარდება“, – განაცხადა მან.



კონფერენციაში მონაწილეობენ: ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელი საქართველოში იგორ გაონი, ევროსასამართლოში შვედეთის სამთავრობო აგენტი ევა იაგანდერი, ჰოლანდიის სამთავრობო აგენტი ქოლინ შუკინგი, იუსტიციის სამინისტროს, შს სამინისტროს, გენპროკურატურის, სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები.

მინისტრის პირველი მოადგილის კონსტანტინე კორკელიას თქმით, სახელმწიფო წარმომადგენლის მიზანი არ იქნება ის, რომ ნებისმიერ ფასად დაიცვას სახელმწიფოს პოზიცია ევროპის სასამართლოში, – თუ მოსარჩელის უფლება რეალურად დაირღვევა, ჩვენ სასამართლოს ობიექტურ ინფორმაციას მივაწოდებთ, – განაცხადა მან.

მასპინძლებმა უცხოელი კოლეგების გამოცდილებაც გაიზიარეს. შეხვედრაზე შეიმუშავეს ის წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფო წარმომადგენლის როლის გაძლიერებას.

**ლელა ცქიტიშვილი**

**რუსული პრესიდან**

# ამერიკელებს ცენტრალური აზიიდან ერეკებიან?

**5 ივლისს ასტანაში ერთმანეთს შეხვდნენ შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოების მეთაურები, რომელშიც შედიან რუსეთი, ჩინეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და უზბეკეთი. მონღოლეთი მეთვალყურეა, და ამ შეხვედრაზე ასეთივე სტატუსი მიანიჭეს ირანს, ინდოეთს და პაკისტანს, რაც, თავისთავად, შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციას კიდევ უფრო სოლიდურ გაერთიანებად გახდის. როგორც ყაზახეთის პრეზიდენტმა ნაზარბაევმა თქვა, ასტანაში შეიკრიბნენ ლიდერები, რომლებიც მთელი კაცობრიობის ნახევარს წარმოადგენენ.**

და აი, რა გადაწყვიტა თავისი ლიდერების სახით კაცობრიობის ნახევარმა. მთავარი გადაწყვეტილებაა ის, რომ მოსთხოვეს ამერიკელ სამხედროებს დატოვონ ყირგიზეთის და უზბეკეთის ტერიტორიები, სადაც ისინი განლაგდნენ 11 სექტემბრის შემდეგ ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის განხორციელების მიზნით. ოპერაცია ავღანეთში, რა თქმა უნდა, სასარგებლო საქმეა და რუსეთიც თავის დროზე ხელს უწყობდა იმას, რომ ამერიკელებს გაეშალათ ბანაკი ყირგიზეთსა და უზბეკეთში, დაეცვათ ბენ ლადენისგან როგორც ეს ქვეყნები, ისე რუსეთიც და საკუთარი თავიც. მაგრამ გავიდა წლები. ამერიკელები, შეიძლება ითქვას, გაშინაურდნენ შუა აზიის სივრცეში. და აი, შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციამ გადაწყვიტა მათ შეახსენოს, რომ ძალზე გაჭიანურდა ეს სტუმრობა. რა თქმა უნდა, ეს მოხდა დიპლომატიური ენით: ავღანეთში საერთაშორისო კოალიციის მოქმედებას ყველა მხარს ვუჭერთ, მაგრამ, მაინც იქნებ გაარკვიოთ, როდის დატოვებთ აქაურობას.

სხვათა შორის, ამერიკელები, რომლებსაც სურდათ მეთვალყურის სახით დასწრებოდნენ შეხვედრას, არ დაუშვეს. არ არის გამორიცხული, რომ ამის ინიციატორი იყო უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი, რომელსაც ამ ბოლო ხანებში საკმაო პრობლემები შეუქმნა ანდიჟანში განვითარებულმა მოვლენებმა. შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის შეხვედრაზე ქარიმოვმა მკაცრად გაილაშქრა „გარკვეული ძალების“ წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ დომინირება ცენტრალურ აზიაში და რეგიონის სახელმწიფოებისთვის განვითარების თავიანთი მოდელის თავს მოხვევა. რა თქმა უნდა, იგულისხმებოდა „ნარინჯისფერი“ რევოლუციები, რომელთა ტალღამაც გადაუარა ყოფილ სსრ კავშირს.

პუტინი ცდილობდა, ზედმეტი ყურადღება არ მიეპყრო. აღსანიშნავია, რომ იგი გამოვიდა ჩინეთის ლიდერის ჰუ ძინტაოს და ყირგიზეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ბაკიევის შემდეგ. თავის სიტყვაში, რუსეთის პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა ტერორიზმისა და სეპარატიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას და აღნიშნა: „ამ საფრთხეს აქვს ტრანსსასაზღვრო ხასიათი, ყოველივე ამას თავისი შემკვეთები და შემსრულებლები ჰყავს“.

ჰოდა, შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრებმაც გადაწყვიტეს, რომ ერთობლივი ძალებით ებრძოლონ სეპარატიზმის და ტერორიზმის საფრთხეს და ერთობლივადაც კი განახორციელონ ანტიტერორისტული ღონისძიებები.

**ლარისა კაფტანი**

**КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА**

**ინფორმაცია**

## აფხაზეთის გამო რუსეთმა შენიშვნა მიიღო

**ვაშინგტონში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მე-14 ყოველწლიური სესიის ბოლო სხდომაზე დამტკიცდა შემაჯამებელი რეზოლუცია, რომელშიც აფხაზეთის საკითხიც აისახა. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს რუსეთს, ხელი არ შეუშალოს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.**

**ასეთი რეზოლუციის მიღების ინიციატივით საქართველოს დელეგაცია გამოვიდა. დოკუმენტის პირვანდელი პროექტის ავტორი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეა, იგი სესიაზე საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა.**

**რეზოლუციაში გამოთქმულია ღრმა მწუხარება, რომ აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით პროგრესი არ შეინიშნება. ასამბლეა რუსეთს ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებას შეახსენებს, რომლის თანახმად, მოსკოვმა კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის დიალოგს უნდა შეუწყოს ხელი.**

**რეზოლუციაში, აგრეთვე, გამოხატულია ღრმა შეშფოთება იმის გამო, რომ ეუთოს მიერ შექმნილი აფხაზეთის სპეციალური კომიტეტის მუშაობაში პროგრესი არ შეინიშნება და ოთხი წლის მანძილზე შედეგი არ მოუტანია.**

**აფხაზეთის სპეციალურ კომიტეტს დაევალა, რეგულარულად მოინახულოს რეგიონი, განსაკუთრებით – გალის რაიონი დევნილთა მდგომარეობისა და ადამიანის უფლებათა სფეროში დარღვევების შესაფასებლად.**

**ეუთოს საპარლამენტო ასამბლეას მე-14 ყოველწლიური სესიის სხდომა აშშ-ის დედაქალაქში 1-5 ივლისს მიმდინარეობდა და მასში მსოფლიოს 51 ქვეყნიდან 260-მა პარლამენტარმა მიიღო მონაწილეობა.**

## კომპენსაციას მოითხოვენ

**აფხაზები საქართველოს ხელისუფლებისგან იმ ფინანსური ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ, რაც, მათი აზრით, საომარი მოქმედებების დროს მიადგათ.**

**აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების პარლამენტის სპიკერის, ნუგზარ აშუბას თქმით, საქართველო ვალდებულია აფხაზეთს 13 მილიარდი დოლარი გადაუხადოს, რადგან, მისი აზრით, საომარი მოქმედებების დროს განადგურდა აფხაზეთის ეკონომიკა და დაინგრა ინფრასტრუქტურა.**

**ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ სასამართლოში აპირებენ აფხაზები ჩივილს.**

**კონფლიქტების მოგვარების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას თქმით, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ასეთ არასერიოზულ განცხადებებს ქართულმა მხარემ ყურადღება არ უნდა მიაქციოს. „ეს იყო შიდა ომი და არა სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება, ამიტომაც კარგი იქნება, თუ აფხაზები ამგვარი ზღაპრების გამოგონებას შეეშვებიან“, – განუცხადა „მედიანიუსს“ გიორგი ხაინდრავამ.**

**მედიანიუსი**

## მოჭიდავეები სამთვიან პატიმრობაში რჩებიან



**თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, წინასწარ სამთვიან პატიმრობაში რჩებიან საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე დავითაშვილი და ძიუდოში მსოფლიო ვიცე-ჩემპიონი გიორგი რევაზიშვილი.**

**სასამართლო განაჩენის გამოცხადებას ხმაური და ვნებათაღელვა არ მოჰყოლია. თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარ გასაჩივრდება.**

**ინტერპრესნიუსი**

**გვეხმაურებიან**

# ხანჩალელებს ახალი სკოლა ექნებათ

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 5 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის პრესსამსახურის მიერ გამოგზავნილი ინფორმაციების ნაკრები, რომელთაგან ერთ-ერთი ასე იყო დასათაურებული – „დიდ ხანჩალში სკოლია დაინგრა“. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პასუხი, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს ინფორმაცია დაუზუსტებელი და არასწორია.**

ანალოგიური ინფორმაცია, – ნათქვამია გამოხმაურებაში, – გაზეთმა „ახალმა ვერსიამ“ სააგენტო ინტერპრესნიუსის ინფორმაციაზე დაყრდნობით 29 ივნისის ნომერში გამოაქვეყნა. ჩვენი არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე, ინტერპრესნიუსმა მეორე დღესვე გაავრცელა უკვე შესწორებული ინფორმაცია დიდი ხანჩალის სკოლის შენობასთან დაკავშირებით, რაც თქვენთან გამოგზავნილ მასალაში გათვალისწინებული არ არის.

კერძოდ, გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში არასწორად არის აღნიშნული, რომ სოფელ დიდი ხანჩალის სკოლის შენობაზე აღდგენა-გამაგრების „სამუშაოების დაწყებისთანავე მიწისძვრისგან დაზიანებული შენობა მთლიანად დაიშალა... ამის შემდეგ სამშენებლო ფირმა „პირამიდამ“ სამუშაოები შეაჩერა“.

– სინამდვილეში როგორია საქმის მდგომარეობა: როგორც შპს „პირამიდა-98“-ის მენეჯერმე შალვა სირაძემ განაცხადა, სამუშაოთა პროექტი სკოლის დაზიანებული სახურავის გამოცვლას, კუთხეებში კედლების გამაგრებას და შიდა რემონტს ითვალისწინებდა. მაგრამ სახურავის დემონტაჟის შემდეგ კედლებმა რღვევა დაიწყო. ასე რომ, გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას შენობა აღარ ექვემდებარება, საჭიროა მისი თავიდან აშენება. პროექტსა და კონტრაქტში ცვლილებების შეტანისთვის სსიფ-ს მივმართეთ. საკითხის გადაწყვეტაში ჩაერთო ექსპერტიზა, სპეციალისტთა ჯგუფი. მიმდინარეობს ცვლილებების დამუშავება, სამუშაოები შენობის არა რეკონსტრუქციის, არამედ თავიდან აშენების თვალსაზრისით გაგრძელდება.

ასე რომ, სოფელ დიდი ხანჩალის 300-მდე მოსწავლე ახალი სასწავლო წლის დადგომას სკოლის ახალ შენობაში იზეიმებს!

◉ სიტყვა ერის გასაგონად

# ფრთხილად, ქართველნო!

## „შეცთომილნი განამტკიცენ, ჭაბუკნი განაბრძნენ...“

> „მომაპყარნით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროისცა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქვენისანი განჭმარტენით სმენად და მასპინძელ ექმენით სიტყვათა ამათ ჩემთა...“
>
> იოანე საბანისძე

### მამისა და გვარის უარმყოფელნი

**საქართველო ინტელექტუალთა ქვეყანა იყო. ამ ინტელექტს დიდი გასავალი ჰქონდა საბჭოთა იმპერიაში და, ასე თუ ისე, ნორმალურად ფინანსდებოდა. რჩეული ინტელექტუალები მსოფლიო მიღწევებსა და უმაღლესი დონის ნაწარმოებებს ქმნიდნენ. რამდენი მსოფლიო დონის მეცნიერი აღიზარდა, რას არ მიაღწია ქართულმა მწერლობამ, სახვითმა, მუსიკალურმა, თეატრალურმა და კინოხელოვნებამ, ჩვენმა სპორტმა?!. ახლა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურმა ვექტორმა მხარე იცვალა, მიმდინარეობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტრანსფორმაცია და აღმოჩნდა, რომ ქართული ნიჭის ბრწყინვალება აღარავის აინტერესებს. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ომის და ტყვეობის დროსაც კი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ქართველს სამშობლოს ნებით რა დაატოვებინებდა? ახლა კი, ეს ბოლო ათი წელია, საქართველო ქართველებისაგან იცლება და ეს ტენდენცია არანაირად არ იცვლება. განსაკუთრებით მძიმეა წიგნიერი ხალხის მდგომარეობა. გაქცევით ყველამ ვერ უშველა თავს, ის კი, ვინც დარჩა, სულს ღაფავს. გლეხისაგან დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეიძლება ზეინკალი დადგეს (თუნდაც ცუდი ზეინკალი), ასევე ზეინკალმა შეიძლება გაჭირვებით და მეტ-ნაკლები წარმატებით სოფლის მეურნეობას მოჰკიდოს ხელი, მაგრამ წიგნიერი კაცისაგან, ანუ ინტელექტით მომუშავე კადრისაგან ფიზიკურად მომუშავე არანაირად გამოდნება.**

მკითხველის სამსჯავროზე სამი ფაქტი უნდა გამოვიტანო.

**ფაქტი პირველი:** კარგა ხნის წინათ ცნობილ ტელეგადაცემაში ერთ-ერთმა დღევანდელმა „ავტორიტეტმა შემოქმედმა“ როგორღაც ასეთი „სიბრძნე“ გამოამზეურა: – ხომ არსებობს უძღები შვილის თემა. მე ახლა უძღები მამის თემა მაინტერესებსო (ციტირება შეიძლება ზუსტი არ არის, მაგრამ შინაარსი ნამდვილად ასეთი გახლდათ).

ფრაზამ იმდენად გამაოგნა და ყური მომჭრა, რომ ვიფიქრე, ეგების თავის დროზე მე ვერ წავიკითხე სწორად ლუკას სახარება-მეთქი. მერე ამ სახარებაში ქრისტეს მიერ ნაამბობი იგავის საფუძველზე შექმნილი რემბრანდტის შედევრი „უძღები შვილიც“ გავიხსენე და დავრწმუნდი, რომ ტელეეკრანიდან მეტყველი ავტორიტეტი გაუგონრად მკრეხელობდა. დალოცვილო, რემბრანდტთან გაჯიბრება და გატოლება თუ გსურს, აჰა, უამრავი ბიბლიური სიუჟეტი, აჰა ფუნჯი, აჰა საღებავი და თავად დახატე, ქრისტეს ნათქვამს რატომ აუკუღმართებ? განა არ იცი, რომ ლუკასეულ „ძეში“ – ცდომილი ადამიანი იგულისხმება, ხოლო მამამისი სხვა არავინაა თუ არა თვით უფალი? გამოდის რომ შენ „უძღები უფლის“, „ცთომილი ღვთის“ თემა გაინტერესებდა. არა, მართლა თუ არ იცოდი რასაც იქმოდი, ღმერთმა შეგინდოს, მაგრამ თუ იცოდი და განგებ მკრეხელობდი?..

ერთსაც დავუმატებ: მიწიერი მამაც რომ ეგულისხმა იმ ავტორიტეტს, ცოდვა მაინც გამოკვეთილია, რადგან მამა მაშინ ჰქვია კაცსა, როცა იგი ღვთის სახედ არის შექმნილი და წარმოდგენილი. სიტყვა „მამა“ წმინდა არსის მატარებელია. გავიხსენოთ, რას ეუბნება გამოცხადების დროს უფალი იერემია წინასწარმეტყველს: „ვთქვი, როგორ ჩაგთვალო ჩემს შვილებად და მოგცე სანატრელი ქვეყანა, ხალხთა სამკვიდრო, მშვენიერზე მშვენიერი? ვთქვი: მამას დამიძახებთ და აღარ დაბრუნდებით ჩემგან“. აი, ვინ არის მამა. სხვათა შორის იმ ტელეგადაცემის შემყურეს აღარ გამკვირვებია ერთი ჩვენი დამწყები მწერალი რატომ „შეუძვრა“ სარეცელში წმინდანად შერაცხულ თამარ მეფეს.

**ფაქტი მეორე:** ისევ ტელეეკრანიდან და ისევ დაახლოებით ამ ერთი წლის წინათ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ცნობილი ლიდერისაგან, რომელიც სახელმწიფო ტელევიზიიდან პროფესიონალთა ძველი თაობის დათხოვნაზე საუბრობდა, ასეთი თავისგასამართლებელი მიზეზი მოიშველიაა: – „ამერიკული ანდაზა ამბობს, ბებერი ძაღლები ახალ ტრიუკებს ვერ სწავლობენო“. კაცი რომ უფროს თაობაზე საუბრისას ასეთ ანდაზას გამოიყენებს, იმას რა უნდა მოჰკითხო. – ყმაწვილო, – შევეკითხები ახლა ამის მთქმელს – ის თუ გსმენია, რომ ქუჩის ფინიები სანადიროდ დაჰყავდეს ვინმეს, ან ის თუ მაინც იცი, რომ „აქლემი ისე არ მოკვდება, ვირის ოდენი ვერა ზიდოს?“

**ფაქტი მესამე**: ერთ ქართულ სუფრასთან ერთმა ახალგაზრდამ თავი მოიწონა, გვერდით მჯდომ მამას ხელი დაჰკრა მხარზე და თქვა, მე და მამაჩემი ძმაკაცები ვართო, მოპირდაპირედ მჯდომმა მეორე ახალგაზრდამ ერთხანს ითმინა, მერე მაინც ვერ დამალა გულისწყრომა და შეეპასუხა, მე და მამაჩემი ძმაკაცები ვერასდროს ვიქნებით, რადგან მამაჩემი ჩემთვის მიწაზე განსახიერებული ღმერთიაო. ადგა, მდაბლად თავი დაგვიკრა, ბოდიში მოგვიხადა უხერხული სიტუაციის შექმნისთვის და დაგვტოვა. მერე როცა გავიგე, რომ ეს ახალგაზრდა დედის ოჯახში იზრდებოდა, უმამოდ, ორმაგი პატივისცემით განვიმსჭვალე და გულში დედაც დავულოცე, დედა, რომელმაც, პირადი ტკივილის მიუხედავად, თავის ვაჟკაცს მაინც მამის სიყვარული ჩაუნერგა. ძალიან ბევრ ჩვენს ოჯახში კი ასეთი სული არ ტრიალებს. შვილები და მამები მართლაც



რემბრანდტის „უძღები შვილის დაბრუნება“.

ძმაკაცობენ, გაქრა რიდი და პატივისცემა, ან არადა, შვილები თუ განცალკევებით იზრდებიან დედის ოჯახში, განუწყვეტლივ ჩაესმით მამათა აუგი ხსენება.. მამათა ფესვს, სახესა და სახელს დაცილებული კაცი ჯილაგსაც არად დაგიდევს და ხშირად მალავს. ფაქტებს მოვუხმო? რა საჭიროა, ყველამ ყველაფერი კარგად იცის. ასეთი ხალხის ნამოქმედარი უნდა იყოს ის კანონი, რომლითაც პასპორტებიდან მამის სახელები გაქრა, ახლა კი ახალი კანონ-პროექტიც შევიდა პარლამენტში გვარების გადაკეთების გაიოლებასთან დაკავშირებით. ამ კანონის საფუძველზე დაწერ განცხადებას, მცირე გასამრჯელოს გაიღებ და რა გვარიც გინდა, იმას აიღებ და მიითვისებ. დიახ, მიითვისებ, რადგან ესა თუ ის გვარი თაობებით არის დაკანონებული. როდის იყო, რომ გვარს თავად იგონებდა კაცი. გვარი ჯილაგის დამახასიათებელი რაიმე თვისებიდან გამომდინარეობდა: ან სადაურობიდან ან საქმიანობიდან ან ხასიათიდან და მისი დამნათვლელი ის საზოგადოება თუ სოფელი იყო, რომელშიც იგი ტრიალებდა. ღირსების მატარებელი კაცი, რა გვარისაც არ უნდა იყოს, ამ გვარს უფრთხილდება, უღირსი კი სხვისას ეტანება. არც ეს არის ქართველი კაცისათვის ნიშანდობლივი. ის, ვინც თავის გვარ-წარმომავლობას მალავს, საკუთარი ჯილაგის მტერია და სხვის ჯილაგს რაღა კარგ დღეს დააყრის! ამასაც რომ თავი დავანებოთ, ამა თუ იმ გვარის მატარებელ ადამიანებსაც ხომ აქვთ უფლება თავიანთი გვარი დაიცვან. მაგალითად, ბაგრატიონებსა თუ ერისთავებს არა აქვთ უფლება, რომ თავიანთ საგვარეულოში უღირსი კაცი ან გადამთიელი არ მიიღონ? მე, მაგალითად, ერთი უბრალო გვარის კაცი ვარ, მაგრამ ჩემსავე გვარის კაცს ხასიათითაც გამოვარჩევ ხოლმე. ჩემს გვარში ჩემი ისტორია და ბედისწერაა, სხვამ რატომ უნდა მიითვისოს იგი? ასე თუ წავიდა საქმე, ეგების, ერსა და ქვეყანასაც შევუცვალოთ სახელი, რომელიც ასევე ჩვენგან კი არა, მეზობელი ხალხებისაგან გვაქვს მონიჭებული და დაფუძნებული. რას ემსახურება გვარების ასეთი მანიპულაციებით გართობა-თამაში თუ არა ერის გაბიაბრუებას და აღრევას, წინაპართა დავიწყებასა და უთვისტომობას? აქედან მოდის მამათა და უფროსი თაობის წარმომადგენელთა უპატივცემულობაც, რომელსაც შორს მიმავალი მიზნები აქვს.

„პატივი ეცი მამასა შენსა“ – გვასწავლის პირველივე მცნება. ისტორიაში ჩახედულმა კაცმა კარგად იცის როგორ მოიხსენიებენ მატიანეები მამათა წინააღმდეგ მებრძოლებს. არის ერთადერთი შემთხვევა, როცა მეისტორიემ მამისა და შვილის დაპირისპირება მიჩქმალა და მეფის ძეს რისხვა ააცილა თავიდან. მაგრამ თვით ეს ძე და გადარმჩენელი ერისა, სიცოცხლის ბოლომდე ნანობდა მომხდარს. დიდი ილიას მაგალითიც მოვიხმოთ. მამათა და შვილთა დაპირისპირების შემდეგ, რაც ხშირად „დაუკრეფავში“ გადადიოდა, ილიამ ბოდიში მოუხადა გრიგოლ ორბელიანს და იგი ერის ღირსეულ მამად შერაცხა. მართალია, ჩვენს ახალუხლებ „სწავლულთა“ ერთ ნაწილში ილია დიდ გასავალში არ არის, მაგრამ მისი სიტყვები მაინც უნდა შევახსენო მათ: **„ერთგვარი ყალბის მწერალნი არიან ჩვენში... როცა სურთ თავის მოპირისპირეს წუნი რამ დასდონ, ვითომ სახელი გაუფუჭონ, საზოგადოებაში სახელი გაუტეხონ, იმას მიაკერებენ მხოლოდ ერთს სიტყვას – „ძველიაო“. ავკარგიანობის გარჩევა ძველ-ახლობითა, ღირსების აწონ-დაწონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, სასაცილოზედაც მეტია... ეგეთი საპოლემიკო იარაღი ჭკვათამყოფელთათვის არა სჭრის. ძველობით ხსენება სხვისა, ამით კილვა და ძაგება ძველი იარაღია უღონობისა, გაცვეთილი ფანდია სახსარსმოკლებული ფალავნისა, მაგ იარაღის მხმარებელი გადაბერებულ გასათხოვარსა ჰგავს, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, საპატარძლოდ მორთულ ბებერსა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი – „ბებერსა სასძლოდ მორთულსა უფრთხილდი, მოერიდეო“.**

დავით აღმაშენებელმა ძველის ნაცვლად, რომ ახალგაზრდული არისტოკრატია (და არა საქმის არმცოდნე ყმაწვილნი) შემოიკრიბა ქვეყნის სამართავად, ჭკუას მაინც დიდ მამებს – გიორგი ჭყონდიდელს, არსენ იყალთოელს და სხვებს ეკითხებოდა. მესიის მახვილი იყო და წმინდა მამებს კი მორჩილებდა. არც წინა თაობა ულანძღია და არც მათი სახელი შეუბღალავს, თუმცა კი პაპამისსა და მამამისს ბევრი საკრიტიკო ჰქონდათ. **„არ დაანგრიო სხვათა ძეგლები... არ იშენო სამარხი სხვათა სამარხების ნამუსრევი ქვით, საკუთარი ქვა გამოკვეთე. გახსოვდეს: დიდსულოვნება მეფეთა სამკაულია“.** – გვმოძღვრავდა ჰერაკლეოპოლისელი მეფე ათასობით წლის წინათ.

უფალო შეგვიწყალენ! დღეს ამას რას ვხედავთ! დააკვირდით, რა გასავალშია მამათა გინება, მათი ამაგის მიჩუმათება და მხოლოდ შეცდომების გამომზეურება. თითქოს XX საუკუნეს უთვალავი ქართველი პატრიოტი არ ეშვას! ნუთუ ესენი მამები არ არიან?! გაიხედეთ გვერდით, ჯერ კიდევ ცოცხალნი არიან კლასიკოსები, კაცნი ხელოვანნი და ბრძენნი. გულშემოყრილნი ჩაკეტილან ისინი და სიკვდილსა ნატრობენ. პირდაპირ ბიბლიურ წყევლასა ჰგავს: **„ბარემ გააცალეთ ადამიანს ნესტოებში რომ უდგას სული, რადგან რაღა ღირსება აქვს მას?.. ვაჟკაცსა და მეომარს, მსაჯულს და ქადაგს, მისანს და უხუცესს, ორმოცდაათისთავს და დიდებულს, რჩეულს და ბრძენ ხელოვანს. გრძნეულ შემლოცველს სარდლებად ბიჭბუჭებს დავუდგენ და ქარაფშუტები იბატონებენ მათზე. დაითრგუნება ხალხი, კაცი კაცს დაჩაგრავს, მოყვასი – მოყვასს, ბავშვი გაუმედიდურდება მოხუცს, უღირსი – პატივდებულს...“** ნუთუ ესაიას წინასწარმეტყველება მოიწია ჩვენზე. თუ ასეა, კმარა ბატონებო, კმარა! სასჯელის მეტი ზომა და ვადა საჭირო აღარ არის!

იხ. მე-4 გვ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 153, 156, 157.

◉ ინფორმაცია

## რუსეთის დელეგაცია შეხვედრით კმაყოფილია

**ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებულ პრობლემები ცხინვალში გუშინ დაგეგმილ შეხვედრაზე განიხილეს, მოლაპარაკებები თბილისში გაგრძელდება.**

**საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ გუშინწინ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე იური ზუბაკოვთან და რუსეთის განსაკუთრებულ დავალებათა ელჩთან ვალერი კენიაკინთან, რომელიც შერეულ საკონტროლო კომისიაში რუსეთის მხარეს წარმოადგენს, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხები სამუშაო შეხვედრაზე განიხილა.**

**იური ზუბაკოვმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან გამართული „პროფესიონალური და გულწრფელი საუბრის“ გამო კმაყოფილება გამოთქვა. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მხარეებმა კონფლიქტის მოსაგვარებლად ბევრი რამ გააკეთეს, კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარების მოსაწესრიგებლად გასაკეთებელი ბევრია.**

**ხაინდრავას თქმით, ქართულმა მხარემ თბილისში ვიზიტად მყოფ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ცხინვალის რეგიონისათვის ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნა უსაყვედურა და ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა ქართული მხარის პოზიცია, რომ საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის რეგიონში კრიმინალური ჯგუფების თარეშის მოთმენას არ აპირებს და ოსური მხარისაგან უგზო-უკვლოდ დაკარგული საქართველოს 5 მოქალაქის მოძიების საქმეში ქართველ სამართალდამცველებთან თანამშრომლობას ელის.**

## მშენებლობას საფრთხე არ შეექმნება

**საქართველოს ყოფილი ეკონომიკის მინისტრი და ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი დარწმუნებულია, რომ თბილისის ახალი აეროპორტის მშენებლობას საფრთხე არ**



**შეექმნება. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ აეროპორტის მშენებლობისათვის გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს და ერთობლივი კონსორციუმის წევრებს გარკვეული უთანხმოება აქვთ, აეროპორტის მშენებლობა მაინც გაგრძელდება. თუმცა მინისტრმა არ იცის, აშენდება თუ არა თბილისის აეროპორტი მომავალი წლის 26 მაისისთვის, როგორც იყო დაგეგმილი.**

**ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობა საზოგადოებას მიაწვდის. ალექსიშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობა არ ჩაერევა „ჩელებისა“ და „ჯი თი ეს“ შორის არსებულ გაუგებრობაში.**

## ჯგუფი სტრასბურგიდან დაბრუნდა

**საქართველოს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხზე მომუშავე მონიტორინგის ჯგუფი გუშინ სტრასბურგიდან დაბრუნდა.**

**როგორც ინტერპრესისათვის გახდა ცნობილი, სტრასბურგში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის კუთხით საქართველოს კანონმდებლობის დახვეწას შეეხება.**

**საქართველოს პარლამენტმა საშემოდგომო სესიაზე მთელ რიგ კანონებში ცვლილებები უნდა შეიტანოს, რათა საქართველოს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი უფრო გამჭვირვალე გახდეს. ცვლილებებია შესატანი საარჩევნო კოდექსში, ასევე სისხლის სამართლის კოდექსში.**

**პოლიტიკური პარტიების დაფინანსება ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც განხორციელდება. ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ოთხპროცენტიან საარჩევნო ბარიერს გადალახავენ, არჩევნებზე მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან. თუმცა, კანონშივე განისაზღვრება კვოტა, თუ რამდენ ათას ხმაზე შეეძლება პარტიას გარკვეული თანხის მიღება.**

**პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანია.**

## „ბაზელმა“ თანხის გადმორიცხვა დაიწყო

**კრწანისის რეზიდენციის პრივატიზაციიდან შემოსავალს სახელმწიფო ბიუჯეტი კვირის ბოლომდე მიიღებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შპს „ბაზელის“ გენერალურმა დირექტორმა შალვა ქოჩლაძემ განუცხადა, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშზე 5 მლნ. დოლარის გადარიცხვის გადაწყვეტილება „ბაზელმა“ გუშინ მიიღო.**

**შალვა ქოჩლაძის განცხადებით, პროექტი კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადებში განხორციელდება. თანხის გადახდა კი რამდენიმე ეტაპადაა დაგეგმილი. უკვე გადარიცხულია 2 მლნ დოლარი.**

**„ამ ეტაპზე ვგეგმავდით მხოლოდ 3,5 მლნ. დოლარის გადახდას, თუმცა საკონტრაქტო პირობებმა უმცირესი ცვლილება საქართველოს სასიკეთოდ განიცადა და 2-3 საბანკო დღეში 5 მლნ. დოლარი ან შვეიცარიიდან ან აშშ-დან გადმოირიცხება“, – განაცხადა ქოჩლაძემ.**

**„ბაზელმა“ კრწანისის რეზიდენცია სულ 15 მლნ. დოლარად უნდა შეისყიდოს, დარჩენილი 8 მლნ. დოლარი ოქტომბრამდე უნდა გადმორიცხოს.**

ინტერპრესნიუსი

◉ ტურიზმი

# ძვირადღირებულ კურორტებზე მხოლოდ ბიზნესმენები დადიან?

*ზაფხული ბევრ ოჯახს თავსატეხს უჩენს. სიცხით თავმობეზრებულ ხალხს ქალაქიდან გასვლა ეჩქარება, უმეტესობა კი ამას უფულობის გამო ვერ ახერხებს.*

*ცხელ სეზონს თბილისში ძირითადად ღარიბები და ის ადამიანები ატარებენ, ვინც სამსახურს თავს ვერ აღწევენ, ხოლო საშუალო ფენა საკუთარ სოფელში ან უკეთეს შემთხვევაში საქართველოს კურორტებზე მიდის.*

*რაც შეეხება მდიდრებს, ისინი ნავსაყუდელს უცხოეთში დასვენებით პოულობენ, ამისთვის კი ტურისტული ფირმები ზრუნავენ.*

*ძირითადად რომელ ქვეყნებში მიემგზავრებიან ჩვენი შეძლებული მოქალაქეები და როგორ სერვისს სთავაზობენ მათ სააგენტოები? ამის თაობაზე გვესაუბრება „მოგზაურთა კლუბის“ დირექტორი სიკო ბეგიაძე.*

– ჩვენი ფირმა თითქმის უკვე ოთხი წელია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში უცხოეთში დასასვენებლად გამგზავრების ამდენი მსურველი არ გვყოლია, როგორც წელს. ეს მისასალმებელია, – ამბობს ბატონი სიკო, – რადგან ქვეყანაში სოციალური ყოფის გაუმჯობესებაზე მიგვანიშნებს.



უცხოეთში „მოგზაურთა კლუბს“ უკვე სამასამდე პარტნიორი კომპანია ჰყავს. ისინი ორიენტაციას ძირითადად გამარტივებულ სავიზო რეჟიმის ქვეყნებზე იღებენ, რადგან საელჩოებში მოქალაქეებს ნაკლები სირთულე ხვდებათ. დასასვენებლად წასვლის მსურველთა უმეტესობა, თურქეთის ზღვის სანაპიროს არჩევს.

– ამიტომ ამ ქვეყანაში წელს, ნაციონალურ ავიახაზებთან ერთად ცხრა ჩარტერული რეისი გვაქვს დანიშნული, – აქედან ექვსი ანტალიაში, ხოლო სამი – ბოდრომში.

პირველი ჯგუფი თურქეთში 20 ივლისს გაემგზავრება, ამ ჯგუფში იქნება „ამტანების“ გამარჯვებული, მეგობართან ერთად. მათთან გამგზავრების სურვილს ბევრი გამოთქვამს, რის გამოც ადგილები არ გვყოფნის. „ამტანებს“ ჯერ გადაწყვეტილი არ აქვთ სად დაისვენებენ – ანტალიაში, თუ ბოდრომში, თუმცა მათი ხუთვარსკვლავიან სასტუმროში მოთავსება უკვე გადაწყვეტილია. რის ხარჯებსაც მთლიანად ჩვენი კომპანია გაიღებს.



რაც შეეხება მომსახურებას, მოქალაქეებს ჩვენ მთლიან ტურისტულ პაკეტს ვთავაზობთ. სერვისის უზრუნველსაყოფად ჯერ მარტო თურქეთში ათამდე კომპანიასთან გვაქვს კონტრაქტი დადებული.

**– საშუალოდ რამდენი ჯდება უცხოეთში დასვენება?**

– გააჩნია რა სახის მომსახურებას და რომელ ქვეყანას ირჩევს მოქალაქე. ჩვენ სამვარსკვლავიან სასტუმროზე ნაკლებს არ ვთავაზობთ, თურქეთში კი ასეთ სასტუმროში ორ-კვირიანი დასვენება შვიდასორმოცდაათი დოლარი ჯდება, ხუთვარსკვლავიანი კი – 150-200 დოლარით მეტი.

დასვენება ყველაზე ძვირი ნიცაში, მონტე კარლოსა და კანარის კუნძულებზე ღირს, იქ კაცი ერთი კვირის განმავლობაში ორი ათას დოლარს იხდის. არის ისეთი სასტუმროებიც, რომლებიც დღეში ათას დოლარზე მეტი ღირს, თუმცა ასეთი შეკვეთა ჯერ არ გვქონია.

ამ კურორტებზე წამსვლელთა რიცხვი მცირეა, წელს მხოლოდ საქართველოდან სამი ოჯახი აპირებს წასვლას და ისინი ძირითადად ბიზნესმენები არიან.

ახლა ბევრ ახალგაზრდას აქვს სტაბილური ხელფასი და მათ უკვე თავისუფლად შეუძლიათ უცხოეთში დასვენება.

**– წელს რა სიახლეებს სთავაზობთ ტურისტებს?**

– ახლა გავზარდეთ კურორტების და სასტუმროების რაოდენობა თურქეთში, რაც მათ მეტი არჩევანის საშუალებას აძლევს. ამასთან ერთად ხალხს კრედიტით დასვენებასაც ვთავაზობთ, ისინი დასაწყისში მხოლოდ ღირებულების 10 პროცენტს გადაიხდიან, დანარჩენს კი გარკვეული თვეების განმავლობაში დაფარავენ.

**– უცხოელი ტურისტები თუ ჩამოდიან საქართველოში დასასვენებლად?**

– სამწუხაროდ, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო, ძალიან ცოტა. მით უმეტეს, რომ უამრავ საინტერესო პირობებს ვთავაზობთ: მთაში სეირნობას, მყინვარწვერზე საჩვენებელ ასვლებს, თხილამურებით სრიალს და ასე შემდეგ.

შემოდგომისთვის დაგეგმილი გვაქვს კახეთში ღვინის ტური, ვფიქრობთ. უცხოელებს სოფელი და ღვინის დაყენების პროცესი დააინტერესებთ. ასევე, ვაპირებთ ფოლკლორული ტურის გაკეთებას, რაზეც მოლაპარაკებები გვაქვს ხალხურ ჯგუფებთან.

მაქსიმალურად ვცდილობთ ტურისტების მოზიდვას, ვნახოთ, როგორ გამოგვივა.

**ლელა მანაგლიშვილი.**

◉ ახალი ტექნოლოგიები

# ნავთობზე ვდგავართ, ხელებში კი სხვას შევყურებთ...

**ძნელი წარმოსადგენია კაცობრიობის არსებობა თანამედროვე ეტაპზე ნავთობის და ნახშირწყალბადოვანი აირის გარეშე. არ არის სფერო ჩვენი ცხოვრებისა, რომელშიც აღნიშნული ენერგოშემცველები არ გამოიყენებოდეს. ეს არის ყველა ქვეყნის ეკონომიკური სიმდიდრე, ძლიერება და კაპიტალი, რომელიც ხშირად მართავს მსოფლიოში პოლიტიკის და გავლენის სფეროებსაც კი.**

ამჟამად საქართველოში ნავთობის 15 და ნახშირწყალბადური აირის 2 საბადოა. ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ მონაცემებით, საქართველოში ნავთობის პროგნოზული მარაგი შეადგენს 2,8 მლრდ. ტონას. 1999 წელს კი მხოლოდ 130 ათასი ტონა ნავთობი მოიპოვეს.

2000 წლის ოქტომბერში ამოქმედდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და ამუშავდა სუფსის ტერმინალი.. ასევე გაიხსნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი.

დადგენილია საქართველოს გავლით ნახშირწყალბადური აირის ტრანსპორტირების მარშრუტი: ბაქო-თბილისი-ერზრუმი. მოკლე პერიოდში საქართველო გადაიქცევა ნავთობისა და ნახშირწყალბადური აირის მომპოვებელ და სატრანზიტო ქვეყნად.

მაგრამ მეცნიერული, ტექნოლოგიური და ეკონომიკურად დასაბუთებული პროგრამების უქონლობის გამო, „საქნავთობი“ იძულებულია ნედლი ნავთობის სარეალიზაციოდ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანოს. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორების დიმიტრი შენგელიას და გიორგი არეშიძის აზრით, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ანალიზი მოწმობს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ძლიერება პირდაპირ დამოკიდებულია მცირეტონაჟიანი ნავთობქიმიური პროდუქტების ასორტიმენტთან, პროდუქციის მოცულობასთან და მოხმარებასთან. აქედან გამომდინარე, საქართველოს მცირედებიტიანი მაღალხარისხიანი სასაქონლო ნავთობის ექსპორტი, სათანადო გადამუშავების გარეშე, ან მისგან მხოლოდ საწვავ ნავთობპროდუქტთა წარმოება ეკონომიკურად გაუმართლებელია. გაცილებით უფრო მომგებიანია მათგან ძვირადღირებული ნავთობქიმიური ნაწარმის მიღება – ქიმიურ რეაქტივთა, ზესუფთა ორგანულ ნივთიერებათა, სხვადასხვა მარკის ნახშირწყალბადურ გამხსნელთა, თხევად და მყარ პარაფინთა და ქვეყნისათვის დეფიციტური სხვა პროდუქციის წარმოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის „ნავთობქიმიური პროცესების“ ლაბორატორიაში, ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ენერგორესურსების ფიზიკურ-ქიმიური კვლევის ლაბორატორიასთან თანამშრომლობით, პირველად არის გამოკვლეული საქართველოს აღმოსავლეთი და დასავლეთი ნავთობი, ახალი თაობის თანამედროვე ინსტრუმენტული



მეთოდების გამოყენებით, ამერიკული სტანდარტის მიხედვით. ჩატარებული კვლევა საშუალებას იძლევა საქართველოს ნავთობი გამოყენებული იქნას კვალიფიციურად, ხელი შეუწყოს ნავთობქიმიის განვითარებას, რაც უთუოდ დაკავშირებულია მეცნიერულ სიახლესთან, დიდ პრაქტიკულ ღირებულებასთან. არის მოსაზრება, რომ ერთგვაროვანი ნავთობი ცალ-ცალკე უნდა შეგროვდეს, როგორც მიღებულია განვითარებულ ქვეყნებში, ვინაიდან ერთმანეთისგან ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით და შედგენილობით განსხვავებული ნავთობის ნარევის გადამუშავება ირაციონალურია.

პირველად მიღებულია სამამულო ნახშირწყალბადოვანი გამხსნელები (პეტროლეინის ეთერის ფრაქცია, პეტროლგინის ეთერი, საექსტრაქციო ბენზინი, ბენზინ-გამხსნელი, უაით სპირიტი და სხვ.). მიღებული გამხსნელების წარმოება მთლიანად დააკმაყოფილებს ქვეყანას კვლევითი, საექსტრაქციო, ლაქსაღებავის პროდუქციაზე და სხვა დარგების მოთხოვნილებას. შეწყდება მათი იმპორტი საზღვარგარეთიდან, ისინი პერსპექტიულნი არიან ექსპორტისთვისაც.

პირველად შემუშავებულია ახალი პროცესი, რომელიც საშუალებას იძლევა, ბენზინის ვიწრო ფრაქციებიდან ვაწარმოოთ ინდივიდუალური, მაღალი ხარისხი ნახშირწყალბადები – პენტანი, ჰექსანი, ჰეპტანი, ციკლოპენტადონი, დიციკლოპენტადონი, ბენზოლი, ტოლუოლი, აგრეთვე, ციკლოჰექსანის, მეთილციკლოჰექსანის მაღალი შემცველი კონცენტრატები, მათი გამოყენებით სინთეზირებული ქლორ, ჟანგბად, ნიტრო და სხვა ფუნქციონალური შემცველი ნაერთები.

ასევე შემუშავებულია პროცესები, რომლებიც საშუალებას იძლევიან შესაბამისი თხევადი და მყარი პარაფინების წარმოებისათვის.

თხევადი პარაფინები გამოიყენება მიკრობიოლოგიის, კვების მრეწველობაში საფუარის მისაღებად, ხოლო გაჩი, პეტროლატუმი, მყარი ფარაფინები – ჰიდროფობიზაციის სახით ხე-ბურბუშელა მასალის (ДСП), ხებოჭკოვანი ფარების (ДБП), კვების, სამკურნალო მედიცინაში, რადიოტექნიკურ, სანთლის, საყოფაცხოვრებო ქიმიურ მრეწველობაში.

აღნიშნული ნავთობპროდუქტები და ორგანული ნაერთები საქართველოში არ იწარმოება და მთლიანად უცხოეთიდან შემოაქვთ. ამდენად, შეწყდება აღნიშნულ დეფიციტურ მასალათა იმპორტი საზღვარგარეთიდან და გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები.

საქართველოს ნავთობის საფუძველზე მცირეტონაჟიანი ნავთობ-ქიმიური პროდუქტების წარმოება განსაკუთრებულ ზეგავლენას მოახდენს სამამულო ორგანული რეაქტივების, კვლევითი და კონსტრუქციული სამუშაოების მიმდინარეობის, მედიცინის, სოფლის მეურნეობის, ბიოტექნოლოგიის და სხვა დარგების განვითარების ტემპებზე.

ქვეყნისათვის უფრო მომგებიანი იქნება, თუ საქართველოში ტრანსპორტირებადი ნედლი ნავთობის და ნავთობწყალბადური აირის გატარების შეთანხმებული საფასურის ნაცვლად ქვეყანაში ყოველწლიურად დარჩება 2 მლნ. ტონა ნავთობი და 5 მლრდ. კუბური მეტრი აირი. აღნიშნული რაოდენობის ნავთობი და აირი საშუალებას მოგვცემს დაარსდეს (აღორძინდეს) სამამულო ნავთობგადამამუშავებელი წარმოება და ამით დაკმაყოფილდეს ქვეყნის მოთხოვნილება საწვავ-საპოხ ნავთობპროდუქტებზე (ბენზინი, დიზელი, მაზუთი). ამით შემცირდება მათი იმპორტი და კონტრაბანდული შემოტანა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ დადებითად შეაფასა აღნიშნული დარგის განვითარების კონცეფცია.

**ლალი ქინქლაძე.**

ყოფა

# ჩვენ ყველანი, ოღონდ არა თითოეული ჩვენგანი...

**... ნაკვერჩხალგადაყლაპულებივით ვცხოვრობთ, რადგან ჩვენი ყოფის აუტანლად სპარტანული წესი ქვეყნიერების გვირგვინი ნამდვილად არ გახლავთ. ამის გამო ჩვენ ყველანი, ოღონდ არა თითოეული ჩვენგანი, სულ ვფორიაქობთ, ვეღარც შინ ვჩერდებით, აღარც გარეთ (თუ საზღვარგარეთ) დაგვედგომება. შინ არ დაგვედგომება უშუქობის, უგაზობის, საძირკველშერყეული და სახურავგადახდილი სახლების თავზე ჩამომხობის შიშის გამო. შინ მშიერ-მწყურვალე ბავშვების პატრონს, გარეთ გასვლისაც გვეშინია, თუნდაც იმიტომ, რომ ათასობით ხელგაწვდილი დიდ-პატარის საცოდაობით გულის გახეთქვის ალბათობა ერთი-ორად მატულობს. თანაც ყაჩაღების, ჯიბის ქურდების, ათასგვარი სხვა ჯურის ავაზაკების თარეშმა აშკარად იმატა. ახლა, როგორც ცოტა ხნის წინათ ტელევიზიით ვიხილეთ, აღარც საზღვარგარეთ გვაყენებენ, — არალეგალური ემიგრანტები და კრიმინალები ხართო. არადა, ხალხი მცოდნე, განათლებული, ევროპასა თუ ამერიკაში მუშებად, ძიძებად, ჭურჭლის მრეცხავებად და ა.შ. მუშაობს, რათა საქართველოში დარჩენილ ახლობლებს ლუკმაპურის ფული მიაწოდოს...**

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ ისიც, რომ ბევრი ჩვენი თანამემამულე საზღვარგარეთის მრავალ პრესტიჟულ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრსა თუ ცნობილ ფირმაშიც მოღვაწეობს, მაგრამ მათი რიცხვი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასული მოსახლეობის საერთო მასასთან შედარებით, აშკარად მცირეა. სამწუხაროა და საგანგაშო ისიც, რომ მათ რიცხვს ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტიდან „გამოპინტრიშებულ" პედაგოგ-მასწავლებელთაგან, რომლებსაც სახელმწიფომ მათხოვრული დროებითი სტიპენდიაშემწეობა დაუნიშნა, სწავლულთა და პედაგოგთა რიგებიდან თუნდაც რამდენიმე კაცი შეემატება.

თავის დროზე, ჩვენი ქვეყნის ზრდასრულ მოქალაქეთა დიდი ნაწილი ან რაღაცას ებრძოდა (თუმცა მრავალთათვის ამ „ბრძოლის" ჭეშმარიტი არსი იდუმალებით იყო მოცული) და ანგრევდა, ანდა რაღაცას აშენებდა. ებრძოდა თვითმპყრობელობას, მემარცხენე ოპორტუნიზმს, ხალხის მტრებს, პიროვნების კულტს, უსაქმურობას, ლოთობას, მეძავობას, მექრთამეობას; ანგრევდა, ძირითადად, საყდრებს, სახელოვან გვარიშვილთა ან შეძლებული ხალხის სახლ-კარს; აშენებდა ქალაქებს უდაბნოსა და უსიერ ტაიგაში, ჰიდროელექტროსადგურებს — მიუვალ ადგილებში.

დაახლოებით იგივეს აკეთებდნენ საქართველოში დამოუკიდებლობის მიღწევის შემდგომ პირველი ათი წლის მანძილზე ეროვნული (ძირითადად, იგივე „წითელი") მაღალჩინოსნები: ისინი „ძველმოდურად" ებრძოდნენ ათასგვარ „მანკიერებას", მაგალითად, კორუფციას, აშენებით კი ახლა უკვე მხოლოდ საკუთარი სახლებისა და აგარაკების მშენებლობა-კეთილმოწყობით იყვნენ დაკავებულნი.

თუმცა, რომ იტყვიან, ერთი დრო არავის შერჩენია, იმ გადატრიალებების მტუტე ტალღას, რომელსაც თავდაპირველად ამაღლებულ სიტყვა „რევოლუციას" უწოდებდნენ, მოყოლილ ნაკომუნისტარ-ნაკომკავშირალ „ელიტასაც" პანჩური ამოჰკრეს და ისტორიის სანაგვეზე ამჯერად უკვე სამუდამოდ მოისროლეს.

მაგრამ ახლა სხვა სენი შეგვეყარა: დემოკრატიისთვის, დემოკრატიული ფასეულობებისთვის ახლა იმდენად ცხარე ბრძოლა გაჩაღდა, რომ ასე კიდევ ცოტა ხანსაც თუ გაგრძელდა, მალე, შესაძლოა, კაცობრიობის ამ უდიდესი მონაპოვრის (თუ ბორკილისთვის?) მებრძოლი ჩვენში კაცი აღარ დარჩეს.

რატომო, იკითხავთ. რატომ და, ისევ იმ წყეული სიდუხჭირის გამო. „ხალხის მსახურნი", ახლა ხშირად უკვე სხვადასხვა საზღვარგარეთული „ნუცას სკოლა" დამთავრებული გოგო-ბიჭები (სხვა სახელს ვერც მოუძებნი), ისევე, როგორც „განვითარებული სოციალიზმის" და „კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის" პირობებში, კვლავაც „ბატონზე", ანუ ხალხზე გაცილებით უკეთ გრძნობენ თავს და



სადარდებელად მხოლოდ საკუთარი მაღალი თანამდებობისა და პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნება გაუხდიათ. მარტო მაღალჩინოსნების სამსახურებრივი ავტომანქანები და პარლამენტართა „საშვილიშვილო" ხელფასები რად ღირს!

ესეც, თითქოს ბევრი არაფერია: ქართველებს ამისთანეებისთვის გაგვიძლია! მაგრამ, ქვეყნის ქალაქები გადახერგილი ქუჩებისა და გზატკეცილების „შუშის სამხეცედ" რომ იქცა?! უწინდელი „სახლთმშენებლების" აბსოლუტური უმრავლესობაც თავს ძველებურად კარგად გრძნობს: ზოგმა თავს საზღვარგარეთ გაქცევით უშველა და, თუმცა, ზოგ მათგანს აქ ქონება ჩამოართვეს, თადარიგიანად გაზიდული ფულის წყალობით არც ახლა ზის მშიერი. ზოგსაც უსინდისოდ ნაშოვნის უმეტესი ნაწილი აქვე „დააყრევინეს", თუმცა სამათხოვროდ არც მათ აქვთ საქმე.

როგორც ქვეყნის საგადასახადო სისტემაში ბოლო დროს განვითარებულმა უპრეცედენტო მოვლენებმა დაგვანახა, კორუფციას ქვეყანაში ფესვები იმდენად ღრმად აქვს გადგმული, რომ მათი ამოძირკვა ვერანაირი უცხოური დიპლომებით თუ ტესტირებით ვერ ხერხდება. როგორც ჩანს, ამ ახალგაზრდა მოხელეთა დიდი ნაწილიც, ისევე, როგორც მათ წინამორბედთა უმეტესობა, არის მწყრალად მომხვეჭელობის უკურნებელ სენთან.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს „პურიან" ადგილებზე მომუშავე ჩინოსნები რაღაც ინდოელ ბრამინთა მსგავსი უზენაესი კასტაა, ანუ პირამიდის ის წვეროა, რომელიც, მართალია, მედიის „ელვებს" კი იზიდავს,

მაგრამ ეს „ზეციური ცეცხლი" მათ ბევრს ვერაფერს აკლებს, ვინაიდან გულის მაგივრად ფულით სავსე ქისა აქვთ, ხოლო „ფინანსური მარხვა" არც ოდესმე დაუცავთ. ეს ის ხალხია, ვინც საკუთარ რეპუტაციაზე უფრო სამარცხვინოა. „ახალ ქართველთა" ამ „ქვედანაყოფებში" „მსახურობენ" მოქნილი, აგრესიული ადამიანები, რომლებსაც საოცრად ხელეწიფებად ლაქიობა, თუმცა კი ბატონობა ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი.

ხაზინის ქურდები, ჰუმანიტარულ დახმარებას ამოფარებული კონტრაბანდისტები, სეპარატისტები და მისთანეები იმ პირველკლასელ ოროსნებს ჰგვანან, რომლებსაც მასწავლებლის შეგონებაზე მეტად უფრო ის აინტერესებთ, ბარბის კაბის ქვეშ საცვალი აცვია თუ არა. მათი აღმზრდელი ქვეყანა ჭეშმარიტი გმირია, რადგან ისინი წურბელებივით მიკრულნი არიან მის იავარქმნილ სხეულს, მისი სისხლის ბოლო წვეთამდე ამოხვრეპას ლამობენ, ის კი მაინც ფეხზე დგომას ცდილობს. ეს ხალხი თავს ზნეობრივად ამაღლებულად და სხვებზე უკეთესად მიიჩნევს, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც „გაჩითულა" ისეთ საროსკიპოში, სადაც სტრიპტიზს ჩიხტიკოპიანი ბოზები ცეკვავენ.

მრავალი ადამიანი დედაქალაქის „საძინებელ" რაიონებში უსამსახუროდ, უსახსროდ ჩიტის გალიისოდენა ბინებში ცხოვრობს, რომელთა ფანჯრები სანაგვეებსა და სანაგვეებად გადაქცეულ იმ ქუჩებს გადასცქერის, რომლებზეც სასმელი წყლისა და ფეკალური მასების ნაკადები მოედინება. არადა, ჩინოსნები (ჯერჯერობით მაინც) ვერაფრით მიეჩვივნენ იმას, რომ ჩვენს, არსებითად სამხრეთულ ქვეყანაში, ყოველ წელს (განუხრელად!) ზამთარი დგება, თანაც ზოგჯერ საკმაოდ სუსხიანიც, ზაფხულში ხშირად გვალვა იცის, ხოლო გაზაფხულსა და შემოდგომაზე — წყალდიდობები და გაუთავებელი წვიმა. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ ხალხი ხელისუფლებისგან წლის ყოველ დროს სეზონის შესაბამის მოქმედებას მოითხოვს?!

და კიდევ ერთი. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხაზინის ძველი თუ ახალი ქურდების ხელში დაგროვილი შიდა და საგარეო ვალები რომ გავისტუმროთ, ახლა მცხოვრებნი ყველანი უკვდავები უნდა ვიყოთ. თანაც საეჭვოა, რომ დროის ეს არცთუ მცირედი მონაკვეთი ამ მაღალზნეობრივი ამოცანის გადასაწყვეტად გვეყოს. ამიტომ, როცა ფსონზე დევს ჩვენივე სიცოცხლე და მომავალი, მარტო თეორიის ნდობა დიდი სისულელეა. სწორი და გააზრებული არჩევანის გაკეთება უახლოეს მომავალში კი არა, დღესვე, თითოეული ჩვენგანის უწინარესი ვალია და ამას ვინმეზე დაბოლმვის ანდა ჯავრის ამოყრის ნიშან-წყალიც არ უნდა ჰქონდეს. ამის დასტურად კი ცნობილი ამერიკელი მწერლის ფრენკ ჰაგარდის მუად-დიბის აპოკრიფის სახით გამოთქმული ერთი აზრი მინდა მოგახსენოთ:

**„ბოროტება არასოდეს გააწონასწორებს ან გამოასწორებს წარსულს. მას მხოლოდ მომავლის შეიარაღება შეუძლია უფრო დიდი ბოროტების ჩასადენად".**

**ოთარ ტურაბელიძე**

სიტყვა ერის გასაგონად

# ფრთხილად, ქართველნო!

(მესამე გვერდიდან)

## საით მიერეკებიან ქართველობას?

რატომ ერეკებიან ჭაღარა და ჭარმაგ ადამიანებს, გამოცდილ კადრებს? იმიტომ კი არა, რომ 40 წელს გადაცილებულ პიროვნებას, ვთქვათ, უცხო ენათა შესწავლა და კომპიუტერის მოხმარება უჭირს, არამედ იმიტომ, რომ 40-50 წლის ქართველი — „ცუდიც" და „კარგიც" ჩამოყალიბებული ქართველია. რა თქმა უნდა, 40 წლის ქვევითაც უამრავი ჩამოყალიბებული, ერის საჯილდაო ქვით გაწვრთნილი ადამიანია (ისევე როგორც 50 წლის ზევით ბევრ ქარაფშუტას წააწყდებით), მაგრამ ამ ასაკობრივ თამასას ქვევით მასის „გადარჯულება" გაცილებით პერსპექტიულია, თანაც განათლება თუ უცხოეთში აქვს მიღებული ახალგაზრდას (არა აქვს მნიშვნელობა, რა ისწავლა და როგორ ისწავლა), მთლად მისწრებაა.

რას ნიშნავს ეს „გადარჯულება". ეს ვითომდაც დასავლური აზროვნება და სულიერება მკითხველმა უჩემოდაც კარგად იცის. ვიმეორებ, უცხო ქვეყნების ფასეულობათა ბრმად შემოტანა ჩვენში არასდროს ხდებოდა (დააკვირდით ჩვენს პოეზიას, მუსიკას, ხუროთმოძღვრებას, ჩვენს კედლის მხატვრობას) , იგი ქართულ ცხრილში წმინდავდებოდა, ჩვენებური მარილითა და საკმაზით ნელდებოდა, ქართულ ფესვებს ემყნობოდა. ახლა კი აშკარაა, რომ ბრძენთა და დარბაისელთა იგნორირებას თან სდევს სულიერ ფასეულობათა დევალვაცია. მავანსა და მავანს გაუადვილდა ქართული საზოგადოების მართვა, წინააღმდეგობა მიზერულია. ახლა საქართველო მაღალი დონის სულიერი და ინტელექტუალური ქვეყნიდან თავისუფლად შეიძლება ვაქციოთ ქვეყანა-დერეფნად, სადაც ყველაზე მეტად მომრავლდება რესტორნები, ტუალეტები, სასტუმროები, ბენზინგასამართი სადგურები, სამორინეები, საროსკიპოები. უკანა პლანზე გადაიწევს ქართული მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება. ეს დარგები ფართო მოხმარების, იაფფასიანი ნაწარმოებების შექმნას მოემსახურებიან. საქართველოსთვის თითქოს ძველჩინური მოისტური იდეოლოგია გაიხსენეს, რომელიც მხოლოდ ისეთ კულტურას აღიარებს, რომელიც ადამიანს საკვების, ტანსაცმლისა და საცხოვრებლის შეძენა-მოხმარებაში წაადგება. ეს იქნება სრული სულიერი კატასტროფა. ჩვენ მსოფლიო გლობალიზაციის მორევში გვითრევენ!

რას ნიშნავს ეს გლობალიზაცია და ვის რაში სჭირდება?

გლობალიზაცია იმავე ტევადობის სიტყვაა, რაც სოციალისტურ-ბოლშევიკურ-პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, ოღონდ ეს უკანასკნელი დაქირავებულთა მსოფლიო გაერთიანებასა და ბატონობას გულისხმობდა, გლობალიზაცია კი, უწინარესად, დამქირავებელთა მსოფლიო მართვას გულისხმობს (რა თქმა უნდა, დაქირავებულიც დამქირავებლის გვერდით მოიაზრება). ერთი სიტყვით, ჩვენ საქმე გვაქვს კოსმოპოლიტიზმის ვერაგულ და გააზრებულ სქემასთან. არადა, დედამიწის მთელი მოსახლეობა, კაცობრიობა სულაც არ არის ერთი სოციალური ორგანიზმი, სხეული. სოციალურად არსებობენ ხალხები, ერები და სახელმწიფოები. კაცობრიობა ამ ერებისა და ქვეყნების ნაკრებია, რომელიც შიგნიდან მუდამ ქმედების აღმძვრელ წინააღმდეგობაშია. როგორც უარყოფით და დადებით მუხტებს, მათ მოძრაობაში მოჰყავთ მსოფლიო ურთიერთობათა სასიცოცხლო ორგანიზმი. ის, ვინც დღეს მსოფლიო ბატონობაზე და კაცობრიობის მართვაზე ოცნებობს, იძულებულია, რომ იგი ერთ სოციალურ სხეულად, ერთ ერად, ერთ ქვეყნად, ერთ პოლიტიკად, ერთ ზნეობად, ერთ ენად, ერთ სარწმუნოებად აქციოს. აბრეშუმის ფარჩა-ჭიჭნაურში გახვეული ამ მზაკვრული იდეისა და „ოქროს ხბოს" მოქანდაკენი ერთ რამეს, უფლის ერთ საიდუმლოს არ ითვალისწინებენ: მამაზეციერმა „ქვეყანა რამდენიმე ნაწილის გაერთიანებით კი არ შექმნა, არამედ პირიქით — ერთი მთლიანის დანაწილებით: ერთმანეთისგან გაიყარა დღე და ღამე, წყალი და მიწა, ცეცხლი და ჰაერი, აღმოაცენა მცენარეული საფარი, გააჩინა ზღვაში თევზები და ხმელეთზე ცხოველები: **„დაინახა ღმერთმა ყოველივე რაც გააჩინა, და აჰა, ძალიან კარგი იყო. იყო საღამო, იყო დილა — მეექვსე დღე"** („დაბადება"). მხოლოდ ამის შემდეგ შეიქნა ადამიანი და მალე მისგან ნეკნის გამოღებით მამრის საპირისპიროდ მდედრიც გააცოცხლა (დღეს ბევრი ამ დიფერენციაციასაც უარყოფს: კაცი +კაცი, ქალი+ქალი). წარღვნის შემდგომ ახალი ცოდვა რომ არ ჩაედინა, უფალმა ბაბილონის გოდოლი (კადნიერებისა და უფალთან ფიზიკურად მიახლოვების დამაქცევარი სურვილი) დაანგრია და კაცობრიობა სისხლისა და ენის ჯგუფების მიხედვით დაჰყო. გლობალიზაციის მესვეურებმა, ამ მამონის ქურუმებმა, რომლებიც „ლოჟებში", „ორდენებში" და „გილდიებში" არიან დაფრთიანებული, ბუნებრივია, ღვთის ძალა და ნება იციან, იციან, რომ უფალთან დაპირისპირების ეს გზა წარღვნისკენ მიმავალი გზაა, იციან და მაინც მიდიან — დასკვნა შეიძლება ერთადერთი იყოს: სატანისტებს თავიანთი კიდობანი გამზადებული აქვთ, დანარჩენი კაცობრიობა კი ფეხებზე ჰკიდიათ. დააკვირდით, რა არის გლობალისტთა მთავარი იდეოლოგიური იარაღი? — „ტერორიზმთან საერთაშორისო ბრძოლა" (კომუნისტები თავის დროზე სისხლისმწოველ კაპიტალისტთა აგენტებსა და დივერსანტებს ებრძოდნენ), მაგრამ როდის მიიღო ტერორიზმა ასეთი მასშტაბი? — მას შემდეგ, რაც გაცხადდა გლობალისტთა ნება. მაგრამ, ვინ აღზარდა თუნდაც ნომერ პირველი ტერორისტი ბინ ლადენი? — გლობალისტთა საიდუმლო სამსახურებმა. აი, როგორ იკვრება ეს წრე. ნორმალურმა ადამიანმა განა კი შეიძლება იკითხოს, ტერორიზმს რატომ ებრძვითო? ჰოდა, ებრძვიან კიდეც. მაგრამ ნახეთ რა განსხვავებაა: რუსისთვის ჩეჩენი „ბოევიკი" ტერორისტია, ევროპელისთვის — არა, ავღანელი თუ ერაყელი „ბოევიკი" ამერიკელისთვის ტერორისტია, რუსეთისთვის — არა. ასეა თუ ისე, ტერორიზმთან ბრძოლა საწყის ეტაპზე ისლამთან ბრძოლას დაემგვანა, ისლამი კი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა და სისხლისღვრის არ ეშინია. მაგრამ რა უქნან მართლმადიდებლობას? მისთვის ხომ ეს „ტერორიზმი" მიუღებელია? ამიტომ მისი ტახტი უნდა შეირყეს. ამ ტახტს იმ ერთ პატარა და კაცთაგან უპატრონოდ მიგდებულ ქვეყანაში მიაგნეს, რომელსაც საქართველო და ქრისტეს დედულეთი ჰქვია. და აი, მოაწყდნენ მას მასონები, სიონისტები და მამონის სხვა თაყვანისმცემელნი, ოქროს ხბოსთან მლოცველი ლოჟებისა და გილდიების წარმომადგენლები, რომელთა შორის ერთადერთი — სოროსელები და იეღოველები არ ინიღბებიან და პირდაპირ შეტევაზე არიან გადმოსულნი.

საზოგადოების შუაზე გახლეჩა და დამშევაა მათი მთავარი იარაღი (ასე რომ, ჩვენი გერბის წარწერა „ძალა ერთობაშია", წმინდა წყლის ფიქციაა). შინაგამცემთ რა გამოლევს. საქართველოს მთავრობა სანახევროდ სოროსისა და სხვა წყაროებით ფინანსდება. ერთ სახელმწიფოში ხალხი ცალკე გობიდან იკვებება, ხოლო ხელისუფლება — ცალკე გობიდან, ე.ი. ხალხი და ხელისუფლება არ მეგობრობენ.

ცუდად ატრუვდა ქვეყანა, ერთის მხრივ, ღონეგამოცლილ გუთნისდედას დაემსგავსა იგი, მეორეს მხრივ — ქარაფშუტა ყმაწვილს: ფუჭი სახელისთვის ბრძოლა, გაიაფებული კაცობა, იოლი ლუკმა, თვითრეკლამა და პირის აშლა, ფშუტი თავთავის ყელყელაობა, სექსუალური თავაშვებულობა, სოდომური ცოდვანი, ყაჩაღობა... (დავით გურამიშვილისა არ იყოს: „ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლის"), ღონეგამოცლილი გუთნისდედის გაუთავებელი ილუზიები და ზღაპრები, ზღაპრული პერსონაჟები — ამ ყოფაში მიედინება ჩვენი ცხოვრება და „ქართლი გვეცლება თვალს და ხელს შუა". ცისკარასა და მერცხალა ბიჭებზე ოცნების ტყვეობიდან ვერ გამოვდივართ, ასეთ გმირებს ხელოვნურად ვქმნით და მერე დიქტატორის ტახტისკენ მივაცილებთ, რათა ყველაფერი მას ავკიდოთ და მერე ყველაფერი მასვე გადავაბრალოთ. რა ზნეობაა ეს თუ არა ლაჩრობა, რომელსაც დაღლილობის მოტივით ფარავს გამოცდილი ხალხი?

## ბოლოთქმა

**უსამანოდ გრძელი ისტორიის მანძილზე იმდენი ჭირი გამოგვივლია, რომ ბევრ ერს არც დასიზმრებია, მაგრამ ჩვენი ცოდვით არავინ დამწვარა და არც დაიწვება. ჩვენი პატრონი მხოლოდ უფალი და ჩვენ თვითონა ვართ. რითაც დავიწყე ჩემი წერილები, იმავე სულისკვეთებით მსურს დავასრულო: არ დაგვავიწყდეს ქართველობის მისია: ჩვენ ერთადერთებს გვაქვს სახელმწიფოებრივად გადმობარებული წინააზიაში შექმნილი მსოფლიოს მთლად უძველესი სულიერი და კულტურული მემკვიდრეობა. ჩვენს გარდა იმ ძველი შუმერული და სუბარული ეთნოსებიდან, სახელმწიფო არავის შემორჩა, სამწუხაროდ, იმ სხვა ეთნოსებსაც პატრონობა სჭირდებათ. მერწმუნეთ, ეს არ არის ილუზორული ნათქვამი, მას მეცნიერული საბუთები უდევს საფუძვლად. მაშ ფრთხილად და მედგრად იდექი, ერო ჩემო და ღვთისმშობლის ლოცვით „განბნეულნი შეკრიბენ, ჭეშმარიტების გზასა შეცთომილნი განამტკიცენ, მოწყლულნი განკურნენ, მოხუცებულნი აღადგინენ, ყრმანი აღზარდენ და ჭაბუკნი განაბრძნენ!"**

**ვისაც ემწარა ჩემი სიტყვები, იმათ შევახსენებ, რომ წამალი მწარეა, მაგრამ კეთილია. როგორც ჟამთააღმწერელი ამბობდა:**
**„შენდობილ იყვნენ სიტყვანი ჩემნი, რამეთუ ჟამთაღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თვალასხმა ვისთვიმე".**

**გელა ქოქიაშვილი**

რას ვჭამთ, რას ვსვამთ?

# ისევ ჩვენს ღარიბ სუფრაზე

## საშველი კი მაინც არ ჩანს

**რამდენად უვნებელი და სანდოა ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე სარეალიზაციოდ გამოტანილი სასურსათო პროდუქცია? ეს კითხვა დღეს ბევრს აწუხებს.**

ექსპერტების აზრით, სრულფასოვანი კვება სხვადასხვა პროდუქციის იმ რაოდენობით მოხმარებას ითვალისწინებს, რაც ორგანიზმის ნორმალური ცხოველმოქმედებისთვის არის საჭირო. ბუნებრივია, საკვები მდიდარი უნდა იყოს ცხიმებით, ნახშირწყლებით, ვიტამინებით და სხვა მიკროელემენტებით.

სამწუხაროდ, ბოლო 10-12 წელია, საქართველოს მოსახლეობისთვის აღნიშნული ბალანსი და აქედან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოების ნორმები მნიშვნელოვნად დარღვეულია. იმის გამო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ღატაკია, საჭირო პროდუქციას ვერ იძენს და იძულებული ხდება, ენერგია ერთფეროვანი, იაფფასიანი საკვებით — პურით შეივსოს. პური კი ძალზე ღარიბია ცილებით.

— რაც შეეხება ცილების წყაროს — ხორცს, კვერცხს, თევზს, რძესა და რძის პროდუქტებს, მათი მოხმარება ფიზიოლოგიურ ნორმებთან შედარებით ძალზე დაბალია და, შესაბამისად, შეადგენს ხორცისთვის 2,5-ჯერ, კვერცხისთვის 1,5-2-ჯერ, რძისა და რძის პროდუქტებისთვის 1,5-2-ჯერ ნაკლებს, — თქვა ჩემთან საუბარში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასურსათო უსაფრთხოების დეპარტამენტის სურსათის უვნებლობის სამმართველოს უფროსმა **შოთა ჩხეიძემ.**

როგორც მისგან შევიტყვე, ზემოთ აღნიშნული ცილოვანი პროდუქტების მოხმა- [illegible]

პორტიორი, აწარმოებს საკუთარი მოსახლეობის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების ნახევარზე ნაკლებს და 2-3-ჯერ ნაკლებს მოიხმარს ამ პროდუქციას, ვიდრე საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ასევე რუსეთი და უკრაინა. ყოველივე ეს ჩვენი მოსახლეობის სიღარიბით უნდა აიხსნას.

ნიშანდობლივია პურისა და პურპროდუქტების წლიური მოხმარების მაღალი ციფრი: 255 კილოგრამი, ნორმალურ 130-თან შედარებით, რის გამოც საკვები რაციონის ენერგეტიკული ღირებულების 50 პროცენტზე მეტი პურზე მოდის. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ძირითადად, პურით იკვებება. დისბალანსი საკვებ რაციონში, ბუნებრივია, იწვევს პათოლოგიურ ცვლილებებს, ჯანმრთელობის გაუარესებას, რაც აისახება კიდეც ბოლო წლების სტატისტიკაში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზემოთ დასახელებულმა სამმართველომ შეისწავლა სტრატეგიული დანიშნულების სასურსათო პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების მდგომარეობა ფიზიოლოგიურ ნორმებთან შეფარდებით. სურათი აქაც სავალალოა. პურის და კარტოფილის არა მარტო მოხმარება, წარმოებაც კი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფიზიოლოგიურ ნორმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იწარმოება იმდენი, რამდენის მოხმარებაც რეალურია მოსახლეობის დაბალმსყიდველობითი უნარის პირობებში. ამდენად, სავაჭრო ქსელში არსებული სასურსათო პროდუქციის მოჩვენებითი სიმრავლე სულაც ვერ ასახავს ქვეყანაში არსებულ რეალურ მდგომარეობას.

ბატონ შოთა ჩხეიძეს მიაჩნია, რომ თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის მიერ მოხმარებულ არასაკმარის და არასრულფასოვან საკვებში ჯანმრთელობისთვის საშიში მინარევების, ტოქსიკური ნივთიერებების შემცველობას, საკმაოდ გავრცელებულ ფალსიფიკაციას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი მოსახლეობა წლების განმავლობაში საგანგაშო მდგომარეობაში იმყოფება. განსაკუთრებით საფრთხის წინაშეა მოზარდი თაობა, რაც სასწრაფო ღონისძიების გატარებას მოითხოვს.

რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ იმისთვის, რომ მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა საშუალო დონეს მაინც მიუახლოვდეს?

**უნდა გაიზარდოს მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი, ამას კი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივაღწევთ, თუ ხალხი არ დასაქმდა, თუ არ გადაიჭრა პარალიზებული მრეწველობის, სოფლის მეურნეობის საწარმოების აღდგენისა და ამუშავების აქტუალური პრობლემა. აუცილებელია ადგილობრივი წარმოების პროდუქციის მიმართ პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება, თორემ რა გამოვიდა — წარმოების ქვეყნიდან იაფი პროდუქციის გასაღების ქვეყნად ვიქეცით. უმუშევრობა, შემცირების ნაცვლად, ყოველდღიურად იზრდება, პარალელურად იზრდება პროდუქციის ფალსიფიკაციის დონეც. აი, ცხოვრების დონის ზრდას კი საშველი არა და არ დაადგა.**

**ნაზი იმნაიშვილი**



არქეოლოგია

# წინაპართა ხმა მიწისქვეშა რუსთავიდან

**რუსთავი რომ ძირძველი ქართული ქალაქია, ქვეყნის აღმოსავლეთის კარიბჭე, მისი ფარი და მახვილი, ჩვენდა სავალალოდ, მტერთაგან მრავალგზის რბეული და ფენიქსისებრ აღმდგარი, ამ დღეებში აღმოჩენილი იშვიათი არქეოლოგიური მონაპოვრებით კიდევ ერთხელ დადასტურდა.**

აღმოჩენა კი სრულიად შემთხვევით მოხდა. ფიროსმანის ქუჩის № 16-ში მდებარე სახლის წინ მაღაზიის გაფართოებისას, მშენებელთა ბარი უნიკალურ სამარხს შეეხო. ამბავი სასწრაფოდ არქეოლოგებს შეატყობინეს.



როგორც რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ნაზი პაჭიკაშვილმა განაცხადა, საძირკვლისთვის გაჭრილ თხრილში აღმოჩენილი სამი სამარხი ადრეულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. სამწუხაროდ, სამივე დაზიანებულია.

ასეთი რამ ხშირად ხდებოდა გასული საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ქალაქის აღმშენებლობა ფრიად დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობდა. იმხანად მშენებლობაზე მეტწილად უცხოელი პატიმრები იყვნენ დასაქმებულნი, რომელნიც საძირკველებს არ უფრთხილდებოდნენ და ბევრი ისტორიული ძეგლი განადგურდა.

მაინც რა აღმოჩნდა ახლად გახსნილ სამარხებში?

როგორც ვთქვით, სამივე სამარხი ადრევე დაზიანებული და გაძარცვულია. პირველს გადახდილი ჰქონდა ქვის ფილა-სახურავი და მიწით იყო ამოვსებული. მეორე სამარხი მთლიანად იყო ამობრუნებული და გაძარცვული, იქ მხოლოდ მიცვალებულის ძვლებიღა იპოვეს.

აღმოჩენილმა ამ და სხვა ნივთებმა დაგვიზუსტეს სამარხის ასაკი. ამ ტიპის სამარხი რუსთავში პირველად ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოავლინეს, რომლებიც დათარიღდა ახალი წელთაღრიცხვის V-VI საუკუნეებით.

რაც შეეხება მესამე სამარხს, იქ 7 ადამიანის ჩონჩხია მოთავსებული. ამასთან, ბრინჯაოს ბურთულებიანი საკინძებიც აღმოჩნდა...

როგორც არქეოლოგები თვლიან, ეს სამარხები წარმოადგენენ ადრე შუა საუკუნეების ვრცელი სამაროვანის ერთ-ერთ უბანს, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ქართველ არქეოლოგთა და ისტორიკოსთა ვარაუდს, რომ რუსთავი საკმაოდ დასახლებული და ეკონომიურად ძლიერი ყოფილა, იმ დროისთვის აქ ოცი ათასი კაცი მოსახლეობდა.

რით დასტურდება, რომ აქ ქართველები, ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ?

ამაში საეჭვო არაფერია. როგორც ახლა, ისე ძველად აღმოჩენილ ქვასამარხებში მიცვალებულთა დამარხვის წესებით მრავალგზის დადასტურდა ქრისტიანული ტრადიციები. იქვე მოპოვებული ნივთები, ჭურჭლები, სხვა საგნები დამახასიათებელია მხოლოდ ქართული ძეგლებისთვის. მეცნიერთა მტკიცებით, ისინი მხოლოდ ქართულ წარმომავლობაზე ღაღადებენ. უფრო მეტიც, ნაქალაქარზე აღმოჩენილია ასომთავრულ წარწერებიანი თიხის ჭურჭლები, კრამიტი და სხვა საგნები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რუსთავი ადრეულ შუა საუკუნეებში და თვით უძველეს დროშიც ჩვენი წინაპრების სამკვიდრებელი იყო.

**გივი ჯახუა**

ინფორმაცია

## სამდღიანი პატიმრობა მიესაჯათ

**ეს ადმინისტრაციული სასჯელი ოთხმა პიროვნებამ ორშაბათს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მომხდარი მასობრივი არეულობის ორგანიზებისთვის მიიღო.**

ორშაბათს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ორი პროცესი უნდა გამართულიყო. ერთ-ერთი იყო მესტიის რაიონული სასამართლოს გამსვლელი სხდომა, რომლის დაწყებამდე დაზარალებული მხარის წარმომადგენლებმა შენობის ფოიეში ჩხუბი დაიწყეს.

ვითარების განმუხტვა მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც სასამართლოს შენობაში სამართალდამცველები გამოცხადნენ, მათ რამდენიმე ადამიანი დააკავეს. სასამართლო შენობაში მობილიზებულნი იყვნენ სამართალდამცველები, რათა თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი ექსცესები.

## უაქციზო სიგარეტი აღმოაჩინეს

**ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ შინდისის მიმდებარე ტერიტორიაზე „ოპელის" მარკის ავტომანქანაში 25 ათასი ლარის ღირებულების 16500 კოლოფი უაქციზო სიგარეტი აღმოაჩინა.**

როგორც „ინტერპრესნიუსს" ფინანსურ პოლიციაში განუცხადეს, პოლიციამ ცხინვალიდან ერთ-ერთ შემოვლით გზაზე საეჭვოდ მოძრავი ავტომანქანა შენიშნა, რომელსაც სამართალდამცველები დაედევნენ. ავტომანქანის მგზავრებმა გზიდან გადაუხვიეს, ავტომანქანა მიატოვეს და ტყეში მიიმალნენ. ავტომანქანა ტვირთიანად ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოშია გადაყვანილი. უაქციზო სიგარეტს ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა და დაილუქა.

სიგარეტის მეპატრონეთა ვინაობა დგინდება. სისხლის სამართლის საქმე მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის უაქციზოდ გადაზიდვის მუხლით აღიძრა.

## 30 წლის ახალგაზრდა მოკლეს

**ქუთაისში გუშინ 30 წლის ახალგაზრდა გელა გვეტაძე მოკლეს. გამთენიისას იგი საკუთარი „2109" მარკის ავტომანქანით გადაადგილდებოდა. თამარ მეფის ქუჩაზე უცნობმა პირებმა მას გზა გადაუღობეს და ავტომანქანის წართმევას შეეცადნენ. წინააღმდეგობის გაწევის დროს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით თავდამსხმელებმა გელა გვეტაძეს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს. ქუთაისის პოლიციამ მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა.**

## ექსპორტიორ ფირმებს შეუტიეს

**ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ ჯართის ექსპორტიორი ფირმების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.**

როგორც „ინტერპრესნიუსს" ფინანსურ პოლიციაში განუცხადეს, შპს „მაგნოლიასა" და შპს „მერაბი 2004"-ის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლით აღიძრა, რაც საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევას გულისხმობს.

პოლიცია არ გამორიცხავს, რომ აღნიშნულ საქმეს გამოძიების პროცესში სხვა მუხლებიც დაემატოს.

**ინტერპრესნიუსი**

თეატრალური გაზეთი
# სახიობა
„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველთვიური დამატება
№4 (97)

...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.
**სანდრო ახმეტელი.**

**⊙ წვეთი ზღვაში**

## მდინარესავით ჩავლილი დრო

**...თან გამახარა, თან სევდა მომგვარა ცნობილი თეატრმცოდნის, პროფესორ ვასილ კიკნაძის წიგნმა, რომლის სათაურიცაა „გამოთხოვება მოგონებებთან...“**

დიახ, მემუარები თავისთავად განვლილ ცხოვრებასთან, ახალგაზრდობასთან გამოთხოვებაა, ამ გზაზე თითქმის ერთად გვივლია, სიამოვნებით მივიღე ეს მეგობრული ძღვენი, რომლის ყდაზეც შემოდგომის ფოთოლია გამოსახული — გამახსენდა დიდებული აკაკი ხორავას კარლ მოორის სინანულიანი ამოძახილი ჩვენი სტუდენტობის დროს აკაკი ვასაძის მიერ აღდგენილი შილერის „ყაჩაღებიდან“: — „ხეებს რომ ფოთლები სცვივა, ჩანს ჩემი შემოდგომაც დამდგარა...“ ასეა, ჩვენი გაზაფხული წარსულია, ჩვენი აწმყო კი შემოდგომა — ვასილ კიკნაძეს თეატრთან ერთად პოეზიაც უყვარდა და უყვარს, — ამიტომაც ახსოვს ზოგიერთი სტრიქონი ჩემი ადრინდელი ლექსებიდანაც...



ახლა უშუალოდ ავტორს მივცეთ სიტყვა:

„წიგნი „გამოთხოვება მოგონებებთან“ ასოციაციების პრინციპითაა დაწერილი. ამიტომ მოვლენებს ჩემი ცხოვრება აერთიანებს და არა მოგონებების ლოგიკური თანმიმდევრობა.

რაც გამახსენდა, ის არის ნაამბობი. პირველ წიგნს შესაძლოა, მოჰყვეს მეორეც.

საქართველოში არ არის მემუარების დაწერის დიდი ტრადიცია. მის განვითარებას ხელი შეუშალა საბჭოთა სისტემამ, რომელიც ზეიდეოლოგიზებული იყო და ნაკლებად აინტერესებდა ადამიანის შინაგანი, პირადი სამყარო. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორმა გურამ ბათიაშვილმა შემაგულიანა მოგონებები დამეწერა.

ბევრი ტკივილი, რომელიც ცხოვრებამ, ანუ ადამიანებმა მარგუნეს, სრულიად უსამართლოდ, მოგონებებშიც დაფარული დარჩა, რადგან ადამიანი თვით თავის თავში ატარებს ტრაგიკულ საწყისს და ამიტომ ბევრი რამ უნდა მივუტევოთ...“

... ფრიად კარგი აზრი შთაუგონებია გურამ ბათიაშვილს ვასო (ასე მეგობრულად მოვიხსენიებ შემდეგაც) კიკნაძისთვის და წიგნის რედაქტორიც იგია. წიგნი დაბეჭდილა კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს დახმარებით — ასეთი მხარდაჭერა დღესდღეობით მართლაც შესანატრია (გამომცემლობა „საარი“).

ეს საკმაოდ დიდტანიანი წიგნი, მართლაც, ცხოვრების გზის დიდ მონაკვეთს მოიცავს და უთუოდ მიიზიდავს მკითხველს. ვიცი, რომ ახლა ნებისმიერი წიგნი მცირე ტირაჟით გამოდის, ამიტომ კიდევ უფრო რომ დავაინტერესო მავანი და მავანი, კვლავ ავტორი ავალაპარაკოთ:

„რა არის ეს? — წერს იგი დასაწყისში — გამოთხოვება მოგონებებთან? — უცნაური სათაურია, არა? ოდნავ ირონიული და სევდიანი სათაური?! სადღაც წავიკითხე: „მოვა დრო და ყველანი დაგვივიწყებენ, ყველას დაივიწყებ შენც!“

ეს ჟამიც მოდის თანდათან, თავისით მოდის. მოდის და მოედინება, როგორც მდინარე, მდინარესავით ჩაივლის დროც!“ და ა.შ.

ბევრი საინტერესო, საამაყო პიროვნება ცოცხლდება თეატრმცოდნის ფიქრის სამყაროში, ისეთებიც, ვისი სახელიც — ძველი და შუა თაობისთვის ესოდენ სანუკვარი, ახალგაზრდობისათვის გაუცხოებული, უცნობია...

„... ჩემი ცხოვრება წვეთია ზღვაში“ — ბრძანებს ბატონი ვასო — მაგრამ ასე როდია!.. მართალია, ტკივილები არ ქრება, მაგრამ რომელი მოგონებაა უმტკივნეულო?!. თუნდაც იმიტომ, რომ სიხარულიანი დღეებიც წარმავალია — „მართლაც, სიზმარივით იყო დიდი გზა ჩემი ცხოვრებისა...“

ძვირფასო ვასო! მეორე წიგნსაც გვპირდები, — სიტყვა სიტყვაა!

**ნანა ღვინეფაძე**
**2005 წლის თიბათვის 23.**

**⊙ კვიცი გვარზე ხტის**

# ყოჩიეს, მსახიობობაზე ჰქონია შური

**მსახიობების ოჯახში გაზრდილ გიორგი ყიფშიძეს ბავშვობაში მსახიობობის სურვილი არ ჰქონია, თუმცა როდესაც მამას (ზურა ყიფშიძეს) გადაღებებზე მიჰყავდა, იქ ბევრი რამ მოსწონდა. ხიბლავდა კოსტიუმები, განათებები, გადაღების პროცესი — „მატორ“, „სტოპ“. მსახიობად თავი ვერ წარმოედგინა იმიტომ, რომ ზედმეტი სიმორცხვის გამო სკოლაში გაკვეთილებს ვერ ყვებოდა. მერე კი ასე მოხდა. 17 წლისამ ჩააბარა სარეჟისორო ფაკულტეტზე და ორი წელი ავთო ვარსიმაშვილთან სწავლობდა. შილერის „ყაჩაღებიდან“ ნაწყვეტი რომ დადგეს, გიორგიმ ფრანც მოორი ითამაშა. ურჩიეს, სამსახიობოზე ეცადა ბედი და ასე აღმოჩნდა გოგი მარგველაშვილთან ჯგუფში, რომელიც იმ წელს აიყვანა რეჟისორმა.**

**სადიპლომო სპექტაკლში „რომეო და ჯულიეტა“ მერკუციოს როლმა გიორგი ყიფშიძეს დიდი წარმატება და პრიზები მოუტანა. ფოთში ფესტივალზე გადასცეს სიგელი, როგორც ახალგაზრდა პერსპექტიულ მსახიობს. „ოქროს ნიღბის“ პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის რუსთავის საერთაშორისო ფესტივალზე მიიღო. წინანდლის პრემიაც ამ როლისთვის მიანიჭეს. გიორგი ყიფშიძე კინომსახიობთა თეატრის მსახიობია და სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“ ახლაც თეატრის რეპერტუარშია.**

**— მერკუციო თქვენთვის გამორჩეული როლია, შენიშვნები თუ მოუცია ვინმეს?**

— ყველაზე ძალიან მიყვარს მერკუციო. თავისუფლად ვგრძნობ თავს ამ როლში. გოგი ამბობს, ვიცოდი, რომ შენ უნდა გეთამაშაო. მიხარია, როცა მსახიობის შრომას, წვალებას და ოფლის ღვრას აფასებენ. ყველა, ვინც მოდიოდა, ჩემთან მხოლოდ კარგს მეუბნებოდა. საერთოდ, მსახიობებს თავისი აზრი აქვთ ამა თუ იმ როლზე, ამიტომ შესწორება ყოველთვის საჭიროა, ცხადია, ყურის დაგდებაც აუცილებელია.

**— სავსე სტუდენტობის წლები გქონდათ? გაიხსენეთ სასწავლო პროცესი და პედაგოგები.**

— მეტყველების პედაგოგი მანანა ბერიკაშვილი ბევრს მუშაობდა ჩვენთან. დედისგან — ქალბატონი ლამარა კაპანაძისგან (მეტყველების კათედრის გამგე) განსხვავებით მანანა მკაცრი არ იყო. მან მიგვაჩვია სცენას პირველი კურსიდანვე, როდესაც შექსპირის სონეტები წავგაკითხა. სამწუხაროდ, ინსტიტუტში ბევრი რამ ვერ ვისწავლე. მაგალითად, გრიმის გაკეთება. რატომღაც პედაგოგი არ დადიოდა. მერე ბებიამ (ლენა ყიფშიძე) მასწავლა. სასცენო მოძრაობა და მსახიობის ოსტატობაც ცდებოდა ხანდახან. მე ვთვლი, რომ ეს დიდი მინუსია, ამიტომ საჭიროა ინსტიტუტში რეფორმები. ჩემი მშობლებისგან ვიცი, ადრე როგორი მაღალი იყო სწავლების დონე.

**— თეატრში როგორი ურთიერთობა გაქვთ უფროსი თაობის მსახიობებთან, რეჟისორებთან?**

— სანამ მსახიობი გავხდებოდი, მანამდეც სულ თეატრში ვიყავი. შეიძლება ითქვას 24 საათს ამ ადამიანებთან ერთად ვატარებდი: გოგი მარგველაშვილი, გია როინიშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, გია აბესალაშვილი, თაზო თოლორაია... რაღაცეებს მჩუქნიდნენ ხოლმე. თაზო თოლორაიამ დაშნა მაჩუქა, რომელიც დღემდე მაქვს. ეს არის დიდი ოჯახი. ბატონ მიშა თუმანიშვილს ეტყობა ასე უნდოდა. თეატრი არ არის ტიპიური სამსახური, სადაც არსებობს უფროს-უმცროსი. ყველანი, მსახიობებიც და რეჟისორებიც ვართ მუშაობისას თანაბარუფლებიანნი. როდესაც მაქვს ჩემი აზრი, აუცილებლად ვამბობ. ზოგჯერ მსახიობები მეუბნებიან, რომ არსებობს კატეგორია ისეთი რეჟისორებისა, რომლებსაც არ უნდა ეკამათო. არ მიმაჩნია სწორად, რომ მე ხმა არ უნდა ამოვიღო. თუ რაღაც იდეა მაქვს, მინდა მივაწოდო რეჟისორს. ეს უნდა იყოს ბუნებრივი, — ასე მასწავლა მამაჩემმაც და მარგველაშვილმაც.



**— მამისგან კრიტიკას როგორ იღებთ?**

— ჩემთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს მამაჩემის აზრს. ის თავისიანს მეტად აკრიტიკებს. უფრო მეტს ითხოვს ჩემგან, ვიდრე სხვისგან და ძალიან პირდაპირია. მამის პოზიციიდან კი არა, კოლეგის და პროფესიონალის პოზიციიდან მეუბნება სათქმელს, ანუ, ის მართალია.

**— გიორგი, თქვენ სერიალში თამაშობთ და ახლაც გრძელდება „ცხელი ძაღლი 3“-ის გადაღებები. როგორ ფიქრობთ, სერიალი იძლევა იმის საშუალებას, რომ მსახიობი ბოლომდე გაიხსნას?**

— სერიალი ნიშნავს იმას, რომ თავიდანვე შეზღუდული ხარ, ე.ი. რაღაც კომპრომისზე მიდიხარ, როდესაც თანხმდები მონაწილეობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში გამიმართლა, რადგან რეჟისორია ზაზა ურუშაძე. იგი ცდილობს კინოსავით გადაიღოს და არა სერიალივით და ამით უფრო მაღალ ხარისხს ვაღწევთ. პარტნიორთან და კამერასთან მუშაობის დიდ გამოცდილებას იძლევა გადაღება. ისეთი მსახიობების გვერდით აღმოვჩნდი, რომ ვერც ვინატრებდი. ერთის მხრივ ადვილია და თან ძნელია ისეთ პროფესიონალებთან მუშაობა როგორებიც არიან ჟანრი ლოლაშვილი და გურამ ფირცხალავა. იმათ გვერდით შენდაუნებურად პროფესიონალი ხდები, ვერაფერს „გაახალტურებ“.

**— მხატვრულ ფილმებშიც ხართ გადაღებული?**

— რეჟისორმა დიტო ცინცაძემ, რომელიც გერმანიაში მოღვაწეობს, ორი ფილმი გადაიღო ზედიზედ და ორივეში ვთამაშობ. ერთია მოკლემეტრაჟიანი თორმეტწუთიანი ფილმი — ნოველა. სირთულე იყო ის, რომ ერთ კადრშია მთელი ფილმი გადაღებული. მე და გოგოლა კალანდაძე ვმონაწილეობთ. მეორე ფილმია სრულმეტრაჟიანი „დეჟავიუ“, რომელსაც ახლა ამონტაჟებს გერმანიაში. საინტერესო რეჟისორია და ძალიან კმაყოფილი ვარ მასთან მუშაობით.

**— როდესაც იღლებით, როგორ აღიდგენთ ძალებს. თქვენთვის განტვირთვა რა არის?**

— ძალიან მიყვარს ტამტამზე დაკვრა. კარგად არ ვიცი, მაგრამ ვცდილობ უკეთესად და უკეთესად დავუკრა. კოკა აბზიანიძე რომ არის, პერკუსიონისტი, პატარა გენიოსი, ის შემპირდა ყველაფერს გასწავლიო. ჩვენ ვმეგობრობთ და ერთი-ორჯერ კლუბ „ნოა-ნოაშიც“ დავუკარით.

**— რომელიმე თაყვანისმცემელს თუ გამოუხატავს სიყვარული ორიგინალურად?**

— არის ერთი ასაკოვანი ქალი მარეხ ამანათიძე. დიდი ხანია მამაჩემის თაყვანისმცემელია და ახლა მისდამი სიყვარულმა ჩემზე გადმოინაცვლა, სპექტაკლებს ესწრება ხოლმე, რა თქმა უნდა. შეიძლება მოაყოლოს ყვავილები, ლექსები, კონიაკი, კონვერტით ფული, ხანდახან კალათაში ჩადებული ცივად მოხარშული დედალიც. ძალიან უცნაური ქალია.

გიორგი ყიფშიძე კინომსახიობთა თეატრის შემდეგ სპექტაკლებშია დაკავებული: „რომეო და ჯულიეტა“ — მერკუციო, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, — ივანიკა, „ბაკულას ღორები“ — შაშა, „ზაფხულის ღამის სიზმარი“ — ხელოსანი და მთვარე, „გმირი“ — ქრისტი. თეატრთან დადებული კონტრაქტი ივნისში მიიწურა და გიორგი ამ როლებს, ალბათ გამოეთხოვება, რადგან მან რუსთაველის თეატრის მიერ გამოცხადებულ კასტინგში მიიღო მონაწილეობა და რობერტ სტურუამ თერთმეტ ახალგაზრდა მსახიობთან ერთად იგი დასში აიყვანა. ასე რომ, თავის ძალებს გიორგი ყიფშიძე უკვე რუსთაველის თეატრის სცენაზე მოსინჯავს. მისი თქმით, იქ სხვა პრინციპით და ისეთი დატვირთვით მუშაობენ, რომ ფიზიკურად შეუძლებელი იქნება ორივე თეატრში თამაში. ამჟამად რუსთაველის თეატრში ლაშა ბუღაძის პიესაზე მუშაობენ. დაველოდოთ ახალგაზრდა და ნიჭიერი მსახიობის ახალ როლებს და ახალ წარმატებებს.

**ნანული ზოტიკიშვილი**

**სურათზე: მამა-შვილი ზურაბ და გიორგი ყიფშიძეები.**

<u>აკაკი გეწაძე</u>

## შენ ალბათ რაღაც ახალს ნატრობდი...

ზინა კვერენჩხილაძეს

**იყო მთაწმინდის საღამო წყნარი,**
**ჩუმად მწუხარე და დაბინდული,**
**ზაქარიაძის საფლავთან მჯდარი**
**გნახე ფიქრმძიმედ თავჩაქინდრული.**

**ორი არტისტი იყავით მარტო,**
**მარტო უსცენოდ და უთეატროდ;**
**მწამს, ზეცისქვეშ რომ**
**დარჩით მარტონი,**
**შენ ალბათ რაღაც**
**ახალს ნატრობდი.**

**მკაცრ ბიძას, კრეონს, შენ,**
**ანტიგონე,**
**ბევრი ედავე, ვით სული წმინდა,**
**რაც მაშინ ცოცხალს ვერ ჩააგონე,**
**გსურდა, სულეთში გამოესყიდა.**

**გწვავდა ფიქრები უმხურვალესი,**
**დემონისათვის გეჯობნა როგორ,**
**სიკეთედნაქცევ ბიძის ალერსით**
**დამტკბარიყავი**
**ობოლო გოგო.**

**სულს ესულება ცრემლების ენა,**
**გაესაუბრე ცრემლებით სულეთს**
**და რისი ნებაც არ მოგცა სცენამ,**
**აქ მარტოდ მყოფმა**
**შენ შეისრულე.**

**აღარ სუფევდა ქვეყნად დემონი**
**და შენ, უფალი გლოცავდა ციდან.**
**მიწადქცეული სდუმდა კრეონი,**
**და ანტიგონე ცრემლებსა ღვრიდა.**



**⊙ შვებაც, მხნეობაც**

# ცის ნამი დამჭკნარი ყვავილისთვის

## ზუგდიდელებს თეატრის სიყვარული არ განელებიათ

**თეატრებს მთელს საქართველოში რომ არ ულხინთ, კარგა ხანია, ვიცით. ქართველი კაცის სულში იმდენად მძლავრადაა ფესვგადგმული თეატრისადმი სიყვარული, იოლად ვერ შეეგუება მის დაკნინებას, რომ არაფერი ვთქვათ აღგვას „პირისაგან მიწისა“. საქართველოს დიდ თეატრალურ ოჯახში — ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატული თეატრი მუდამ განცალკევებით იდგა თავისი გეოპოლიტიკური, სტრატეგიული მნიშვნელობით. ილიასი არ იყოს, იგი „სწორედ რომ ცის ნამია დამჭკნარის ყვავილისათვის“ მთელს ამ რეგიონში. ფრონტის ცხელ ხაზთან ამაყად წამომართული, მრავალ ჭირთამთმენი თეატრი არ თმობს პოზიციებს, მოქალაქეობრივი შეგნებით ასრულებს თავის უპირველეს მისიას — შვება მოჰგვაროს, მხნეობა შთაუნერგოს ხანგრძლივი და უსამართლო კონფლიქტებით გადაქანცულ და გაწამებულ თანამემამულეებს.**

საქართველოსთვის ავბედითმა პერიოდმა (გასული საუკუნის 90-იან წლებს ვგულისხმობ), მძიმე შედეგები მოუტანა ზუგდიდის თეატრს. გაპარტახდა და გაიძარცვა შენობა, დაიქსაქსნენ მსახიობები, შეჩერდა შემოქმედებითი მუშაობა. ამ კრიტიკულ სიტუაციაში თეატრს სათავეში ჩაუდგა რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი, რომელმაც რამდენიმე სეზონის განმავლობაში სული შთაბერა ზუგდიდის თეატრალურ ცხოვრებას. შემდგომ კვლავ პაუზა, გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო და შემოქმედებითი პირობები. თეატრი შველას ითხოვდა და მისი გადარჩენა თბილისელ რეჟისორს კანდიდ გურგენიძეს ხვდა წილად. უკვე რამდენიმე სეზონია იგი თავდაუზოგავად შრომობს, რათა სულიერების ეს მძლავრი კერა ააღორძინოს. ვითარება და სამუშაო პირობები კვლავ გაუსაძლისია, მაგრამ კ. გურგენიძისა და თეატრში შემორჩენილ ფანატიკოს მსახიობთა შემართება შესაშურია და მისაბაძი. მოკლე ხანში (ფაქტობრივად თეატრმა, წელი წამოიღო 2004 წლის 26 მაისიდან) აქ რამდენიმე საინტერესო დადგმა განხორციელდა: გ. ბათიაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!“ იაკობ გოგებაშვილის მიხედვით, დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, გ. კაჭარავას „ევრიკა“. პატარებსაც მოუწყვეს დღესასწაული — ს. მიხალკოვის „სამი გოჭი“ მუდამ ანშლაგებით გადის.

შარშან, პროფესიულ თეატრებს შორის შემოქმედებითი პროცესების გააქტიურებისა და ურთიერთსაგასტროლო მოღვაწეობის განახლების ხელშეწყობის მიზნით, კულტურის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი — შვიდ გამარჯვებულ თეატრალურ კოლექტივს შორის ზუგდიდის თეატრიც აღმოჩნდა. მათ წარმატებით მოიარეს თითქმის ნახევარი საქართველო, დასკვნითი ტურნე კი, ორი სპექტაკლით — „იავნანამ რა ჰქმნა?!“ და „დარისპანის გასაჭირი“, — თბილისში გამართეს.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების თვალმარგალიტი „იავნანამ რა ჰქმნა?!“ მარადიულია თავისი პრობლემატიკით, ეროვნული სულისკვეთებით. ამ მინიატიურულ პროზაულ შედევრში სითბო, სიკეთე, ადამიანურ განცდათა და ურთიერთდამოკიდებულებათა ფაქიზი ნიუანსები ისე ოსტატურადაა განფენილი, რომ შეუძლებელია ემოციები არ მოგეძალოთ. დრამატურგმა გურამ ბათიაშვილმა სცენისთვის განკუთვნილ ნაწარმოებში სწორედ ეს ღირსებები გამოკვეთა, ხოლო დამდგმელმა ჯგუფმა, კ. გურგენიძის რეჟისურით, შექმნა ქართული სულით განმსჭვალული, სადა, უპრეტენზიო, სადღეისოდ ფრიად აქტუალური წარმოდგენა, რომელსაც თანაბარი ინტერესით ადევნებს თვალყურს ნებისმიერი ასაკის მაყურებელი.



„დარისპანის გასაჭირი“ და, საერთოდ, დავით კლდიაშვილის შემოქმედება ჩვენი საგანძურია. არ დარჩენილა თეატრი საქართველოში, როგორც პროფესიული, ისე სამოყვარულო, რამდენჯერმე არ მიემართოს დიდი მწერლის შედევრებისათვის. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს „დარისპანი“ და ეს გასაგებიცაა — შვიდივე პერსონაჟი იმდენად ოსტატურადაა გამოძერწილი, რომ ნებისმიერი მსახიობისთვის საოცნებოა ასეთ მასალაზე მუშაობა. რეჟისორმა კ. გურგენიძემ კლდიაშვილისეულ კლასიკურ სახეებს სპექტაკლში მერვე პერსონაჟი დაუმატა, რამაც, ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგიერთმა რეჟისორის ეს თამამი ნაბიჯი დ. კლდიაშვილის შეურაცხყოფად მიიჩნია. ვერაფერს ვიტყვით, — ყველას თავისი შეხედულების გამოხატვისა და აზრის გამოთქმის უფლება აქვს. ვინ არის ეს უსიტყვო პერსონაჟი, რომელმაც ამდენი ვნებათა ღელვა გამოიწვია? ეს გახლავთ იმდროინდელი ეპოქის უკიდურესად გაჭირვებული, უსასოო ფენის ერთ-ერთი ტიპური წარმომადგენელი, მათხოვარი, რომელიც კარდაკარ ხელგაწვდილი დადის და სევდიანი სიმღერის თანხლებით საარსებო გროშებსა თუ სანოვაგეს შოულობს. ამ პერსონაჟის დამატება არავითარ დისკომფორტს არ უქმნის არც დ. კლდიაშვილს და არც მაყურებელს. ვფიქრობ, ეს ხაზი გარკვეულწილად აძლიერებს სოციალურად დაუცველი ფენის გაუსაძლისი ყოფის რეალობას, რაც სპექტაკლის ერთგვარ კამერტონადაც კი აღიქმება.

დარისპანი ტრაგიკული სახეა. კომიკურ სიტუაციებში უნებლიეთ გახლართული, ფსიქოლოგიური სიღრმით დატვირთული, დრამატული პერსონაჟია. მერაბ კაკალია ამ ჭრილში კვეთს დარისპანის ხასიათს. მსახიობის თვალები გამუდმებით აირეკლავს იმ უზარმაზარ განცდას, რაც მას აიძულებს თავის ქალიშვილთან ერთად იწანწალოს კარდაკარ, სოფლიდან სოფელში, ეზოდან ეზოში... ვინ იცის, იქნებ ბედმა გაუღიმოს და ოთხი ქალიშვილიდან ერთი მაინც გაათხოვოს, პატრონს ჩააბაროს. ამის გაფიქრებისას დარისპანის შიშნარევი გამოხედვა იმედის სხივით ივსება, მის გაცვეთილ, დაღლილ სხეულს სიმარდე შეემატება, ნაბიჯები მიზანსწრაფული და მყარი გაუხდება. კაროჟნას ნაცვლად სწორედ დარისპანის „გახელებულ“ ცეკვაში განწირული ადამიანის ამაო გაფართხალებას ვკითხულობთ, რაც კიდევ უფრო მეტად გამოკვეთს დიდი ოსტატობით დაწერილი სცენის სიმძაფრეს.

ასევე ტრაგიკული ბედის ადამიანები არიან კაროჟნა და ნატალია. ორივე ზედმეტ ტვირთად აწევს ოჯახს. ამის გაცნობიერება კი ტრაგიკული განცდის შემცველია. სასიხარულოა, რომ ეს რთული სახეები სიღრმისეულად გაიაზრეს ახალბედა მსახიობებმა ნინო ზარქუამ და ელენე შენგელაიამ. ზუგდიდის თეატრს მათი სახით საიმედო ცვლა ეზრდება. გამოცდილი მსახიობები მარინა დარასელია და მაყვალა გელაშვილი პელაგიასა და მართას როლებში მოქმედებენ ორგანულად, იმპროვიზაციული თავისუფლებით. ონისიმეს პრაგმატული ხასიათი მკვეთრი სახასიათო შტრიხებით გააცოცხლა თენგიზ ანდრიაძემ.

საინტერესო აქტიორული ნამუშევრებით გამოირჩევა, აგრეთვე, „იავნანამ რა ჰქმნა?!“ აქ პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მარინა დარასელიას გარდასახვის უნარი, რომელმაც გაიძვერა იბრაგიმის კოლორიტული სახე დაგვიხატა. მას კარგ პარტნიორობას უწევს ისმაილის როლში ზურაბ ლაშხია. მოსიყვარულე მშობლების ზურაბისა და მაგდას შთამბეჭდავი სახეები შექმნეს თენგიზ ანდრიაძემ და მაყვალა გელაშვილმა. ასეთივე თბილი, ადამიანური თვისებებით გამოირჩევა მერაბ კაკალიასა (ნაიბი) და ზემფირა გუნიას (ნაიბის ცოლი) შესრულება.

იხ. მე-6 გვ.

**სურათზე: (მარცხნიდან)გერცელ ბააზოვი, შალვა დადიანი, იონა ვაკელი.**

**⊙ მუსიკა**

## ასე ვიცით ჩვენ!



ფოლკლორულმა ანსამბლმა „ალილომ“ ჯაზის ვარსკვლავები ჯორჯ ბენსონი და ჯონ სკოფილდი მოხიბლა.

როგორც ინტერპრესნიუსს სარწმუნო წყარომ აცნობა, გუშინ რესტორანში „მეტეხის ჩრდილში“ გაიმართა ვახშამი სტუმრებისათვის, სადაც „ალილომ“ ვარსკვლავებისთვის ქართული ხალხური სიმღერები შეასრულა.

ბენსონმა აღნიშნა, რომ მსგავსი საინტერესო პოლიფონიური წყობა მას ჯერ არ სმენია, სკოფილმა კი ანსამბლის პრომოუტერს, მუსიკათმცოდნეს მაია დათუნაშვილს ერთობლივი პროექტის განხორციელება შესთავაზა.

ფოლკლორული ანსამბლის „ალილოს“ სამხატვრო ხელმძღვანელი ცნობილი ქართველი მომღერალი გურამ თამაზაშვილია. ანსამბლის რეპერტუარში ქართული ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები და ქართველი კომპოზიტორების მიერ ანსამბლისთვის დაწერილი სიმღერებია შესული.

„ალილო“ 16 სექტემბერს მოსკოვში, 24 სექტემბერს კი როტერდამში კონცერტებს გამართავს.



**ინტერპრესნიუსი**

საქართველოს რესპუბლიკა

№ 159. ხუთშაბათი, 7 ივლისი, 2005 წელი.

◉ მიჯნა

# მერე რა, რომ სველია მაყურებლის თვალები...

**ყოველ საუკუნეს თავისებური სიახლე მოაქვს და მიაქვს ის ძველიც, რის დაკარგვასაც ჯერაც ცოცხალი, „იმ“ საუკუნიდან გადმოსული წინა თაობა მტკივნეულად განიცდის... ნებისმიერი თაობის მოაზროვნე ნაწილისთვის კი ეს დანაკარგი იმას ჰგავს, ნაბან წყალს ტაშტიდან ბავშვიც რომ მიაყოლო.**

რწმენის სიკვდილს ადამიანის სიკვდილიც მოსდევს. ეს არის ადამიანში ადამიანურობის კვდომა...

რა მოგვიტანა მეოცე საუკუნის ბოლო, და ოცდამეერთე საუკუნის პირველმა წლებმა? ალბათ ამ 16-17 წლის მანძილზე იმდენი ვიმოძრავეთ, რომ გარკვეული თვალსაზრისით კვლავ „უმოძრაობის“ ხანაში ამოვყავით თავი. აღნიშნულმა წლებმა იმაზე მეტი მოიტანა და იმაზე მეტიც წაიღო, რასაც, ვგონებ, მთელი საუკუნე დასჭირდებოდა. ჩვენ ხან აბსურდული თეატრის წარმომადგენელი ქვეყანა ვართ, ხან ქვის ხანის ტოტიდან ტოტზე მოხტუნავე ადამიანის მსგავსი არსებები, ხანაც „ეპოქალური“ მნიშვნელობისა და ცივილიზაციის ჩინებული



პირები, ვისგანაც ინტერვიუს იღებენ არანაკლებად გაწვრთნილი ჟურნალისტები. მაგრამ ჰამლეტისა არ იყოს, „საკითხავი აი ეს არის“ — ყოფნა უწერია თუ არ ყოფნა უკვე თითქმის ყავლგასულ ჰუმანიზმს, სიყვარულსა და ერთგულებას, დრამასა თუ მელოდრამას, რომელიც ახლა, შეიძლება იმ შემთხვევაში გამოიყურებოდეს მხოლოდ მოზარდებისთვის გულისამაჩუყებელ საშუალებად, თუ ეს ჟანრი თითიდან გამოწოვილ თემას ემსახურება. მოზარდები ვახსენე... დიახ, მოზარდები და არა „თინეიჯერები“, როგორც უწოდებენ მათ უცხო ენით მოხიბლულნი და მშობლიურ ენაში განხიბლული თანამედროვე ქართველი „განმანათლებლები“. რაც შეეხება მელოდრამას, ბევრ საკითხში ისეთ მიმართულებას ვაძლევთ ამ ჩვენს მოზარდებს, რომ გული მათ არც მოყვასის ცემა-ტყეპაზე აუჩუყდებათ და არც მის სულიერ განცდებზე... ჰოდა, სწორედ რომ დროულია (ვიდრე მთლად გვიან არ არის), რომ რაც შეიძლება ხშირად დავუპირისპიროთ ე.წ. „საშინელებათა“ ფილმებს, მდარე სერიალებს, თვითკმაყოფილ, გაზულუქებულ სახეებს და მათ დემაგოგიურ განცხადებებს მაღალმხატვრული მელოდრამა, სადაც ყველაფერი ადამიანურია: სიყვარულიც, ტკივილიც, სისუსტეც, ერთგულებაც, რწმენაც, უიმედობაც და თვით თამაშიც კი!

ასეთი პიესა დაწერა ათიოდე წლის წინათ მწერალმა ლაშა თაბუკაშვილმა, რომელსაც სათაურიც პოეტური, ანუ ადამიანური აქვს: „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“... პიესა რამდენიმე თეატრში წარმატებით დაიდგა და იმის გამო, რომ თემა მარადიულია, თავად ავტორი კი გულწრფელი, — კვლავ ვიხილეთ ახალი სპექტაკლი, რომელიც ამჯერად გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრმა შემოგვთავაზა და თავისუფალი თეატრის სცენაზე წარუდგინა დედაქალაქის მაყურებელს.

სპექტაკლი დადგა კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა რამაზ იოსელიანმა, რომელიც ამჟამად აღნიშნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. თეატრს აშკარად დაეტყო ახალი ხელი. დაიდგა რამდენიმე ყურადსაღები სპექტაკლი, დაისახა და ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც საინტერესო გეგმები...

რამაზ იოსელიანის ამ სპექტაკლის ძირითადი ღირსება ის არის, რომ გამოყენებული აქვს თეატრის საუკეთესო ტრადიციებისთვის დამახასიათებელი პირობითობა, რაც ბუნებრივად ერწყმის მის ინდივიდუალურ ხედვას და თავისუფალია იმ რეჟისორული კეკლუცობისაგან, არც თუ იშვიათად და გამაღიზიანებლად რომ ხვდება ხოლმე ყურსა და თვალს. სპექტაკლში მონაწილე ყველა მსახიობი მეტ-ნაკლებად ახალგაზრდაა. ძველი თაობიდან მხოლოდ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ჩეკო ტატალაშვილი ასრულებს, შეიძლება ითქვას, მთავარ როლს (ბატონი დევი). როგორც იტყვიან, „პარადი“ მას და ნიას როლის შემსრულებელ გვანცა დადიანიძეს მიჰყავთ. მაგრამ ნებისმიერი მსახიობი (ზაზა ცარულაშვილი (გიო), ლევან ჯამბრიშვილი (ბაჩა), კობა კოპაძე (კოსტა), ელენე სამადალაშვილი (თეა), თუ ლიკა კევლიშვილი (ლალი) თავის პერსონაჟებთან ერთად), ამ ერთი მთლიანი სახლის ტრაგიკული, თავზარდაცემული, მაგრამ მაინც ამაღლებული სულის ბინადარია. მათ მართალი და მსახიობისთვის აუცილებელი უშუალობით შეძლეს თვით ქურდისა (ზურაბ ხინჩიკაშვილი) და მისი „დაცვის“ (გიორგი ხუბაევი) განიარაღება და ჩრდილიდან მათი მზისკენ შემობრუნება... და ბრწყინავს მაყურებლის თვალზე ცრემლი... ასეთი გაბრწყინებული სისპეტაკით აფრქვევს გვანცა დადიანიძის ნია მომავლისადმი რწმენის სხივებსა და იასამნის სურნელს... და მთელი ეს სახლი, დარბაზი, კედლები და ამ სურნელით გაჟღენთილი ადამიანები სინათლიდან თითქმის ბნელ ქუჩებში გადიან, მაგრამ გზას სახლამდე სპექტაკლიდან ადევნებული სხივი მიაცილებს. მერე რა, რომ ჯერაც სველია სველი იასამანი და მაყურებლის თვალები; მერე რა, რომ სიყვარული, თანადგომა, რწმენის რწმენა მოდაში აღარ არის და ეს სიტყვები „ხალხზე მზრუნველთა“ მხრიდან ყალბი პათოსით გაისმის!.. იქნებ ასეთი ნაწარმოებები უფრო დიდ რევოლუციებს ახდენენ, ვიდრე... და იქნებ, მართლაც, ეს არის რევოლუცია, ოღონდ უეკლო?

**მზია ხეთაგური**

**სურათზე: სცენა სპექტაკლიდან: ნია — გვანცა დადიანიძე და ლალი — ლიკა კევლიშვილი.**

◉ მოგონება

# ცხოვრებაც სცენად გადაექცა...

**ქალბატონი თამარ წულუკიძე სცენაზე ორჯერ ვნახე. პირველად ბავშვობისას, გრიგოლ რობაქიძის დრამაში — „ლამარა“ და მეორედ, როცა თამარი გადასახლებიდან დაბრუნდა, პოპოვის პიესაში — „ოჯახი“. ამ ორი სახის შექმნისას უშველებელი და ტკივილიანი ინტერვალი იყო, მაგრამ ლამარას როლშიც და მარია ალექსანდროვნას როლშიც მან დიდებული და დასამახსოვრებელი სახეები შექმნა. ასევე ნიჭიერად განასახიერა მან დედა მიხეილ ჯავახიშვილის რომანის მიხედვით შექმნილ ფილმში — „ქალის ტვირთი“, სადაც შესანიშნავი ქართველი მსახიობები იყვნენ დაკავებულნი: გიორგი შავგულიძე, ლია ელიავა, ვალიკო დოლიძე, იაკობ ტრიპოლსკი, გიორგი გეგეჭკორი და სხვა.**

მერე ჩემი თვალთახედვიდან დაიკარგა ქალბატონი თამარი და შემთხვევით გავიგე, რომ ის საცხოვრებლად მინსკში გადავიდა, ბელორუსიაში.

1981 წელს რომ გამოვიდა საკავშირო მწერალთა წევრების სია — საცნობარო კრებული, იქ ამოვიკითხე თამარის მისამართი და სამაისოდ „თამარობა“ მივულოცე. ჩვენს შორის გაიმართა მიწერ-მოწერა, რომელიც არ შეწყვეტილა მის გარდაცვალებამდე და ჩემს არქივში მისი მრავალი საინტერესო წერილი ინახება. მე მას აქედან ვუგზავნიდი გაზეთებს, წიგნებს, ჟურნალებს, სადაც წერილები იბეჭდებოდა სანდრო ახმეტელზე და მასზე, რაზედაც ის მაშინვე გამომეხმაურებოდა ხოლმე.

1982 წელს, ჩვენმა მწერალთა კავშირმა მინსკში მიმავლინა ბელორუსიის მწერლების მერვე ყრილობაზე. ბილეთი პირდაპირ რეისზე ვერ ვიშოვე და ჯერ ჩასვლა კიევში მომიხდა, მერე ერთი აეროდრომიდან მეორეზე ტაქსით მგზავრობა, ახლა იქ ძლივს ვიშოვე ბილეთი და ჩავფრინდი მინსკში უკვე ყრილობის დაწყების დღეს, ამიტომაც ცოტა დამაგვიანდა დარბაზში შესვლა, თვალით მოვძებნე თავისუფალი სკამი და უცებ მესმის:

— მივესალმოთ საქართველოს წარგზავნილს, მწერალ ნანა კანდელაკს!

დარბაზში ტაში გაისმა, უნებურად წამოვდექი, თავი დავუკარი მადლობის ნიშნად დაბნეულმა, ვიფიქრე, რა იციან ვინა ვარ მე? და შემდეგ, ასევე რომ მიესალმნენ უზბეკეთიდან ჩამოსულს, მოლდავეთიდან და კიდევ რამდენიმე რესპუბლიკიდან, მაშინ მივხვდი, რომ მასპინძლები ასე ესალმებოდნენ ყველა ჩამოსულ სტუმარს.

გულზე მომეშვა, გამეცინა კიდევაც. ამ დროს ვიღაც მაწვდის ბარათს და ხელით მანიშნებს წინა რიგებზე. გავიხედე და ქალბატონ თამარის მშვენიერ სახეს წავაწყდი. მანიშნა, ბარათი წაიკითხეო, ბარათში ეწერა: „ბედნიერი ვარ, რომ შევხვდით ერთმანეთს. იმედია, სხდომის შემდეგ, შესვენებისას მნახავთ. თამარ წულუკიძე“. ხელი დავუქნიე და კოცნა გავუგზავნე. ცოტა ხანში ჩემთან ახალგაზრდა მოვიდა, მთხოვა, პრეზიდიუმში ავსულიყავი. თავმჯდომარემ — მაქსიმ ტანკმა ხელით მიმითითა მის ახლო სკამზე და მითხრა, — იქნებ მიესალმოთ ჩვენს ყრილობასო. მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. მოხსენების მერე რამდენიმე თანამომხსენებელი გამოვიდა, შემდეგ უკრაინის და მოსკოვის წარმომადგენელი და მერე მე. ძალიან მოკლე სიტყვით გამოვედი, მაგ.რამ ეტყობა შთაბეჭდილება კარგი დავტოვე და დიდი ტაშიც მივიღე, რაც მე საქართველოს პატივისცემად ჩავთვალე.

შესვენებისას შევხვდი თამარს. მან სამი მწერალი გამაცნო. კრიტიკოსი იულია კანე, საბავშვო მწერალი — ელენე ვასილევიჩი და პროზაიკოსი — გალინა ვასილევსკაია.

სუფრის მასპინძლობა მე ვითავე და შევატყვე, ქალბატონ თამარს ძალიან მოეწონა ჩემი თაოსნობა. საღამოს კი თამარმა ვახშამი გამართა შინ და მეტად სასიამოვნო საზოგადოებას მოუყარა თავი.

დაუვიწყარი საღამო იყო.

მე და თამარმა ქართული სიმღერებით ვიჯერეთ გული.

სტუმრები გაოცებულები მოგვჩერებოდნენ, თამარს გადაულაპარაკეს, — აკი დღეს პირველად შეხვდით ერთმანეთს, ასე ხმაშეწყობილად როგორ მღერიხართო.

— это наш национальный дар! — ამაყად განაცხადა ქალბატონმა თამარმა.

**1983 წელს, თბილისში რომ ჩამოვიდა თამარი, მესტუმრა ქალბატონ ნათელა არველაძესთან ერთად. ბევრი ვისაუბრეთ დღევანდელი თეატრის მიღწევებზე და საფიქრალზეც. აქ ყოფნისას თამარი ვინახულე მუხაძეებთან, სადაც მან თავისი მომავალი წიგნის „მხოლოდ ერთი სიცოცხლე“ რამდენიმე თავი გამაცნო. თბილისიდან წასვლის წინ კი ყვარელაშვილებმა, ასე ვთქვათ გასაცილებელი ვახშამი მოუწყეს, რომელსაც ქალბატონი ნინო ჩიხლაძეც ესწრებოდა თავის ქალიშვილთან ერთად და ქალბატონი თამარ ბაქრაძე.**

**რამდენი რამ გაიხსენეს ქალბატონმა თამარმა და ბატონმა მიშამ, მათი შემოქმედებითი ცხოვრებიდან რუსთაველის თეატრში მოღვაწეობისას (ბატონმა მიშამ სამსახიობო კარიერა დრამატულ თეატრში დაიწყო, მერე გახდა ოპერის თეატრის მომღერალი); თვალცრემლიანებმა გაიხსენეს სანდრო ახმეტელი, ვანიკო აბაშიძე, ბუჟუჟა თავშავაძე, სხვებიც, ვინც რეპრესიების მსხვერპლი გახდა. და ვინ იცის, რამდენი შემოქმედებითი ჩანაფიქრი ვერ განახორციელა დიდმა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა, რამდენი შესანიშნავი როლით, სპექტაკლით ვერ გაიხარეს მსახიობებმაც და მაყურებლებმაც.**

ბატონმა მიშამ, უკვე ავადმყოფმა, „თავო ჩემო“ წამოიწყო, მაგრამ თამარ ბაქრაძემ ხელი გაასავსავა, — არ გინდათ, არა! მთავარია, რომ გადავრჩით და ისევ ვმოქმედებთო.

— ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ! — ნაღვლიანად თქვა თამარ წულუკიძემ.

ქალბატონ თინას, მიშა ყვარელაშვილის მეუღლეს, ცრემლი მოერია და სამზარეულოში გავიდა.

ორმა თამარმა კი, წულუკიძემ და ბაქრაძემ, ისევ მოგონებებს მისცეს თავი...

თამარ წულუკიძე იშვიათი მოსაუბრე იყო, დიდად ნაკითხი და დიდი ცხოვრებაგამოვლილი ადამიანი. შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა და

> **„მე დიდი სიხარული განვიცადე „ლამარას“ წარმოდგენაზე. სიხარული განვიცადე არა მარტო იმიტომ, რომ არტისტები დიდი ოსტატობით თამაშობენ, არამედ იმიტომაც, რომ მასში ქართული სული შევიცანი.**
>
> **აი, ჩვევათა და, მაშასადამე, ძველი კულტურის მართალი აღდგენა, რაც პატივს დებს შემოქმედთ...“**
>
> **მარსელ კაშენი,**
> **ფრანგი მწერალი.**

როცა რამეს ჰყვებოდა, მსახიობისათვის დამახასიათებელ სიდინჯეს არასოდეს ღალატობდა. საერთოდ, დახვეწილი ინტელიგენტი იყო, დიდებული მანდილოსანი და მე მეამაყება, რომ მასთან ახლო ურთიერთობა მარგუნა ბედმა.



მას ჰქონდა უფლება ბევრ ვინმეზე განაწყენებული ყოფილიყო, აუგად მოეხსენებინა ბევრი თავისი კოლეგა, მაგრამ არ მახსოვს ამის მსგავსი რამე. უხაროდა ყველას წარმატება და განსაკუთრებით მისი მშობლიური თეატრის, სადაც მან ვარსკვლავივით გაიელვა და უბედობამ გააქრო, მოსწყვიტა სამშობლოს, დაკარგა მეუღლე, მასწავლებელი, დიდი ხელოვანი ადამიანი. ბედმა ესეც არ აკმარა და წაართვა ერთადერთი შვილი — სანდრიკა.

— თბილისი, ჩემი სიყვარულია, მაგრამ აქ რომ ჩამოვდივარ, გული ამოვარდნაზე მაქვს ხოლმე, — უთქვამს ჩემთვის, — აქ ვეღარ ვჩერდები დიდხანს. მოგონებები მოსვენებას არ მაძლევენ, უძილობა მემართება აქ...

— იქ, მინსკში?

— იქ უფრო მოსვენებული ვარ...

მაშინ მინსკში ყოფნისას მე თვალნათლივ ვიგრძენი, რა პატივისცემით სარგებლობდა კოლეგებში ქალბატონი თამარი. ის ხომ კარგი მთარგმნელი და ნარკვევების ავტორი იყო. ყველა მოწიწებით მიმართავდა და ელაპარაკებოდა. ესეც არ იყოს, სხვისგან წყენაც ადვილი გადასატანია. ახლობლისგან კი ძნელია. ჩემთვის წერილშიც მოუწერია და პირადად შეხვედრის დროსაც მრავალჯერ უთქვამს, — სადაც არ უნდა მოვკვდე, სანდრიკას გვერდით უნდა დამასაფლაოთო.

ერთხელ ვკითხე:

— ქალბატონო თამარ, „ოჯახში“ როცა ავანსცენიდან დარბაზის სიღრმეში გაიხედეთ და წარმოთქვით, — სადა ხარ, საშა? — მაშინ მხოლოდ პირველად გაგიძნელდათ ამის თქმა, რაკიღა დარბაზის რეაქცია საოცარი იყო, თუ მერე მსახიობის ტექნიკა გშველოდათ თავის დაჭერაში?

— ამ სცენის ჩატარება მუდამ მიჭირდა და ბოლოს ხომ წამოვედი კიდევაც თეატრიდან... მაყურებლის თანაგრძნობა, მსახიობისათვის დიდი მხარდაჭერაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემთვის ტრაგედიად გადაიქცა, რადგან მოგონებების სიმწვავე დღითი-დღე გულში ტკივილად მებჯინებოდა... ეტყობა არის ტკივილი, რომელსაც დროც ვერ კურნავს...

მცირე ხნით მინსკში წასვლა ოცდაათ წელს გაგრძელდა. მას იქ ჰყავდა სულიერი მეგობარიც, რომელსაც თამარი დიდ პატივსა სცემდა. სამწუხროდ, ისიც წაართვა ბედმა.

თავისი გახმაურებული წიგნი — „მხოლოდ ერთი სიცოცხლე“, მინსკიდან გამომიგზავნა გულთბილი წარწერით და ვრცელი წერილით. იქ ერთ ადგილას მწერდა:

„ამ წიგნით მე აღვასრულე ჩემი ვალი თაობის წინაშე და სიმართლე ვუთხარი მტერსა და მოყვარეს... ეს მე უნდა მეთქვა და კიდევაც ვთქვი!“

ბოლო დროს ქალბატონი თამარი ხშირად ავადმყოფობდა და წერილებიც ნაღვლიანი იყო. „ჩემი მძიმე ჯვარი აქამდე მედგრად ვზიდე, მაგრამ წლებმა თავისი ქნა... ეტყობა იწურება ჩემი გრძელი ცხოვრების გზა...“

მივხვდი, თამარს წლები მოერია, რადგან მანამდე ასეთი რამ არასოდეს მოუწერია. ოცნებად გადაექცა თბილისში დაბრუნება და წუხდა, განიცდიდა, რომ ამის განხორციელებას ვერ ახერხებდა, რაკიღა ერიდებოდა აქ ვინმეს შეწუხება, ბინის გადაცვლას კი არ აპირებდა. ბინა დაუტოვა ახალგაზრდა ქალს, ვინც უვლიდა, ყურადღებას არ აკლებდა.

ერთხელ ასეთი რამეც მომწერა: „აქ ისეთ სითბოს იჩენენ ჩემს მიმართ, მერიდება უმადურობაში არ ჩამითვალონ ახლა აქედან წასვლა“.

მაგრამ რუსთაველის თეატრის სიუბილეო საღამოზე კი ჩამოვიდა და რობერტ სტურუას პატარა ზარი უსახსოვრა, რომელიც მუდმივი თანამგზავრი ყოფილა სანდრო ახმეტელისთვის რეპეტიციების დროს. შეხვედრისას ისევ შემახსენა, ყველამ უნდა იცოდეთ, ნეშტი თუ არა, ფერფლი მაინც აქ ჩამოასვენეთ და ჩემი პირმშოს გვერდით ჩაფლეთო.

ასეც მოხდა...

1991 წლის თებერვალში, თბილისში ჩამოასვენეს ქალბატონ თამარ წულუკიძის ფერფლი, რუსთაველის თეატრის ფოიეში დაასვენეს, სადაც მისი ნიჭის დამფასებლებმა მოიყარეს თავი. ცრემლიანი სიტყვები უთხრა, ყველა თაობის ხელოვანმა, მინსკიდან ჩამოსულმა საპატიო წარმომადგენლებმა.

მაგრამ როცა დარბაზში გაისმა აკაკის „განთიადის“ სიტყვებზე სიმღერა:

> **„დედაშვილობას, მეტს არ გთხოვ,**
> **შენს მიწას მიმაბარეო,**
> **ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტო,**
> **ჩემო სამშობლო მხარეო...“**

ყველა გულდათუთქული აქვითინდა.

თამარის სულმა უკანასკნელად გაიარა საყვარელ რუსთაველის პროსპექტზე და თავისი შვილის, სანდრიკას გვერდით ჰპოვა უკანასკნელი სასუფეველი.

მსუბუქი იყოს ქართული მიწა, ჩემო ქალბატონო თამარ, თქვენთვის!

**ნანა კანდელაკი**

◉ პრემიერის შემდეგ

# უჩემოდ ვინ იმღერეთა, ანუ თურაშაულის პატრონის გასაჭირი

## თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სადაგი და უქმე დღეები

ღიახ, კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სადაგი და უქმე დღეების შესახებ გვექნება საუბარი. მართლაც, კონსერვატორიის ერთ-ერთ შემოქმედებითად აქტიურ და წარმატებულ რგოლს საოპერო სტუდიას, როგორც წესი, ფრიად დატვირთული და შინაარსიანი სადაგი დღეები აქვს ხოლმე, მით უმეტეს, სასწავლო წლის დასასრულს.

აქ, პირველ რიგში, იგულისხმება საოპერო ნაწყვეტების მომზადება, რეპეტიციები და, ბოლოს, ჩატარებული სამუშაოს გვირგვინი— ახალი საოპერო სპექტაკლის გაშვება.

აი,აქ კი დგება სტუდიის ცხოვრების ყველაზე საპასუხისმგებლო და, ამავე დროს, ამაღელვებელი მომენტი: მისი უქმე ანუ სადღესასწაულო დღეები — ახალი სპექტაკლების პრემიერები.

გამონაკლისი ამ მხრივ არც მიმდინარე სასწავლო წელი გახლდათ. ჯერ კიდევ შემოდგომით სტუდიამ წარმოადგინა თავისი ახალი ნამუშევრები: პერგოლეზის „მოახლე-ქალბატონი“ და მოცარტის „ბასტიენ და ბასტიენა“

სულ ახლახან კი შედგა როსინის უბერებელი „სევილიელი დალაქის“ პრემიერა (ორი სპექტაკლი), რომელსაც დამსახურებული წარმატება ხვდა მის ყველა მუსიკალურ-თეატრალური პარამეტრით (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

კი მაგრამ, გაიკვირვებს ალბათ მკითხველი, რა შუაშია ამ შემთხვევაში ჩვენი წერილის ფრიად ორაზროვანი სათაური?

ირკვევა: სწორედაც, რომ შუაშია.

საქმე კი ის გახლავთ, რომ სამიოდე კვირით ადრე პრემიერამდე ე.ი. ფაქტობრივად, უკანასკნელ მომენტში, სპექტაკლის მონაწილეთ ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზით, გამოაკლდა სამი „შვილივით ნაზარდი“ ფიგაროს როლის შემსრულებელი! ერთი მათგანი უცხოეთში მიიწვიეს (საცთური მართლაცდა ძალიან დიდი იყო), მეორემ გადაღლილობა მოიმიზეზა (რა არ ხდება ქვეყანაზე!), მესამემ კი ამჯობინა ფიგაროს როლი შეესრულებინა ერევნის (სომხეთი) ფილარმონიის სცენაზე, სადაც იგი საგანგებოდ მიიწვიეს!

ასე და ამგვარად, ჩვენი სტუდიის სპექტაკლს დაემუქრა და მერე როგორ, ჩავარდნა და კიდევ მეტიც — სკანდალი. სპექტაკლს ხომ სპონსორობდა იტალიის საელჩო და, წარმოგიდგენიათ, რა შედეგი მოჰყვებოდა ასეთ „ფორტელს“(პოლონური სიტყვაა და ოინს ნიშნავს)?

ხსნა ისევ ერევნიდან მოგვევლინა ადგილობრივი კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სოლისტის, ბარიტონის გორ არუთინიანის სახით, რომელიც ჩვენებმა სასწრაფოდ მოიწვიეს მეზობელი ქვეყნიდან და ისიც, საბედნიეროდ, დათანხმდა.

ახლა კი, ალბათ, გასაგებია, თუ რა კონტექსტში ვიხმარეთ სათაურში გამოტანილი გამოთქმები („თურაშაულის პატრონი“... და ა.შ.)

ყოველივე ამით სრულებითაც არ მინდა რაიმე აუგის თქმა ჩვენ სტუმარზე. პირიქით, მას დიდი მადლობა ეკუთვნის ჩვენგან იმისთვის, რომ გამოგვიყვანა სინამდვილეში გამოუვალი მდგომარეობიდან და სათანადო პროფესიულ დონეზე შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა.

ახლა კი „ბეწვზე გადარჩენილი“ სპექტაკლის შესახებ. პირდაპირ ვიტყვი, რომ იგი მართლაცდა ჩინებული გამოვიდა, როგორც იტყვიან, ახარებდა თვალსა და ყურს.თანაბრად მაღალ დონეზე იყო მუსიკალური შემსრულებლობა (ვოკალისტები, ორკესტრი) და სადადგმო ნაწილიც (რეჟისურა, სცენოგრაფია). მაღალ პროფესიულ დონეზე მიჰყავდა სპექტაკლი სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელს რევაზ ტაკიძეს. ვფიქრობ, რომ ამ ნიჭიერი და გამოცდილი დირიჟორის შემოქმედებითი შესაძლებლობები არ არის სათანადოდ რეალიზებული არც საოპერო თეატრის და არც ჩვენი სიმფონიური ორკესტრების საშემსრულებლო პრაქტიკაში. მას მტკიცედ ეპყრა ხელთ როსინის ფრიად რთული, თავბრუდამხვევ ტემპში წარმართული პარტიტურის „სადავეები“, სრული კოორდინაცია იყო დამყარებული ვოკალისტებსა და ორკესტრს შორის.



არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს სპექტაკლი გამოცდილი რეჟისორის გივი გაჩეჩილაძის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია, მოქმედება პირდაპირ ჩქეფს სტუდიის პატარა სცენაზე, ყველა პერსონაჟი აქტიური სცენური ცხოვრებით ცხოვრობს. მაღალ შეფასებას იმსახურებს სპექტაკლის სცენოგრაფიული ნაწილი (მხატვარი ნეიკო ნეიძე), ქორმაისტერ მიხეილ ედიშერაშვილისა და კონცერტმაისტერ ნანა რუხაძის ნამუშევარი.

ფიგაროს როლის შემსრულებლის გ. არუთინიანის ღირსებებზე ზოგადად ზემოთ ვილაპარაკეთ, უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ თავისუფლად ძლევს თავისი პარტიის დიდ სირთულეებს, ერთობ სცენიურიც არის.

როზინას პარტიას ორი მშვენიერი შემსრულებელი ჰყავს: მაგისტრატურის 1 კურსელი სოპრანოები მადი სერებრიაკოვა და ნინო მაჩაიძე, რომელსაც უკვე დიდ საოპერო სცენაზეც ჰქონდა დებიუტი. ორივეს ლამაზი ხმები და ჩინებული ვოკალური სკოლა აქვთ.

სპექტაკლის მშვენებაა ბარტოლოს როლის შემსრულებელი, ნიჭიერი სახასიათო მსახიობი, ბარიტონი ზაზა ხელაია (საოპერო სტუდიის სოლისტი). კარგად გაართვეს თავი ვოკალური პარტიების სიძნელეებს გარი საფარიანმა (მაგისტრატურის 1 კ.,ტენორი) და გოჩა დათუსანმა (სტუდიის სოლისტი, ბანი), რომლებიც შესაბამისად ალმავივასა და დონ ბაზილიოს როლებს ასრულებენ. აღვნიშნავ ახალგაზრდებს — პირველკურსელებს — ძალიან პერსპექტიულ ანიტა რაჭველიშვილს (სოპრანო), გოჩა აბულაძესა და პაატა სუხიტაშვილს.

**გულბათ ტორაძე**

◉ შვებაც, მხნეობაც

# ცის ნამი დამჭკნარი ყვავილისთვის

**(მეხუთე გვერდიდან)**

ორივე სპექტაკლის სცენოგრაფია ეკუთვნის ლომგულ მურუსიძეს. მხატვრის ხედვა თანამედროვეა, სადა და გამომსახველი. აზროვნება საინტერესო, ეპოქისა და სტილის შესატყვისი.

მალე კულტურის სამინისტრო კიდევ ერთ კონკურსს გამოაცხადებს საინტერესო სადადგმო პროექტისათვის; მისი საპრიზო ფონდი სამი ათას ლარს შეადგენს. გამარჯვების შემთხვევაში ზუგდიდელები სენაკის თეატრთან ერთად ერთობლივი სპექტაკლის მომზადებას ვარაუდობენ. უახლოეს ხანებში თეატრი ორ ახალ სპექტაკლზე იწყებს მუშაობას: რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და ბრანდონ ტიბასის „ჩარლის დეიდა“. უფრო შორეული გეგმები ანტიკური დრამატურგიის სცენაზე ხორცშესხმას უკავშირდება.

ვერც ერთ, თუნდაც ყველაზე მდიდარ ქვეყანაში, თეატრს სრულიად დამოუკიდებლად არსებობა არ ძალუძს. მას სახელმწიფოებრივი ზრუნვა და თანადგომა სჭირდება. ასე იყო ოდითგანვე, ასეა დღესაც. ზუგდიდის თეატრი ადგილობრივი ხელისუფლების შემყურეა, სადაც კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებიან ხელმძღვანელები, მაგრამ თეატრისადმი დამოკიდებულება უცვლელი უნდა იყოს. დიდი ესპანელი დრამატურგისა და მოღვაწის ლოპე დე ვეგას გამონათქვამისა არ იყოს — „ერი, რომელსაც თეატრი არ უყვარს, მასზე არ ზრუნავს, ის ერი მკვდარია“. ეს მუდამ უნდა ახსოვდეთ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“, ვინაიდან მათზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

ზუგდიდის თეატრს ხანგრძლივი და მეტად საინტერესო ისტორია აქვს. აქ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ქართული კულტურის კორიფენი — რაფიელ ერისთავი, ანტონ ფურცელაძე, შალვა დადიანი, ვასო ყუშიტაშვილი, თემურ ჩხეიძე... მათი ნაშრომ-ნამოღვაწარი ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული ქართული თეატრის ისტორიაში. ეროვნულ მონაპოვარს გაფრთხილება და მოვლა-პატრონობა სჭირდება. თეატრის მუზეუმში სასოებითაა შემონახული მდიდარი წარსულის ამსახველი მასალები. ეს ხომ ყველა ჩვენგანის სიმდიდრეა.

ზუგდიდელებს უყვართ თეატრი და თითოეულმა უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ შევინარჩუნოთ და ავაღორძინოთ კულტურის ეს თვალსაჩინო კერა დასავლეთ საქართველოს სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს რეგიონში, რათა თავიდან ავიცილოთ შთამომავლობის სამართლიანი წყრომა...

**ვაჟა ძიგუა**

მოამზადეს ნანა ღვინეფაძემ და რუსუდან მუხიგულაშვილმა.

**მინიფეხბურთი**

# ჩინიანის, უჩინოს...

**დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ბეგაშვილი, წევრები მ. მაჩაიძე, რ. აიწურაძე, გ. მოსიძე, მ. მინდაძე, გ. გობეჯიშვილი, მ. ბეგიაშვილი, მინისტრების მოადგილეები და თანამდებობის სხვა პირები, პოპულარული მომღერალი, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი დ. გომართელი...**

ისინი ყველანი მონაწილეობდნენ მინიფეხბურთში საბიუჯეტო ორგანიზაციათა ტრადიციულ ტურნირში გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის ავთანდილ ჭკუასელის სახელობის თასზე, რომელსაც ერთი კვირის განმავლობაში მასპინძლობდა სპორტკომპლექსი „ქარიშხალა“.

ბარაქალა ამ საინტერესო ასპარეზობის ორგანიზატორებს – საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიულ კავშირებსა (ი. ბექაშვილი) და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს (დ. ნამგალაური), რომლებმაც ამჯერად გუნდების სარეკორდო რაოდენობას – 14 მოუყარეს თავი.

გაუწყებთ გადამწყვეტი შეხვედრების შედეგებს:

ფინალი. კონტროლის პალატა – შსს 2.:2 (პენალტებით 4:3).

მატჩი III ადგილისთვის. სოფლის მეურნეობის სამინისტრო – თბილისის საკრებულო 1:1 (პენალტებით 3:1).

დავძენთ, რომ მაყურებლებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აგრეთვე იუსტიციის სამინისტროს, ქალაქის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს გუნდებმა.

როგორც ყოველთვის, სპეციალური პრიზებით აღინიშნა ტურნირის საუკეთესო მონაწილეთა ოსტატობა. ესენი არიან მეკარე თ. დოლიძე, მცველი მ. ივანიძე, ნახევარმცველი გ. სოფოევი, თავდამსხმელი გ. სარიშვილი, ბომბარდირი თ. გიორგაძე, ტექნიკური მოთამაშე მ. მაჩაიძე და ულამაზესი გოლის ავტორი დ. გომართელი.





**სურათებზე: აჯილდოებენ ულამაზესი გოლის ავტორს დათო გომართელს; გამარჯვებული კონტროლის პალატის გუნდი.**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

**ოლიმპიური ფესტივალი**

# ფონს ძიუდოთი გავდივართ

**გუშინწინ ლინიანოში, სადაც ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი გრძელდება, დილიდანვე წვიმდა, რამაც ერთგვარად გაგვიფუჭა გუნება-განწყობილება – უამინდობამ ზოგიერთი შეჯიბრების გამართვას ხელიც შეუშალა.** მაგალითად, მეორე დღისთვის გადაიდო ჩოგბურთში შერეულ წყვილთა ორთაბრძოლები. სამაგიეროდ, არსენამ გამოგვიკეთა ხასიათი. ძიუდოისტ არსენა მაჭარაშვილზე (66 კ.) მოგახსენებთ. მან ტატამზე ისეთი ფანდები დაატრიალა, რომ დელეგაციის წევრებს სულ სიხარულის ცრემლი გვაყრევინა. საჩხერელმა ჭაბუკმა ერთმანეთის მიყოლებით იპონით დაამარცხა ბერძენი მანოლის აინტინიდისი, პოლონელი იაცეკ ბრიში, დანიელი შონ დენ იელესბარკი, გერმანელი შტეფან ტილი, ბელორუსი ვიტალი შაულიუკი და დამსახურებულად ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მაჭარაშვილის გამარჯვების აღსანიშნავად ქართული ხუთჯვრიანი დროშა რომ აფრიალდა, დარბაზში მყოფმა ჩვენი დელეგაციის წევრებმა საქართველოს ჰიმნი ერთხმად დავაგუგუნეთ. „ბედნიერი ვარ, – მითხრა არსენამ. – ეს დღე არასდროს დამავიწყდება“. ფეხბურთელმა ბიჭებმა დღის ტრიუმფატორი დარბაზიდან საცხოვრებლამდე ხელში ატაცებული მიიყვანეს. იქ კი სეოკის პირველ ვიცე-პრეზიდენტს ლერი ხაბელოვს დაბადების დღე მივულოცეთ. „დიდი მადლობა ყველას, განსაკუთრებით – არსენა მაჭარაშვილს, რომელმაც დაბადების დღე „ოქროს“ მოპოვებით მომილოცა“, – თქვა ბატონმა ლერიმ.



რაც შეეხება ფესტივალის მეორე დღის სხვა შეჯიბრებებს, გაგვახარა ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ, რომელმაც შვეიცარიელი ქუსტინა დერუნგსი დაამარცხა – 3:6, 6:2, 6:1. სამწუხაროდ, ნიკოლოზ ქურდაძემ იტალიელ დანიელე პილუდუსთან წააგო 1:6, 1:6 და ერთეულთა შეჯიბრებას გამოეთიშა. ვერაფრით გაგვახარეს ტანმოვარჯიშეებმა – ქეთევან ბოლქვაძემ და ქრისტინე შვენტიძემ, თუმცა მათგან საპრიზო ადგილებს არც არავინ ელოდა. ფეხბურთში ჩვენგან ძლეულმა შვეიცარიელებმა ლატვიელებს მოუგეს 6:1.

ფესტივალის ორი დღის შემდეგ ძიუდოისტების მიერ მოპოვებული 2 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედლით საქართველოს ნაკრები საერთო გუნდურ ჩათვლაში მერვე ადგილზეა.

**კახა ბერიძე,**

**ლინიანოდან სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“.**

**ანონსი**

**კვირას, 10 ივლისს, 12 საათზე რესპუბლიკის მოედანზე გაიმართება ავტომობილისტთა უპრეცედენტო აქცია – შეჯიბრება „საქართველო უნარკოტიკოდ“. ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ავტომობილისტს საკუთარი ავტომობილით. სტარტზე ნაცნობ სახეებსაც იხილავთ.**

**ორგანიზატორები: საქართველოს ახალგაზრდა ავტომობილისტთა კლუბი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი, თბილისის მერია, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.**

**მხარდამჭერი: „ბრიჯ სტოუნი“.**

**ოფისის ტელეფონი: 98-52-81.**

# „ლეკიანობა“ დაღესტანში

**ორი ადამიანი დაიღუპა დაღესტანში მილიციის თანამშრომლებზე შეიარაღებული პირების თავდასხმის შედეგად.**

როცა მილიციელები ჩხრეკდნენ მახაჩყალის ერთ-ერთ სახლს, მათ გაუხსნეს ავტომატური იარაღის ცეცხლი. სროლის შედეგად მოკლეს ჩხრეკის დროს დამსწრე ერთი პირი, ხოლო ორი მილიციელი დაჭრეს. მოკლეს ასევე ერთ-ერთი თავდამსხმელიც.

სამშაბათს მახაჩყალაში ააფეთქეს მილიციის საგუშაგო, რის შედეგადაც დაიღუპა ორი და დაიჭრა ოთხი ადამიანი.

იმავე დღეს დაღესტნის დედაქალაქში გააუვნებლეს ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც, სპეცსამსახურების წარმომადგენელთა აზრით, აფეთქების შემთხვევაში დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა.

ასევე სამშაბათს დაღესტანში ავტომობილში მოკლეს რესპუბლიკის სახალხო კრების დეპუტატი ზუბაირ ტატაევი. ეს მოხდა ქალაქ ხასავიურტის მახლობლად. დაუდგენელმა პირებმა ტატაევის მანქანას დაუშინეს ავტომატური იარაღის ცეცხლი, რის შედეგადაც დაიღუპა დეპუტატთან ერთად მანქანაში მყოფი მგზავრიც.

ზუბაირ ტატაევი ასევე ხელმძღვანელობდა კომპანია „დაღესტანგაზის“ ფილიალს.

ამ ბოლო ხანებში დაღესტანში თითქმის ყოველ კვირას ხდება თავდასხმები, ძირითადად, რუს სამხედრო მოსამსახურეებსა და ადგილობრივი მილიციის თანამშრომლებზე. გარდა ამისა, მოკლეს მთელი რიგი მაღალი თანამდებობის დაღესტნელი სახელმწიფო მოხელეებიც.

გასულ კვირას 11 რუსი სამხედრო დაიღუპა მახაჩყალაში ბომბის აფეთქების შედეგად, გარდა ამისა, კიდევ დაიჭრა 20 კაცი, მათ შორის, სამოქალაქო პირებიც.

ხელისუფლების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ყოველივე ამისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც ცდილობენ რესპუბლიკაში რადიკალური ისლამის გავრცელებას.

მაგრამ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ვითარება დაღესტანში გაცილებით უფრო რთული უნდა იყოს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ამ აფეთქებებს, შესაძლოა, ჰქონდეს სხვადასხვა მოტივი – რელიგიური ექსტრემიზმით დაწყებული და კრიმინალური „საქმის გარჩევით“ დასრულებული.

ერთ-ერთი ვერსიით, გახშირებული აფეთქებები მოწმობს იმას, რომ დაიწყო საკუთრების ხელახალი გადანაწილება და ბრძოლა ძალაუფლებისთვის.

მეორე ვერსიის მიხედვით კი, თავდასხმები მილიციის თანამშრომლებზე არის შურისძიების აქტები, რადგან, როგორც ცნობილია, 1999 წელს რესპუბლიკაში ისლამური ოპოზიციის განადგურების შემდეგ, მილიციელები დაკავებულ პირთა დაკითხვების დროს სასტიკ მეთოდებს იყენებდნენ.



# მეტამფეტამინი კოკაინზე პოპულარული ხდება

**ასეთია ამერიკის 45 შტატში ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულობების გამოკვლევის შედეგები.**

დაახლოებით 500 სამართალდამცავი აგენტი აღნიშნავს, რომ ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში გაიზარდა მეტამფეტამინთან დაკავშირებულ დანაშაულობათა რიცხვი.

ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლთა უმრავლესობა ხაზს უსვამს, რომ ძლიერმოქმედი ისეთი ფსიქოტროპული ნივთიერება, როგორიც არის მეტამფეტამინი, მათ უდიდეს პრობლემებს უქმნის.

გამოკითხულთა 20 პროცენტზე ნაკლებმა ყველაზე საშიშ ნარკოტიკად დაასახელა კოკაინი, მესამე ადგილზეა მარიხუანა.

მეტამფეტამინი არის ამფეტამინის სახესხვაობა, რომელიც ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე.

ეს ნარკოტიკი ყველაზე დიდ პრობლემებს ქმნის შეერთებული შტატების სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, რადგან მისი წარმოება შეიძლება იმ პროდუქტებისა და ქიმიკატებისგან, რომლებსაც ფერმებში იყენებენ. გარდა ამისა, სოფლად პოლიციას გაცილებით უფრო უჭირს მეტამფეტამინის დამამზადებელი იატაკქვეშა წარმოებების პოვნა.

ამერიკის თითქმის ყოველ მეორე შტატში პატიმართა 20 პროცენტი საპყრობილეებში მოხვდა იმ დანაშაულობათა ჩადენისთვის, რომლებიც მეტ-ნაკლებად უკავშირდებოდნენ მეტამფეტამინს. ზოგიერთ რაიონში კი ეს მაჩვენებელი 50 პროცენტსაც აღწევს.

მეტამფეტამინის მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემები პირველად დააფიქსირეს შეერთებული შტატების დასავლეთ ნაწილში, მაგრამ ახლა ეს ქვეყნის აღმოსავლეთ ნა-



# ისევ საპყრობილეში შეაბრუნეს

**იორდანიის სპეცსამსახურებმა დააკავეს „ყაიდა-ალ ჯიჰადი ერაყში“ ექსტრემისტული ორგანიზაციის ლიდერის აბუ მუსაბ აზ-ზარქავის ყოფილი „სულიერი მოძღვარი“.**

როგორც ყატარის თანამგზავრული ტელეარხი „ალ-ჯაზირა“ იუწყებოდა, ასამ ალ-ბარქავი, იგივე შეიჰ აბუ-მუჰამედ ალ-მუქადესი, დააკავეს იმ დროს, როცა იგი ინტერვიუს აძლევდა ამ არხის კორესპონდენტს.

ალ-ბარქავი მხოლოდ ერთი კვირის წინ გამოვიდა საპყრობილიდან. 2004 წლის დეკემბერში იორდანიის სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ ალ-ბარქავის და მასთან ერთად დაკავებულ კიდევ 23 პირს, წაუყენა ტერორიზმისა და შეერთებული შტატების ობიექტებზე დივერსიათა მომზადების ბრალდებები, მათ შორის, ამანში ამერიკის საელჩოზე განხორციელებული თავდასხმაც.

იმავე წლის დეკემბერში ამ პირებს ყველა ბრალდება მოუხსნეს მათი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებათა უქონლობის გამო, მაგრამ 2005 წლის 30 ივნისამდე ალ-ბარქავი საპყრობილეში დარჩა, ისევე, როგორც სხვა განსასჯელი პირებიც. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ რას უნდა უკავშირდებოდეს მისი ამჟამინდელი დაკავება. იორდანიის ხელისუფლებას არანაირი ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია.

**ალპინიზმი**

# „მთის ჯიქმა“ ქართული დროშა „მაკინლიზეც“ ააფრიალა

**ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე (ალიასკა) ყველაზე მაღალი მწვერვალია „მაკინლი“, რომელიც ქალაქ ტალკეტნიდან 200 კილომეტრზე მდებარეობს. ევრაზიის მწვერვალებთან შედარებით „მაკინლის“ სიმაღლე მოკრძალებულია – 6190 მ, თუმცა, მის დალაშქვრას ყველა მთამსვლელი პრესტიჟულად მიიჩნევს. გრძელი მარშრუტისა და რთული კლიმატური პირობების გამო მისი დამორჩილება იოლი როდია. ალიასკაზე ჩასული ალპინისტები, არცთუ იშვიათად, ხელმოცარული ბრუნდებიან შინ. ქართველმა მთამსვლელებმა – თამაზ შარაშენიძემ და ავთანდილ ცინცაძემ ამას წინათ „მაკინლის“ თავზე ხუთჯვრიანი ქართული დროშა რეკორდულ დროში – 7 დღეში ააფრიალეს.**

ალპინისტურ წრეებში თამაზ შარაშენიძეს კარგად იცნობენ. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მას ყველა შვიდათასიანი მწვერვალი აქვს დაპყრობილი (ზოგიერთი – მრავალჯერაც), რის გამოც „მთის ჯიქის“ ტიტული დაიმსახურა.

შარშან ზაფხულს „ლენინის პიკზე“ (7134) ასვლისას უჩვეულო ისტორია გადახდა თავს: ქართველ მთამსვლელთა ექსპედიციას პამირში იგი ერთი კვირის დაგვიანებით შეუერთდა. აკლიმატიზაცია ვერ მოასწრო, რის გამოც მწვერვალზე ასვლისას ძირითად ჯგუფს ჩამორჩა. მაინც მოექცა მთის წვერზე, სადაც უწინაც ყოფილა. დაშვებისას მოულოდნელად ჩამოწოლილმა ბურუსმა თამაზს გზა-კვალი აუბნია და რაღაც ძალამ ზედ ნაპრალის პირას შეაჩერა. ორი ღამე ღია ცის ქვეშ გაათია აუტანელ სიცივესა და ქარბუქში. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მესამე დღეს მეგობრებმა მიაკვლიეს და მათთან ერთად დაეშვა საბაზო ბანაკში...

ამერიკიდან დაბრუნებულ თამაზ შარაშენიძეს ალიასკური ამბების მოყოლა ვთხოვე.

– შარშან ჩემს მეგობარ პოლ ფერარისთან ერთად დავლაშქრე ჩრდილოამერიკის რთულად მისადგომი მწვერვალი „შაშტა“ (4400), – მითხრა მან. – მაშინ ჩავიფიქრე „მაკინლიზე“ ასვლა. კეთილი ადამიანების დახმარებით ოცნება რეალობად ვაქციე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თანადგომისთვის დიდი მადლობა ვუთხრა ბატონ მამუკა ხაზარაძეს, AMTS-ის (მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი) დირექტორს დავით ლეკიშვილს, ასევე, ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილს.



ალიასკაზე ავთანდილ ცინცაძესთან ერთად გავემგზავრე. იგი პროფესიით ქირურგია და „ჯოენის სამედიცინო ცენტრს“ ხელმძღვანელობს. არაერთხელ ვყოფილვარ მასთან ერთად მთაში. კარგი მეგობარი და სანდო ადამიანია, თავისი საქმის დიდი სპეციალისტი. „მაკინლიზე“ ასვლისას სიკვდილს გადავარჩინეთ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ამერიკელი მთამსვლელი. არადა, იმავე მარშრუტით მოძრავ უცხოელებს იმ კაცისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

ვიდრე „მაკინლის“ საბაზო ბანაკში მოვხვდებოდით, ქალაქ ანკორიჯში მოულოდნელად სამ ქართველს წავაწყდით. ვახტანგ ბოლქვაძე, ლაშა სხულუხია და ნოდარ მირგატია, კარგა ხანია, იქ მუშაობენ. უდიდესი სითბო და ყურადღება გამოიჩინეს ჩვენდამი. თავიანთი მანქანით ჩაგვაცილეს ქალაქ ტალკეტნამდე, საიდანაც თვითმფრინავით გავემგზავრეთ 2200 მეტრზე მდებარე „მაკინლის“ საბაზო ბანაკში.

მწვერვალზე ასვლის მესამე დღეს 5200 მეტრზე საიერიშო ბანაკი გავშალეთ. ძლიერი ქარბუქის, თოვლისა და ნისლის გამო 5 დღე-ღამე კარავში გავათიეთ. მეექვსე დღეს ქარი კი ჩადგა, მაგრამ ისევ თოვდა. ამის მიუხედავად, მე და ავთო გზას გავუდექით. „მაკინლიზე“ ღამით ავედით და მწვერვალზე ხუთჯვრიანი ქართული დროშა ავაფრიალეთ. უკან უხიფათოდ დაბრუნებაში ნათელი პოლარული ღამე დაგვეხმარა.

***– ალპინისტებისგან მსმენია, „თოვლიან-ყინულიან“ მთებში სიარული რომანტიკააო, მაგრამ სარისკოც ხომ არის. არ გეშინიათ?***

– 35 წელიწადია, ფათერაკიანი გზებით დავდივარ, ექსტრემალურ სიტუაციაშიც მოვხვედრილვარ, მაგრამ მორიგ ლაშქრობაზე უარი არასდროს მითქვამს. მით უმეტეს – ტიან-შანის უმაღლეს მწვერვალ „პობედაზე“ ნანახი ყინულის პანთეონის შემდეგ. იქ 7100 მეტრ სიმაღლეზე განისვენებს ჩვენი ილიკო გაბლიანის ცხედარიც. ჩემი ფიქრები დღესაც „პობედას“ და ყინულის პანთეონს დასტრიალებს. მთამსვლელებს სიტყვა გვაქვს მიცემული და, ვფიქრობ, დადგა დრო, ძველი და ახალი თაობის ალპინისტები გავერთიანდეთ, რათა კეთილი ადამიანების თანადგომით ილიკოს ცხედარი მშობლიურ მიწას მივაბაროთ ქრისტიანულად. მისი ჩამოსვენება მეტად რთული და სარისკო საქმეა, მაგრამ ჩვენ ეს უნდა შევძლოთ.

**ესაუბრა**

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: თამაზ შარაშენიძე და ავთანდილ ცინცაძე.**

# განჩინება

## გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

ქ. ქუთაისი — 27 მაისი 2005 წელი

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დურმიშხან ქორქოლიანმა, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, განვიხილე ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის დავით ჯავახაძის განცხადება სს „ქუთაისის საკონსერვო ქარხნის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

ვიხელმძღვანელე რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, მე-11, მე-12, მე-13 და მე-15 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე და 285-ე მუხლებით.

**დავადგინე:**

1. სს „ქუთაისის საკონსერვო ქარხნის“ მიმართ გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება.
2. მოვალე სს „ქუთაისის საკონსერვო ქარხანას“ აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვისა და მართვის უფლება.
3. გაკოტრების მმართველად დაინიშნოს იური წივწივაძე, დაბადებული 1973 წლის 20 თებერვალს, ქ. სოხუმში, მცხოვრები ქ. ქუთაისი, მესხის ქ. № 27-ში. პროფესიით ეკონომისტ-ინჟინერი.
4. გაკოტრების მმართველმა დაუყოვნებლივ მიიღოს მმართველობაში გაკოტრების მასა, სს „ქუთაისის საკონსერვო ქარხნის“ ქონება და კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს იგი.
5. მოვალე სს „ქუთაისის საკონსერვო ქარხნის“ ყველა კრედიტორმა ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში წარუდგინოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (ქ. ქუთაისის, კუპრაძის ქ. № 11) თავიანთი მოთხოვნები შესაბამის ვალუტაში, თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით. ვადის გასვლის შემთხვევაში, განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.
6. ყველა იმ პირს, რომელსაც მოვალე სს „ქუთაისის საკონსერვო ქარხნის“ ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ (ქ. ქუთაისი, ლადო ასათიანის ქ. № 96).
7. ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს მოვალე სს „ქუთაისის საკონსერვო ქარხნის“ ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, აეკრძალოს ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება და დაევალოს შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ.
8. სს „ქუთაისის საკონსერვო ქარხნის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება გაიხსნას 2005 წლის 27 მაისს, დღის 12 საათიდან.
9. 2005 წლის 29 ივლისს, 12 საათზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზში (მე-4 სართულზე) მოწვეული იქნას კრედიტორთა პირველი კრება. კრებაზე შემოწმდება კრედიტორთა მოთხოვნები, აგრეთვე, მოსმენილი იქნება გაკოტრების მმართველის მოხსენება ვალაუვალი მოვალის, სს „ქუთაისის საკონსერვო ქარხნის“ გადახდისუუნარობის წარმოშობის მიზეზების, არსებული მდგომარეობის და კრედიტორთა პირველ კრებამდე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.
10. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც სს „ქუთაისის საკონსერვო ქარხანას“ აქვს საქმიანი ურთიერთობა.
11. განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდეს პრესაში, აგრეთვე სასამართლოს დაფაზე.
12. განჩინება გაეგზავნოს კავშირგაბმულობის განყოფილებას.
13. სს „ქუთაისის საკონსერვო ქარხნის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ მონაცემები შეტანილი იქნას სამეწარმეო რეესტრში, რის შესახებაც ეცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს.

**მოსამართლე**

**დურმიშხან ქორქოლიანი**

**შსს სსიპ-დპდ ეროვნული საგანძურისა და მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის სამმართველოს მიერ ა/წ ივნისის თვეში ჩატარებულ დახურულ ტენდერში მსუბუქი ავტომანქანების შეძენაზე გაიმარჯვა შპს „ვეგა მოტორსი 2002“-მა.**

**სპორტულ ორბიტაზე**

### ისინბაევას მეთოთხმეტე მსოფლიო რეკორდი

**კიდევ ერთი სანტიმეტრი წაუმატა შარშანდელ მსოფლიო რეკორდს ჭოკით ხტომაში რუსეთელმა ელენა ისინბაევამ.** ის შვეიცარიის ლოზანაში მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის სუპერ გრან-პრის გათამაშებაზე ამჯერად 4 მეტრისა და 93 სანტიმეტრის სიმაღლეზე გადახტა და მეთოთხმეტედ დაამყარა მსოფლიო რეკორდი.



„მინდა ჩემს კარიერაში 36 მსოფლიოს რეკორდის დამყარება და ამით გავუსწრო ჩემს კერპს სერგეი ბუბკას“, – თქვა გახარებულმა ელენამ. მისი საბოლოო მიზანი კი 5 მეტრი და 15 სანტიმეტრია, რაც ერთი მეტრით ნაკლებია ვაჟთა სარეკორდო ნახტომზე.

ლოზანას შემდეგ ისინბაევა გამოვა რეტიმოში, მადრიდში, ლონდონსა და სტოკჰოლმში, ბოლოს კი მსოფლიო ჩემპიონატზე ჰელსინკში, რომელიც 6-14 აგვისტოს გაიმართება. გამორიცხული როდია, რომ რომელიმე მათგანი კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდით დაგვირგვინდეს.

### ეკატერინებურგი უმასპინძლებს

**სვერდლოვსკის ოლქის გუბერნატორმა ედუარდ როსელმა თანხმობა გამოთქვა ეკატერინებურგში 2006 წლის თებერვალ-მარტში ჭადრაკში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის გამართვაზე. ამ დიდი პაექრობის საპრიზო ფონდი დაახლოებით 500 ათასი დოლარი იქნება.**

* * *

იქამდე კი მოჭადრაკე ქალთა ძალზე ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა კრასნოტურინსკში საერთაშორისო სუპერტურნირზე, „ჩრდილო ურალის თასი“.

ქართველ დიდოსტატ მაია ჩიბურდანიძესთან ერთად აქ ითამაშებენ



ბულგარელი ანტონინა სტეფანოვა, ინდოელი ჰამპი კონერუ, ჩინელი სიუ იუიხუა, უკრაინელი ნატალია ჟუკოვა, რუსეთელები ალექსანდრა კოსტენიუკი, ალისა გალიამოვა და ბევრი სხვა.

სამწუხაროდ მაია დამარცხდა პირველსავე ტურში გალიამოვასთან.

### კოკო სჯობია სანეტის?

**ფეხბურთში ევროპის ეროვნულ ჩემპიონატზე „დიდი დასვენებაა“, რითაც ისარგებლეს ფეხბურთელებმა და ცნობილ კურორტებს მიაშურეს.**

კმაყოფილი იქნება ამ შვებულებით მილანის „ინტერის“ მოთამაშე ფრანჩესკო კოკოც.

მან სანდინიის პლაჟზე გაიცნო 23 წლის იტალიელი მოდელი ფრანჩესკო ლოდო და მთელი შვებულება მასთან გაატარა.

ლამაზმანს „ინტერის“ ფეხბურთელებთან ურთიერთობის კარგი გამოცდილება გააჩნია. ფოტომოდელი თითქმის მთელი წელი ხვდებოდა ნახევარმცველ კრისტიან სანეტის, რომელსაც ახალი თაყვანისმცემლის გაჩენის მიუხედავად ვერ ივიწყებდა, ახლა კოკო დაავიწყებს საბოლოოდ მას?



## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ჩვენი სახელგანთქმული მეცნიერები სოფელ მჭადიჯვარში სტუმრობისას ესაუბრებიან ადგილობრივ კოლმეურნეს.

მარცხნიდან: ალექსანდრე წერეთელი, იასე ცინცაძე, აკაკი შანიძე. 1967 წელი.

ვლადიმერ ბინზბურგის ფოტოარქივიდან.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.

## საეკლესიო კალენდარი

# 7 ივლისს ქართული სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს — პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა — იოანეს შობას



იუდის მეფის ჰეროდეს ზეობის ხანაში იუდეაში ცხოვრობდა მღვდელი ზაქარია. ის და მისი მეუღლე ელისაბედი უშვილოდ მოხუცდნენ. ერთხელ, როდესაც ზაქარია მორიგ მღვდელმსახურებას ასრულებდა იერუსალიმის ტაძარში, მას საკურთხეველში გამოეცხადა უფლის ანგელოზი, ზაქარიას შეეშინდა, მაგრამ ანგელოზმა უთხრა: ნუ გეშინია, ზაქარია, შესმენილია შენი ლოცვა, შენი ცოლი ელისაბედი შობს ძეს და დაარქმევ მას იოანეს. გექნება შენ სიხარული და მხიარულება. მისი დაბადებით ბევრნი გაიხარებენ, ვინაიდან ის მოამზადებს ხალხს ქვეყნის მხსნელის მისაღებად.

ანგელოზის კეთილი ხარება აუსრულდა მღვდელს, მისმა მეუღლემ შვა ძე. შესრულდა სულიწმინდის წინასწარმეტყველება ყრმის დიდი მოწოდების შესახებ — იყოს უფლის წინამორბედი.

მოამზადა ბიული ლიპარტიამ.

## გიხაროდენ!

# და-ძმები უმრავლოსო, — დალოცა დიდმა ბებიამ



— თინიკოს და ლევანის ქორწილი, ამ ორი წლის წინათ, შემოდგომაზე გადავიხადეთ. მათ სახელზე ქვევრში ღვინო ჩავასხით და დავთქვით კიდეც, ამ ღვინით მათი პირველი შვილის დაბადებას აღვნიშნავდით, უფალმა გვისმინა და ამ დღეებში თინიკომ თბილისში იმშობიარა, გოგო შეეძინა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავისი ყოფილი ლექტორის მზექალა შანიძის პატივსაცემად ჩემმა რძალმა გოგონას მზექალა დაარქვა. თინიკო გუშინ სამშობიარო სახლიდან გამოვიყვანეთ.

— და-ძმები უმრავლოს ღმერთმაო, — ასე დალოცა პატარა მზექალა ჩემი მეუღლის დედამ დიდმა ბებიამ. ასემც იყოს. ერთი თვის შემდეგ დედა-შვილს სამტრედიაში ჩამოვიყვანთ, ექიმმა ასე გვირჩია. თინიკოსა და ლევანის ქორწილის დღეს ქვევრში ჩასხმულ ღვინოს ამოვიღებ და გოგონას შეძენას აღვნიშნავ, უფალმა ამრავლოს ჩემი გვარი და ჯილაგი, — გვაცნობა სამტრედიიდან ანზორ კვიტაშვილმა.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

## ცოტაც გავიღიმოთ...



ადვოკატი სასამართლო პროცესზე გამოდის:

— ბატონო ნაფიცო მსაჯულნო, თვით ის ფაქტი, რომ ბრალდებულმა თავის ადვოკატად ამირჩია, ადასტურებს მის სრულ შეურაცხადობას.

* * *

— აბა, ბავშვებო, ვინ იცის ჩრდილოეთის მამაცი დამპყრობლების ვინაობა? — კითხულობს მასწავლებელი.

— ამუნდსენი!

— კარგია!

— პირი!

— კარგია! შენ თუ დაამატებდი კიდევ ვინმეს, მიხო?

— ისინი ბევრნი არიან...

— მაინც?

— თეთრი დათვები...

* * *

— როგორა გაქვს საქმე საქმროსთან? — ეკითხება დედა.

— წვრილმანებზე ვდავობთ.

— რა წვრილმანებზე?

— მე მინდა, რომ ქორწილისთვის თეთრი კაბა ვიყიდო, მას კი საერთოდ არ სურს დაქორწინება...

* * *

ქალიშვილმა მეგობარი ყმაწვილისგან, რომელიც ერაყში ჯარში მსახურობს, წერილი მიიღო. თუმცა კონვერტში წერილის ნაცვლად მოკლე ჩანაწერი აღმოაჩინა: „თქვენს მეგობარს კვლავინდებურად უყვარხართ, მაგრამ ბევრ რამეზე ძალიან ბევრს ლაყბობს. ცენზორი“.

* * *

— სად იყავი?

— ძაღლთან ერთად ვსეირნობდი.

— მაგრამ ჩვენ ძაღლი რომ არა გვყავს?

— ქუჩაში გავიცანი.

## იცოცხლეთ!

**1 სიგარეტი ჩვენი ორგანიზმიდან 45 მგ. კალციუმს ნთქავს**

# გავთავისუფლდეთ წონისგან და მავნე ჩვევებისგან



## ფრანგული დიეტა

**უშველის თუ არა ჩვენს მკითხველებს დოქტორ მადლენ ჟესტის დიეტა ჭარბი წონისგან და მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებაში? დიეტოლოგის პასუხი დადებითია.**

### ყავა – საშინელი აგრესია

ყავა არც ძალას გვმატებს, და არც ენერგიას, პირიქით, ორგანიზმს ფიტავს. ყავის ყოველი მიღება ორგანიზმისთვის აუცილებელი კალციუმის 45 მგ-ს ნთქავს. ახალგაზრდისთვის ყავა საშინელი აგრესიაა. ეს ავიწროვებს სისხლძარღვებს, აღაგზნებს გულს, კუჭქვეშა ჯირკვალს, თირკმელზედა ჯირკვლებს და სხვ. გარდა ამისა, ყავის დიდი რაოდენობით სმა ხელს უწყობს იმას, რომ თქვენ უფრო ხშირად გრძნობთ შიმშილს და, შესაბამისად უფრო ხშირ-ხშირად მიირთმევთ საჭმელს.

### ჰიდრომელი გიშველით

ყავის მოყვარულებს ვურჩევ, ყოველი ფინჯანი ჰიდრომელით შეცვალონ: 250 მლ. წყალი, გამოწურული ლიმონის წვენი და 1 ჩაის კოვზი თაფლი. თაფლისა და ლიმონის წყალობით ამ ტკბილ სასმელს ორმაგი ენერგეტიკა გააჩნია. ვინც ღამ-ღამობით მუშაობს და ამ დროს ყავის სმას არის მიჩვეული, ვურჩევთ უარი თქვან ყავაზე და ყოველ სამ საათში ერთხელ სვან ჰიდრომელი. იგი თქვენთვის საჭირო მთელი დროის განმავლობაში მოქმედებს, მერე კი უპრობლემოდ დაძინებაში ეხმარება ადამიანს.

### თამბაქო სიცოცხლეს გპარავთ

თამბაქოს მავნებლობა აშკარაა. თუ ადამიანი დღეში საკუთარი წონის 10 კგ-ზე ერთ სიგარეტზე მეტს ეწევა, შეიძლება ინტოქსიკაციაზე ვილაპარაკოთ. ყოველი სიგარეტი 45 მგ. კალციუმსა და C ვიტამინს ნთქავს. ყოველი სიგარეტი 7 წუთით გაკლებთ სიცოცხლეს.

### რძე გიშველით

მწეველებს ვთავაზობ ორი დღე გაატარონ უსიგარეტოდ. ტოქსინების, ნიკოტინის და სხვა მავნებელი ნივთიერებების მაქსიმალურად გამოძევებისთვის სვით რაც შეიძლება ბევრი წყალი, რათა ორგანიზმში თამბაქოს მიერ ჩანთქმული კალციუმი და C ვიტამინი აინაზღაუროთ, დიდი რაოდენობით რძის ნაწარმი და ციტრუსები დაგჭირდებათ. სიგარეტის „გადაგდების“ პერიოდში უფრო მეტი უნდა იძინოთ, ინტოქსიკაციის პერიოდის უმტკივნეულოდ გადატანაში ესეც დაგეხმარებათ.

### ალკოჰოლი: ნახევარი ლიტრი ნორმაა

ნორმალური აქტიური მამაკაცი დღეში 0,5 ლიტრ ღვინოზე მეტს არ უნდა სვამდეს, ქალი — კიდევ უფრო ნაკლებს.

სულ ცოტა ათი დღე მაინც უნდა გაძლოთ უალკოჰოლოდ. იმ „სწრაფი შაქრის“ დეფიციტის შესავსებად, რომელსაც ალკოჰოლი იძლევა, ლიმონი და თაფლი უნდა მიიღოთ. ალკოჰოლის ყოველი ჭიქა ჰიდრომელით შეცვალეთ. შეიძლება ეს რეცეპტი უცნაური და გულუბრყვილო მოგეჩვენოთ, მაგრამ ის სასწაულს ახდენს. ადამიანს უჩნდება მეტი ენერგია, ზოგს კი დალევის სურვილიც ეკარგება.

### ტირანკვილიზატორები: იმუნური სისტემისთვის მიყენებული დარტყმა

ამჟამად სტრესების, უძილობის დროს ექიმები სულ უფრო ხშირად უნიშნავენ ტირანკვილიზატორს, მოზარდებს — უფრო მეტს. მაგრამ ტირანკვილიზატორები თრგუნავენ ადამიანის იმუნურ სისტემას.

მე ბალახების ჩაის გირჩევთ — ცაცხვისას ან ფორთოხლის ყვავილებისას. მეორე წამალია ერთი ჭიქა მოხდილი რძე საღამოს ან დღე, თუ ეს დღე სტრესებით იყო აღსავსე. თუ ღამე გეღვიძებათ ხოლმე, ლოგინში გაუთავებელი ტრიალი ვერ გიშველით. ადექით და შეჭამეთ რძის პროდუქტი — იოგურტი ან მაწონი.

### ნაკლები კვერცხი და ღვიძლი

გინდათ, ორგანიზმი ქოლესტერინისგან გაითავისუფლოთ? შეამცირეთ კვერცხის ჭამა — კვერცხის გული ამ მავნე ნივთიერების ყველა რეკორდს ხსნის. ნუ გადააჭარბებთ ნორმას — 4 კვერცხს კვირაში, იმათი ჩათვლით, რომლებიც საკონდიტრო თუ მაკარონის ნაწარმის მომზადებისას იქნა გამოყენებული. შეზღუდეთ ღვიძლის, ძეხვეულის, მსუქანი ხორცის ჭამა, უპირატესობა მიანიჭეთ მჭლე ხორცსა და თევზს, რამდენადაც შეგიძლიათ შეამცირეთ ცხოველური ცხიმების მიღება, შეცვალეთ ისინი მცენარეულით — ზეთის ხილის ან მზესუმზირის ზეთით. რაც მთავარია, გახსოვდეთ: როცა სურვილი არსებობს, ბრძოლა ადვილია.

**პარიზი.**

# შპს „ნოსირი-2“ აცხადებს ლიკვიდაციას

საწარმოთა მართვის სააგენტოს 2005 წლის 27 ივნისის №1-3/464 ბრძანებით მიღებულია შპს „ნოსირი“-2“-ის ლიკვიდაცია.

იურიდიული მისამართი: სენაკის რაიონი, სოფ. ნოსირი.

ლიკვიდატორი — შპს „ნოსირი-2“-ის დირექტორი.

კრედიტორებს ვთხოვთ, განცხადების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში წარმოადგინონ დასაბუთებული მოთხოვნები.

მოთხოვნაში უნდა აისახოს შემდეგი მონაცემები:

1. კრედიტორთა ვინაობა და მისამართი;
2. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას;
3. ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, პერიოდი და ვალდებულების ოდენობა შესაბამისი დოკუმენტაციით.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორთა მოთხოვნები არ განიხილება.

**შპს „ნოსირი“-2“-ის ლიკვიდატორი.**

## გონება იმარჯვებს

# იქნებ, გვეშველოს!..

## ახალი აღმოჩენა ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობაში

**ნამდვილად რევოლუციური აღმოჩენა მოახდინეს ჩინელმა მეცნიერებმა კიბოს დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. შეიქმნა უახლესი პრეპარატი როგორც შინაგანი, ისე შიდაარტერიული ინფუზიებისთვის განკუთვნილი ემულსიის სახით. ეს არის კიბოს საწინააღმდეგო მოლეკულური ტარგეტნული ორმაგი მოქმედების საშუალება გამოყენების ფართო სპექტრით.**

1997 წლის აგვისტოში ჩინეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დაამტკიცა პრეპარატის წარმოება ჩინეთის ტერიტორიაზე. იგი შეიქმნა ძვირფასი მცენარის კოიქსის თესლისგან მიღებული სიმსივნესაწინააღმდეგო აქტიური ელემენტების ექსტრაქციის გზით და მოწინავე საერთაშორისო ტექნოლოგიების გამოყენების გათვალისწინებით. ამ მცენარეს იყენებენ ტრადიციულ ჩინურ მედიცინაში. კლინიკური გამოცდის შედეგებმა დაადასტურეს, რომ პრეპარატი გამოყენებისთვის უსაფრთხოა და მას აქვს დიდი თერაპიული ეფექტი. მისი უპირატესობაა ის, რომ იგი კლავს კიბოს უჯრედებს, ასუსტებს სიმსივნის კერას, აძლიერებს ორგანიზმის იმუნურ ფუნქციებს, აგრეთვე, საგრძნობლად ამსუბუქებს ტკივილს და სპობს მეტასტაზების გავრცელებას, აუმჯობესებს კლინიკური მკურნალობის ეფექტს. იგი გამოიყენება როგორც მონოთერაპიაში, ისე სხვიურ და ქიმიურ თერაპიასთან კომბინაციით.

სადღეისოდ ჩინეთში კიბოთი დაავადებული 500 ათასზე მეტ ადამიანის მკურნალობისას მიღწეულია დადებითი შედეგები.

ამ პრეპარატს არა აქვს აშკარა ტოქსიკური და თანამდევი მოქმედება, არ ახდენს გავლენას ღვიძლის, თირკმელების, გულის მუშაობაზე, აგრეთვე, მავნე ზემოქმედებას ნერვულ და საჭმლის მომნელებელ სისტემაზე.

პრეპარატი, რომელსაც უშვებს ფარმაცევტული კომპანია „კანგლაიტი“, წარმატებით შეიმუშავა ცნობილმა ჩინელმა ფარმაკოლოგმა ლიდაპენგმა 20 წლის განმავლობაში მისი შესწავლისა და კლინიკური გამოკვლევების შედეგად.

ეს პრეპარატი მარტო ჩინეთში როდი გამოიყენება. მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის პაციენტებს აქვთ შესაძლებლობა შეიძინონ იგი ფოსტით.

2001 წელს პრეპარატმა მიიღო შეერთებულ შტატებში კლინიკურ გამოკვლევათა განხორციელების უფლება.

2005 წლიდან პრეპარატი რუსეთშიც გამოჩნდება.

## პანორამა

# ნახევარმთვარე — დავითის ვარსკვლავის ნათესავი

**თანამედროვე საუდის არაბეთის ტერიტორიაზე მდებარე ძველი ებრაული სამეფოს — ჰიმარის არქეოლოგიური გათხრების შედეგებმა გააოგნეს მკვლევარები. იქ აღმოჩენილი ნივთები მოწმობს ერთ საოცარ ფაქტს: რელიგიების ჩასახვის გარიჟრაჟზე იუდეველები თურმე ეთაყვანებოდნენ ტრადიციულ მუსლიმანურ სიმბოლოს — ნახევარმთვარეს.**

მაგრამ, როგორ აღმოჩნდნენ ებრაელები მექის მახლობლად? მეცნიერთა აზრით, ძველი წელთაღრიცხვის 135 წელს პროზელიტი-იუდეველები განდევნეს ძველმა რომაელებმა პალესტინიდან ჯერ იორდანიაში, შემდეგ კი თანამედროვე საუდის არაბეთის ტერიტორიაზე. სწორედ მაშინ გადაიტანეს მათ არაბეთის ნახევარკუნძულზე თავიანთი ძველი სიმბოლო — ნახევარმთვარე.

რაც შეეხება დავითის ექვსქიმიან ვარსკვლავს, როგორც გაირკვა გამოკვლევების დროს, ეს იუდეველთა უფრო გვიანდელი სიმბოლო ყოფილა. თანაც, სანამ ებრაელები დაიწყებდნენ ჰექსაგრამის გამოყენებას თავიანთი მთავარი რელიგიური სიმბოლოს სახით, მას უკვე კარგა ხნის წინ წარმატებით იყენებდნენ როგორც ორნამენტის ელემენტს სხვადასხვა ხალხები.

გავიდა კიდევ ათასი წელი, სანამ თურქეთის მუსლიმანური იმპერიის დამფუძნებელმა სულთანმა ოსმანმა მოიწონა ნახევარმთვარე თავისი სარწმუნოების სიმბოლოს სახით.

საიდუმლო არ არის, რომ უძველეს დროში რელიგიები ერთმანეთთან გაცილებით უფრო ახლოს იყვნენ, ვიდრე ამჟამად, და არ ითვლებოდა მკრეხელობად ერთმანეთის სიმბოლოების გადაღება. ვინ უწყის, თუ როგორ შეიცვლება გემოვნება და რას გაიხდიან სათაყვანებელ სიმბოლოდ ჩვენი ხალხები ორი-სამი ათასწლეულის შემდეგ...

# აგიტატორი — შიმპანზე

**იალტის ზოოპარკს ახლა თავისი ცნობილი ბინადარი ჰყავს. შიმპანზე ჩარლიმ პოპულარობა მოიხვეჭა პრეზიდენტის არჩევნების დროს. საქმე ის არის, რომ იალტის ზოოპარკის დირექტორმა ოლეგ ზუბკოვმა, რომელიც ვიქტორ იუშჩენკოს და „ნარინჯისფერი რევოლუციის“ თავგამოდებული მომხრე იყო, გადაწყვიტა, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში შიმპანზე ჩაება.**



როგორც ყველა ჭეშმარიტი რევოლუციონერი, ჩარლიც იმ დროს ნარინჯისფერ ჰალსტუხს ატარებდა. ვიქტორ იუშჩენკოს გამარჯვების შემდეგ კი ყირიმის ტელე-რადიოკომპანიები ერთთავად უჩვენებდნენ შიმპანზეს, რომელიც „ვახტანგურად“ სვამდა შამპანურით გამარჯვების სადღეგრძელოს ზოოპარკის დირექტორთან ერთად.

ამის შემდეგ მრავალი ადამიანი ეტანება ზოოპარკს მხოლოდ იმისთვის, რომ გაიცნონ ჩარლი. თვით შიმპანზეს კი, როგორც ყველა „ნარინჯისფერს“ ძალზე უყვარს, როცა იპყრობს ხალხის ყურადღებას, და დიდი სიამოვნებით სვამს ლუდს ყველა მსურველთან ერთად. ამბობენ, რომ „ნარინჯისფერ რევოლუციამდე“ ჩარლი სანიმუშო ყოფაქცევით არ გამოირჩეოდა. იგი ეწეოდა სიგარეტს, და რაც მთავარია, ცდილობდა, რომ ამ მავნე ჩვევაში თავისი თანამოძმეებიც აეყოლიებინა. ამის გამო, ჩარლი ცალკე ვოლიერში მოათავსეს. შესაძლოა, ზოოპარკის დირექტორმა სწორედ მაშინ მიაპყრო ყურადღება ჩარლის „არაფორმალური ლიდერისთვის“ დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს და გადაწყვიტა იგი ჩაება სააგიტაციო საქმიანობაში.

სხვათა შორის, რევოლუციის დღეებში კიევში, მაიდანზე სხვა ცხოველებს და ფრინველებსაც ნახავდით. ალბათ, ყველას კარგად ახსოვს ბუ სოფა — „ნარინჯისფერი მოძრაობის ვეტერანი“, რომელთანაც სურათის გადაღებას უამრავი ადამიანი ცდილობდა და ზოგი ავტოგრაფსაც კი სთხოვდა.

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური — 022;
გენერალური პროკურატურა — 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.

## ამინდი

| 7 ივლისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | $32^0$ | $18^0$ |
| ბათუმი | $25^0$ | $17^0$ |
| სოხუმი | $24^0$ | $16^0$ |
| ქუთაისი | $26^0$ | $18^0$ |
| თელავი | $31^0$ | $17^0$ |

## ლარის კურსი

**6 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლ. გირვ. სტერ. | 1 | 3,1996 ლ. |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8225 ლ. |
| ევრო | 1 | 2,1673 ლ. |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0632 ლ. |
| აზერბაიჯ. მან. | 1000 | 0,3873 ლ. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4135 ლ. |
| უკრაინული გრივ. | 10 | 3.6341 ლ. |

# დღის კალენდარი 7 ივლისისთვის

☼ ამოდის 04.32, ჩადის 19.38
) ამოდის 04.51, ჩადის 20.46

**წლის 188-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 177 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

**შობა პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი. ხსენება წმიდა მოწამეთა შვიდთა ძმათა — ორენტი, ფარნაკი, ეროსი, ფირმოსი, ფირმინე, კვირიკე და ლონგინოზ მხედართა.**

### დაიბადნენ:

**1848 — პოლ გოგენი,** ფრანგი ფერმწერი, პოსტიმპრესიონისტი.

**1852 — არტურ ლაისტი,** გერმანელი ქართველოლოგი. გარდაიცვალა 1927 წელს.

**1860 — გუსტავ მალერი,** ავსტრიელი კომპოზიტორი.

**1879 — ჭოლა ლომთათიძე,** მწერალი. გარდაიცვალა 1915 წელს.

**1884 — ლიონ ფეიხტვანგერი,** გერმანელი მწერალი. გარდაიცვალა 1958 წელს.

**1887 — მარკ შაგალი,** დიდი მხატვარი-აბსტრაქციონისტი. გარდაიცვალა 1985 წელს.

**1901 — ვიტორიო დე სიკა,** იტალიელი კინორეჟისორი. გარდაიცვალა 1974 წელს.

**1908 — ოდისეი დიმიტრიადი,** საქართველოში მოღვაწე ბერძენი დირიჟორი, პედაგოგი. გარდაიცვალა 2005 წელს.

**1922 — პიერ კარდენი,** ფრანგი კუტურიე.

**1924 — ნატალია ბეხტერევა,** რუსი აკადემიკოსი, ნეიროქირურგი.

**1956 — გიორგი ხაინდრავა,** კინოოპერატორი, კინორეჟისორი, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.

### გარდაიცვალნენ:

**1930 — არტურ კონან დოილი,** შერლოკ ჰოლმსის „მამა“.

**1967 — ვივიენ ლი,** ინგლისელი კინომსახიობი.

### მოვლენები:

**1607 წელი** — პირველად იმღერეს ინგლისის ჰიმნი „ღმერთო, დაიფარე მეფე“.

**1807 წელი** — ტილზიტში იმპერატორებმა ნაპოლეონ პირველმა და ალექსანდრე პირველმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას საფრანგეთსა და რუსეთს შორის.

**1923 წელი** — დაარსდა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური რეგიონი, რომელიც აზერბაიჯანის შემადგენლობაში შევიდა.

**მედიანიუსი.**



საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება საბჭოს თავმჯდომარის ნოდარ ქებაძის შვილის

ალექსანდრე (ალეკო) ქებაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ელგუჯა აფრიდონიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ბატონ ნოდარ ქებაძეს შვილის

ალექსანდრე (ალეკო) ქებაძის

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე კლიმენტი შელია, შვილები ზურიკო, თამრიკო, ირაკლი შელიები, შვილიშვილები მეგი, გუგა, ივიკო, ლუკა შელიები, ირინა, მეგი ჩიქობავები, რძლები ხატია შელია, მანანა ნიკოლაძე, სიძეები ვალერი ჩიქობავა, სანდრო კაკულია, დევი ფირცხალავა, დისწულები მანანა, დათო კაკულიები ოჯახებით, დეიდაშვილი ჯილდა ბოგატელო, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მეგი (რუსუდან) დავითის ასული ფურცხვანიძე-შელია

პანაშვიდი 7, 8 VII, 17 სთ. გამოსვენება 9 VII, 15 სთ. ი. ჭავჭავაძის გამზირი 42, III სად. VI სართ.

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა არქეოლოგიის კათედრის მეცნიერი თანამშრომელი

თამარ კეკელიძე

---

ბიძაშვილები იური და ცეზარ მოსიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურიკო მოსიძე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ელგუჯა ლეგანიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK